

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, # 2

## სამოქალაქო პროცესი

1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა
2. ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა
3. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება
4. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში
  - დავის საგნის შეცვლა და გადიდება
  - სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი
  - სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის თვითონ გადაწყვეტა
  - სასამართლო გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები
5. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

# 1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა

## განჩინება

#ას-684-1014-07

31 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა

### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 10 აპრილს ს. მ-მ კზიმ განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა უდავო წარმოების წესით მშობლების -მამის -მ. მ-მ ოღლისა და დედის -ბ. ა-ნ კზი ჯ-ვას გარდაცვალების ფაქტების დადგენა. განმცხადებელმა მოთხოვნის მიზნად სამკვიდროს მიღება დასახელა.

განმცხადებლის მითითებით, მამა -მ. მ-მ ოღლი გარდაიცვალა 1996 წლის 2 მაისს, ხოლო დედა -ბ. ა-ნ კზი ჯ-ვა იმავე წლის 27 ნოემბერს. აზერბაიჯანული ადათ-წესების მიხედვით, ისინი მეორე დღესვე დაკრძალეს, რის გამოც სამედიცინო დაწესებულებებიდან გარდაცვალების შესახებ ცნობები ვერ აიღეს.

2006 წლის 31 მარტს განმცხადებელმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რუსთავის სამსახურს მიმართა და გარდაცვალების მოწმობების გაცემა მოითხოვა. ხსენებულმა სამსახურმა განმცხადებელს მოწმობების გაცემაზე უარი უთხრა, ვინაიდან განმცხადებელმა მშობლების გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა ვერ წარადგინა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ს. მ-მ კზიმ რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიმართა და მშობლების გარდაცვალების ფაქტის დადგენა მოითხოვა. განმცხადებელმა წარადგინა შემდეგი წერილობითი მტკიცებულებები: 1) მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი; 2) თავისი დაბადების მოწმობის ასლი; 3) გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალის გამგეობის მიერ გაცემული ცნობა მ. მ-მ ოღლისა და მისი მეუღლის ბ. ა-ნ კზის სოფ. ფონიჭალის სასაფლაოზე დაკრძალვის შესახებ; 4) სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რუსთავის სამსახურის ცნობა მშობლების გარდაცვალების რეგისტრაციაზე უარის შესახებ; 5) პირადობის მოწმობის ასლი; 6) სანოტარო აქტები მშობელთა ქორწინების მოწმობისა და მისი (განმცხადებლის) დაბადების მოწმობის ქართული ენის თარგმანზე თარჯიმნის ხელმოწერის ნამდვილობის შესახებ; 7) რუსთავის გორგასლის სახელობის მართვის ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული აქტი, განმცხადებლის მშობლების გარდაცვალების ფაქტის მოწმების მიერ დადასტურების შესახებ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ს. მ-მ კზის უარი ეთქვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება ს. მ-მ კზიმ სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გაასაჩივრა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მშობლების გარდაცვალების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა მოითხოვა.

სააპელაციო საჩივარს აპელანტმა მშობელთა საფლავების ფოტოსურათები დაურთო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2007 წლის 8 მაისის განჩინებით ს. მ-მ კზის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. სასამართლოს მითითებით, განმცხადებელ ს. მ-მ კზის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება მ. ოღლი ჯ-ვის და ბ. ა-ნ კზი ჯ-ვას განმცხადებლის მიერ მითითებულ დროს გარდაცვალების ფაქტი, რის გამოც ს. მ-მ კზის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 მაისის განჩინება ს. მ-მ კზიმ საკასაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მშობლების გარკვეულ დროს გარდაცვალების ფაქტის დადგენა მოითხოვა. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა და მტკიცებულების ძალა არ მიანიჭა საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებებს, კერძოდ: ა) სოფ. ფონიჭალის გამგეობის მიერ გაცემულ ცნობას მშობლების ამ სოფლის სასაფლაოზე დაკრძალვის შესახებ; ბ) საფლავზე არსებული

მშობლების ძეგლების ფოტოსურათებს; გ) პროცესზე მოწმედ დაკითხული პირების: ბ. ბ-ვისა და მ. ჯ. ოლიი ჯ-ვის ახსნა-განმარტებებს; დ) კასატორის ახსნა-განმარტებებს.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ ამ პირთა გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ს. მ-ს კზიმ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მშობლების გარკვეულ დროს გარდაცვალების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 დეკემბრის განჩინებით, ს. მ-ს კზის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ს. მ-ს კზის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ ს. მ-ს კზის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა.

დადგენილია, რომ განმცხადებელმა სასამართლოს იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე მემკვიდრეობის მიღების მიზნით მიმართა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 2006 წლის 31 მარტს განმცხადებელმა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რუსთავის სამსახურს მიმართა და გარდაცვალების მოწმობების გაცემა მოითხოვა. ხსენებულმა სამსახურმა განმცხადებელს მოწმობების გაცემაზე უარი უთხრა მშობლების გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის წარუდგენლობის გამო.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ "განმცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას", განმცხადებლის მერ შესრულედა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული სახის საქმის განხილვისას, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მხარეებს არ გააჩნიათ წერილობითი მტკიცებულებები, სასამართლო ძირითადად უნდა დაეყრდნოს განმცხადებელთა და მოწმეთა ჩვენებებს, ამასთან, მტკიცებულების სახით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ფოტოსურათები და სხვა შესაბამისი ინფორმაციის შემცველი მასალები.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, განმცხადებელმა სააპელაციო პალატას საფლავზე არსებული მშობლების ძეგლების ფოტოსურათები წარუდგინა, თუმცა აღნიშნულ მტკიცებულებებს სააპელაციო პალატამ სამართლებრივი შეფასება არ მისცა, ასევე სასამართლომ სათანადო მნიშვნელობა არ მიანიჭა საქმეში წარმოდგენილ დაბადებისა და ქორწინების მოწმობების ასლებს, 2006 წლის 17 მარტის აქტს, გარდაბნის რაიონის სოფ. ფონიჭალის გამგეობის ცნობასა და მოწმეთა ჩვენებებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პიველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ უნდა გამოიკვლიოს და სამართლებრივი შეფასება მისცეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებებს და ისე გადაწყვიტოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 284-ე, 412-ე მუხლებით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

ს. მ-ნ კზის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
2007 წლის 8 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა

### განჩინება

#ას-442-756-09

22 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა

### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 14 აპრილს გ. ა-ს ძე გ-ამ განცხადებით მიმართა სოხუმის რაიონულ და სოხუმის საქალაქო სასამართლოს უდავო წარმოების წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თაობაზე. განცხადებაში მითითებული იყო, რომ იგი არის აფხაზეთიდან დევნილი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილე გ-ს ძე გ-ა, რომელიც პირველი მექანიზირებული ბატალიონის მესამე ასეულის გათვლის ნომრად დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23-ე ბრიგადის პირველი მექანიზირებული ბატალიონის მეთაურის 1993 წლის 10 აპრილის #60 ბრძანებით. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულ ბრძანებაში მისი მონაცემები არასწორადაა დაფიქსირებული, კერძოდ გ. ა-ს ძე გ-ას ნაცვლად მითითებულია გ-ა გ-ეს ძე. ანალოგიური შეცდომა დაშვებულია აფხაზეთის მეომართა კავშირის მიერ 2008 წლის 11 მარტს გაცემულ #7/873 საბრძოლო მოკვლევაში, სადაც განმცხადებელი მითითებულია, როგორც გ-ა (გ-ა) გ-ეს ძე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა იმის თაობაზე, რომ გ-ა გ.ა-ეს ძის სახელზე გაცემული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23-ე ბრიგადის პირველი მექანიზირებული ბატალიონის მეთაურის 1993 წლის 10 აპრილის #60 ბრძანება და აფხაზეთის მეომართა კავშირის მიერ 2008 წლის 11 მარტს გაცემული #7/873 საბრძოლო მოკვლევა ეკუთვნის მას -გ. ა-ს ძე გ-ას.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით გულადი გაგუას განცხადება დაკმაყოფილდა. დადგენილად იქნა ცნობილი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ უფლების დამდგენი საბუთი -საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23-ე ბრიგადის პირველი მექანიზირებული ბატალიონის მეთაურის 1993 წლის 10 აპრილის #60 ბრძანება ამ ბატალიონში გ-ა გ. ა-ეს ძის ჩარიცხვის შესახებ ეკუთვნის განმცხადებელ გ-ა გ-ეს ძეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება 2008 წლის 1 ივლისს სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. აპელანტმა საჩივარში მიუთითა, რომ თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 3 აპრილის #158 ბრძანებით ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული "საბრძოლო მოკვლევის წარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე მინისტრის 2001 წლის 18 ივლისის #155 ბრძანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო 2008 წლის 11 მარტს საბრძოლო მოკვლევის ჩატარება, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას. სააპელაციო საჩივარში ასევე მითითებულია, რომ სასამართლოს არ გამოუთხოვია საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23-ე ბრიგადის პირველი მექანიზირებული ბატალიონის მეთაურის 1993 წლის 10 აპრილის #60 ბრძანების გამოცემის საფუძველი. ამავე დროს, დოკუმენტების ნაწილში განმცხადებლის სახელი მითითებულია, როგორც "გ", ნაწილში კი იგი ნახსენებია სახელით -"გ". აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიკვლია საქმის

მასალები, საფუძვლიანად არ მოახდინა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და არ მისცა მათ სწორი შეფასება, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს საკითხი უნდა განეხილა არა უდავო წარმოების, არამედ საერთო სასარჩელო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგი საფუძვლით: სოხუმის შს რაიონული განყოფილების მიერ 1999 წლის 23 თებერვალს გაცემული საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით, დაბადების #59 მოწმობით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ 2007 წლის 30 ივლისს გაცემული იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობით, აფხაზეთის ა/რ მთავრობის აღმოსავლეთ საქართველოში წარმომადგენლობის მიერ 2008 წლის 12 მარტს გაცემული #901 ცნობით დასტურდება, რომ განმცხადებელი არის გ. გ-ა ა-ეს ძე დაბადებული 1961 წლის 30 დეკემბერს. აფხაზეთის მეომართა კავშირის 2008 წლის 11 მარტს შედგენილი #7/873 საბრძოლო მოკვლევით დასტურდება, რომ გ-ა (გ-ა) გ-ეს ძე 1993 წლის 1 აპრილიდან ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის I მოტომსროლელ ბატალიონში მესამე საცეცხლე ოცეულის გათვლის ნომრად.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა რ. ჯ-მა (რომელიც აფხაზეთის ომის დროს იყო შსს პოლიციელი, ამავე დროს არის განმცხადებლის ცოლის ძმა და იბრძოდა მასთან ერთად) და რ. რ-ამ (რომელიც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს იბრძოდა 23-ე ბრიგადის მე-6 სატანკო ბატალიონში) დაადასტურეს, რომ გ. გ-ა ირიცხებოდა 23-ე ბრიგადის I მექანიზებულ ბატალიონში მესამე საცეცხლე ოცეულში და აქტიურ მონაწილეობას ეღებოდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში აფხაზეთის დაცემამდე.

ამავე დროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო სამისამართო ბიუროში არანაირი მონაცემი არ მოიპოვება 1961 წლის 30 დეკემბერს დაბადებული გ-ა გ. ა-ეს ძის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სსსკ-ის 315-ე მუხლის თანახმად გ. გ-ამ მიუთითა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მიზანი - ვეტერანის სტატუსში მინიჭება და, აქედან გამომდინარე, გარკვეული შეღავათების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტი ვერ უთითებს განსახილველი იურიდიული ფაქტის დადგენით სამინისტროს რაიმე მატერიალური უფლების დარღვევის შესახებ, რაც სასარჩელო წარმოებაში მისი, როგორც მოდავე მხარის სტატუსში განსაზღვრისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება 2009 წლის 15 მაისს საკასაციო წესით გასაჩივრებულ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. საჩივარში მითითებულია, რომ განცხადების ავტორის - გ. ა-ს ძე გ-ას მიზანი იყო ზემოთ მითითებული დოკუმენტების კუთვნილების დადგენის შემდეგ ვეტერანის სტატუსში დადგენა და გარკვეული სოციალური შეღავათების მიღება. აღნიშნული ქმნიდა განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი უფლების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო წესით. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 23-ე ბრიგადის პირველი მექანიზირებული ბატალიონის მეთაურის 1993 წლის 10 აპრილის #60 ბრძანების კუთვნილების აღიარება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გააჩნია კანონიერი ინტერესი, რადგან ადმინისტრაციულმა ორგანომ კანონიერი და ყოველმხრივ გამოკვლეული აქტი უნდა გამოსცეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განჩინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ. ამავე კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი და არა-ქონებრივი უფლების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა, ხოლო მეორე ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო განიხილავს საქმეებს უფლების დამდგენი საბუთების იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რომლებიც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ უდავო წარმოების წესით განიხილება მხარის მოთხოვნა ისეთი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე, რა დროსაც შესაძლებელია მოხდეს პირის იდენტიფიცირება იმ დოკუმენტების მიმართ, რომელშიც მისი პირადი მონაცემები არასწორადაა დაფიქსირებული.

უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, რათა მან განიხილოს საქმე საერთო სასარჩელი წესით. აღნიშნული დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომლის თანახმად, თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძრის დავა ისეთი უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სასარჩელი საერთო საფუძველზე. მითითებული ნორმით, უდავო წარმოებით საქმის განხილვამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, შესაძლებელია თუ არა. აღიძრას დავა უფლების შესახებ და მიიღოს ზომები, რომ განსახილველი ფაქტის შესახებ შეატყობინოს სავარაუდოდ დაინტერესებულ პირებს. უდავო წარმოების საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელთა უფლებებიც ამ ფაქტის დადგენით შეილახა. ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ უდავო წარმოებით განსახილველი საქმე სასარჩელო წარმოებით განსახილველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეზე აღიძვრის დავა უფლების შესახებ.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლი მოითხოვს, რომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა. ამ მიზნის მითითება აუცილებელია იმისათვის, რომ სასამართლო გაერკვეს, წარმოადგენს თუ არა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ის ფაქტი, რომლის დადგენასაც განმცხადებელი ითხოვს.

მოცემულ შემთხვევაში გ. გ-ა ითხოვს არსებული ხარვეზის გამო უფლებადამდგენი საბუთების მისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენას, რის საფუძველზეც სამომავლოდ მას შეეძლება მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კანონით დადგენილი შეღავათების მასზე გავრცელება, ანუ განსახილველ შემთხვევაში იურიდიული ფაქტის დადგენას შეიძლება მოჰყვეს (თუ გ. გ-ა ამ უფლებას გამოიყენებს და თუ კანონით გათვალისწინებული რაიმე სხვა დამაბრკოლებელი გარემოება არ არის) ის სამართლებრივი შედეგი, რომლის დადგომაც განმცხადებელს სურს.

უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ყველა იურიდიული ფაქტის დადგენის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს განმცხადებლის მიზნისა და ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის დადგენა. ამასთან, განმცხადებლის იურიდიული ფაქტის დადგენის მიზანს უმეტესწილად უკავშირდება დაინტერესებული პირის არსებობა, რომელიც არ არის იდენტური მოდავე პირისა. მიუხედავად იმისა, რომ უდავო წარმოებაში არ გვყავს ურთიერთდაპირისპირებული მხარეები და არ არსებობს დავა უფლებაზე, უდავო წარმოება შეიძლება ჩავთვალოთ უდავოდ მხოლოდ იმ მხრივ, რომ მასში არა გვაქვს უფლების შესახებ დავა, რომელიც დამახასიათებელია სასარჩელო წარმოებისათვის.

უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეში დადგენილია ფაქტები და არა ამ ფაქტების სასამართლებრივი შედეგები, ე.ი. თუ რა შედეგს უკავშირებს კანონი უდავო წარმოების წესით დადგენილ ფაქტს.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასკვნის, რომ უდავო წარმოებაში დაინტერესებული პირის არსებობა და ამ პირის მიერ გამოთქმული უარყოფითი მოსაზრება დასადგენ იურიდიულ ფაქტთან მიმართებით, ცალსახად არ ნიშნავს ამ პირის უფლების დარღვევას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლით გათვალისწინებულ დავას უფლების შესახებ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონკრეტული განმცხადებლისათვის დადგენილი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იჭრება დაინტერესებული პირის უფლებაში და ართმევს მას შესაძლებლობას, სრულად და თავისუფლად გამოიყენოს ეს უფლება. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შე-

სახებ საქმეების განხილვისას დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ პროცესის ის მონაწილენი, რომელთა უფლებებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილმა სასამართლო გადაწყვეტილებამ. პროცესის ეს მონაწილეები ამიტომაც დაინტერესებულნი არიან საქმის სწორად გადაწყვეტით.

ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმის სასამართლო განხილვის არცერთ სტადიაზე, არც პირველ ინსტანციაში და არც სააპელაციო საჩივარში არ მიუთითებია განსახილველი იურიდიული ფაქტის დადგენით თავისი კონკრეტული მატერიალური უფლების დარღვევაზე, რაც სასარჩელო წარმოებაში მოდავე მხარის სტატუსისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. უფრო მეტიც, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ ხდის სადავოდ და არ მიიჩნევს, რომ გ. ა-ს ძე გ-ა და გ-ა გ. ა-ეს ძე სხვადასხვა პიროვნებებს წარმოადგენენ, ამავე დროს, სამინისტრო ვერ უთითებს, დადგენილი იურიდიული ფაქტით მისი რა უფლება იქნა დარღვეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასა მტკიცებულებები, შესაბამისად გასაჩივრებულ განჩინებაში ადგილი არ აქვს კასატორის მიერ მითითებული კანონის დარღვევას, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 284-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **2. ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა**

### **განჩინება**

#ას-979-1179-08

29 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**დავის საგანი:** დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 7 სექტემბერს აჭარის ა/რ პროკურატურამ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე მ. გ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის საკუთრებაში არსებული, ბათუმში, ... ქ.#42-ში მდებარე უძრავი ქონების დაუსაბუთებლად ცნობა და სახელმწიფოსათვის გადაცემა შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის განმარტებით, მ. გ-შვილი "ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენდა კანონიერი ქურდის -ბ. ბ-ძესთან დაკავშირებულ პირს, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებდა, რომ მ. გ-შვილის სახელზე რიცხული უძრავი ქონება უკანონოდ და დაუსაბუთებელი ქონება იყო, ვინაიდან არ არსებობდა აღნიშნული ქონების მართლზომიერად შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოპასუხე მ. გ-შვილმა სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ სადავო ქონება შეძენილია მისი ძმის -გ. გ-შვილის მიერ, ხოლო ბ. ბ-ძესთან ურთიერთობა ჰქონდა 1997 წელს, რა დროსაც შეეძინა შვილი, მას შემდგომ ბ. ბ-ძე აღარ უნახავს და არც რაიმე ურთიერთობა ჰქონია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მ. გ-შვილმა მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით აჭარის ა/რ პროკურატურის სარჩელი დაკმაყოფილდა -ქ. ბათუმში, ... ქ.#42-ში მდებარე, მ. გ-შვილის საკუთ-

რებაში არსებული უძრავი ქონება დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი, ჩამოერთვა მას და გადაეცა სახელმწიფოს.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 აგვისტოს განაჩენით ბ. ბ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, კანონიერ ქურდობაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 41-42-ე მუხლების საფუძველზე, დამატებით სასაჯელად დაენიშნა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მომართვით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. გ-შვილმა 2004 წლის 18 ივნისის ნოტარიული ხელშეკრულებით შეიძინა საკუთრება -ქ. ბათუმში, ... ქ.#42-ში მდებარე უძრავი ქონება;

დაბადების მოწმობებით დადგენილ იქნა, რომ მ. გ-შვილი და გ. გ-შვილი არიან და და ძმა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 26 ივლისის ცნობითა და შრომის წიგნაკით, დადგენილ იქნა, რომ გ. გ-შვილი 1990 წლის 6 ივლისს ჩაირიცხა თბილისის #2 სამგზავრო ავტოტრანსპორტის საწარმოს მეორე კლასის მძღოლად, 1991 წელს მიენიჭა პირველი კლასის მძღოლის კატეგორია. 1993 წლის 8 იანვარს მიღებულ იქნა უშიშროების სამინისტროში მუშად. 1994 წლის 13 იანვარს ჩაირიცხა ამავე სამსახურის გრძელვადიან სამხედრო სამსახურში ადმინისტრაციის სამეურნეო განყოფილების მძღოლად და მიენიჭა სერჟანტის წოდება, ხოლო 2005 წლის 25 იანვარს იგი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან სამსახურის ლიკვიდაციის გამო;

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2008 წლის 8 თებერვლის ცნობით დადგინდა, რომ მ. გ-შვილი ქორწინებაში არ იმყოფებოდა;

სასამართლომ არ გაიზიარა მ. გ-შვილის წარმომადგენლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ქონება შეიძინა გ. გ-შვილმა, ვინაიდან არ იყო წარმოდგენილი დამაჯერებელი მტკიცებულებები, კერძოდ, არ იყო დასაბუთებული, რომ გ. გ-შვილს ჰქონდა საკმარისი შემოსავალი, რომლის მეშვეობითაც შეეძლო თავისი დისთვის უძრავი ქონების შეძენა;

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მ. გ-შვილისა და მისი წარმომადგენლის განმარტება მასზედ, რომ იგი არ იყო კანონიერი ქურდის -ბ. ბ-მესთან დაკავშირებული პირი. მხარეთა განმარტებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მათ ჰყავთ საერთო შვილი და მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ, იგი ითვლება კანონიერ ქურდთან დაკავშირებულ პირად, რაც სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას, რის გამოც მას უნდა დაესაბუთებინა შექმნილი სადავო ქონების წარმომავლობა.

სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>5</sup>-ე მუხლი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინებით მ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების მიმართ ობიექტური დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რის გამოც აპელანტს უარი უთხრა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, საქმეში არ არსებობდა მტკიცებულებანი, რომლითაც დადასტურდებოდა სადავო სახლის რეკეტის ან სხვა არაკანონიერი გზით მიღების სამართლებრივი საშუალება. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ მ. გ-შვილისათვის ბინა შეიძინა გ. გ-შვილმა, რაც სადავო უძრავი ქონების შეძენის კანონიერებას და მართლზომიერებას ადასტურებდა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა აღნიშნული გარემოება და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უგულვებელყო იგი. ამასთან, კასატორის განმარტებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ იგი ბ. ბ-მესთან არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში და 1997 წლიდან მასთან არანაირი ურთიერთობა ჰქონია, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ იგი კანონიერ



ქურდთან დაკავშირებული პირია, რომ აღნიშნული მტკიცებულებისათვის ყურადღება არ მიუქცევა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დადგენილია, რომ ბ. ბ-მე 2007 წლის 10 აგვისტოს განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 233<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (კანონიერი ქურდობა) და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დადგენილია, რომ მ. გ-შვილი ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირია. მ. გ-შვილი ბ. ბ-მესთან არარეგისტრირებულ ქორწინებაშია და ჰყავთ შვილი. ასევე დადგენილია, რომ მ. გ-შვილმა 2004 წლის 18 ივნისს შეიძინა უძრავი ქონება მდებარე, ქ. ბათუმი, ... ქ.#42-ში. აღნიშნული ქონების შეძენისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

დამატებით და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შედეგად სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება. მოცემულ საქმეზე კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. კასატორი არ უთითებს ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რაც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებულ პირად და არ შეაფასა ის ფაქტი, რომ ბ. ბ-მესთან არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup> მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად, ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირად ითვლება პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მიღებულია ქურდული სამყაროს წევრის მიერ ან\და ამ ქონებით სარგებლობს, მას განკარგავს ქურდული სამყაროს წევრი.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მ. გ-შვილი არარეგისტრირებულ ქორწინებაშია ბ. ბ-მესთან და ჰყავთ შვილი. ასევე დადგენილია, რომ მ. გ-შვილს იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება და არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ქონება მიღებული იყო ქურდული სამყაროს წევრის მიერ. ამდენად, არსებობდა კანონით გათვალისწინებული პირობები მ. გ-შვილის ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებულ პირად ცნობისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>3</sup> მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის ქონებას მოსამართლე ცნობს დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შეძენისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.

აღნიშნული ნორმების თანახმად, მოპასუხეს ეკისრება ქონების კანონიერი საშუალებებით შეძენის მტკიცების ტვირთი. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარუდგინა სადავო ქონების შეძენისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ მ. გ-შვილსათვის ბინა შეიძინა გ. გ-შვილმა. კერძოდ, გ. გ-შვილი მუშაობდა მძღოლ ექსპედიტორად და ჰქონდა მაღალი შემოსავალი.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მ. გ-შვილმა სადავო ქონება შეიძინა 2004 წელს, ხოლო გ. გ-შვილმა მძღოლ ექსპედიტორად მუშაობა დაიწყო სადავო ქონების შეძენის შემდეგ. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებებს. სააპელაციო პალა-

ტის მიერ მართებულად არ იქნა ისინი განხილული, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეემლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი მტკიცებულებები განხილულიც რომ ყოფილიყო, ისინი ვერ იქნებოდა გაზიარებული, რადგან წარმოდგენილი ცნობები არ არის ხელმოწერილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **3. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება**

#### **განჩინება**

#ას-1009-1206-08

12 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 19 თებერვალს ფოთის საქალაქო სასამართლოს ქორწინების შეწყვეტის შესახებ სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. პ-კიმ (წარმომადგენელი ს. შ-ბაი) მოპასუხე ე. ჩ-ანის მიმართ. მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 1126-ე მუხლზე მიუთითა.

2008 წლის 31 მარტს იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა ე. ჩ-ანმა მოპასუხე ვ. პ-კის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის არასრულწლოვანი შვილის -ვ. პ-კის სასარგებლოდ 2007 წლის 1 თებერვლიდან ალიმენტის დაკისრება ხელფასის ნახევრის ოდენობით.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით ვ. პ-კის სარჩელი დაკმაყოფილდა, ე. ჩ-ანსა და ვ. პ-კის შორის შეწყდა 2000 წლის 5 თებერვალს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ფოთის სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება სააქტო ჩანაწერით #12; ე. ჩ-ანის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ვ. პ-კის 2008 წლის 31 მარტიდან, შეგებებული სარჩელის შეტანის დღიდან თავის არასრულწლოვანი შვილის -ვ. პ-კის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდა, მასვე ნება დაერთო, იქონიოს ურთიერთობა არასრულწლოვან შვილთან, შვილის ნახვისა და მასთან ურთიერთობისათვის განისაზღვრა კვირაში ორი დღე: შაბათი და კვირა, დღის 11 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

დასახელებული გადაწყვეტილება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში სააპელაციო წესით გასაჩივრა ვ. პ-კიმ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით ალიმენტის სახით მისთვის 200 ლარის დაკისრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებით ვ. პ-კის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა, მასვე განემარტა, რომ სასამარ-

თლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩე-  
ბოდა განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით ვ. პ-კის სააპელა-  
ციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს  
2008 წლის 4 აგვისტოს განჩინების ასლი გაეგზავნა როგორც ვ. პ-კის, ისე მის წარმომადგენელ  
ს. შ-ბაის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით  
ჩაჰბარდა ს. შ-ბაის ოჯახის წევრს, 2008 წლის 25 სექტემბერს. ს. შ-ბაიმ დაადასტურა სასამარ-  
თლოს მიერ ხარვეზის შესახებ განჩინების ასლის მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრისათვის ჩაბარე-  
ბა და ისიც, რომ ხარვეზის შევსებისთვის სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის -2008 წლის 30  
სექტემბერს -ამოწურვის შესახებ იგი ინფორმირებული იყო.

იმავედროულად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თავად ვ. პ-კის სასამართლო გზავ-  
ნილი მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე გაეგზავნა ორჯერ.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიზან-  
შეწონილად მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება.  
კანონის დასახელებული ნორმის მიხედვით, თუ მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე უწყე-  
ბა ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაც-  
ვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. მითითებული 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი ითვალისწინებს,  
რომ, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება,  
უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათ-  
ვის ცნობილ სხვა მისამართზე.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხ-  
ლზე, რომლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასა-  
მართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყე-  
ბა მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის  
74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების  
შესახებ აცნობოს მხარეს. ამდენად, აპელანტის წარმომადგენელ ს. შ-ბაის ოჯახის წევრისათვის  
სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ჩაბარება წარმოადგენდა როგორც თა-  
ვად ს. შ-ბაისათვის, ისე აპელანტისათვის ჩაბარებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის ავტორს  
ხარვეზის შევსების ვადა ამოეწურა 2008 წლის 30 სექტემბერს, რა დროის განმავლობაშიც მას  
ხარვეზი არ შეუვსია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების  
უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის  
შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, დარ-  
ჩება განუხილველი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. პ-კის საა-  
პელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. პ-კიმ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრე-  
ბული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად ვადის ხელახლა დად-  
გენა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ხარვეზის შევსების შესახებ სააპე-  
ლაციო სასამართლოს განჩინება ჩაჰბარდა ვ. პ-კის ყოფილ წარმომადგენელს და არა უშუალოდ  
მას, როგორც სააპელაციო საჩივრის შემტან პირს, გასაჩივრებული განჩინების უკანონობას ასაბუ-  
თებდა, რის გამოც იგი გაუქმებას ექვემდებარებოდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების  
შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. პ-კის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოება-  
თა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის  
2008 წლის 4 აგვისტოს განჩინება სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების შესახებ ვ. პ-კის გა-  
ეგზავნა სააპელაციო საჩივარში მის მიერ დასახელებულ მისამართზე -ფოთი, ... ქ. #14/44,  
თუმცა აღნიშნულ მისამართზე აპელანტის მოძიება ვერ მოხერხდა. ვ. პ-კის ამავე მიზეზით არ  
ჩაჰბარდა ხარვეზის შესახებ განჩინების ხელმოწერილ ასლი. დადგენილია, რომ ვ. პ-  
კის სხვა მისამართი საქმის მასალებში მითითებული არ ჰქონია. ხარვეზის შევსების შესახებ სააპე-  
ლაციო სასამართლოს განჩინების ასლი ასევე გაეგზავნა ვ. პ-კის წარმომადგენელ ს. შ-ბაისს,  
რომლის ოჯახის წევრსაც 2008 წლის 25 სექტემბერს ჩაჰბარდა აღნიშნული განჩინება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რომელიც აღნიშნული კოდექსის 416-ე მუხლის საფუძველზე გამოიყენება კერძო საჩივრით გასაჩივრებადი განჩინების მხარისთვის გადაცემის მიმართ, სასამართლო უწყება ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰპარდა 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი ითვალისწინებს, რომ, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ვ. პ-კის საქმეში არსებულ მისამართზე ხარვეზის დადგენის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინების ასლი ორჯერ გაეგზავნა, თუმცა აღნიშნული გზავნილის მისთვის ჩაბარება ამ მისამართზე მაინც ვერ მოხერხდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გზავნილი აპელანტისათვის ჩაბარებულად ითვლება.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლო სწორად მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილზე. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. კანონის აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, აპელანტის წარმომადგენელ ს. შ-ბაიას ოჯახის წევრისათვის სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ჩაბარება უნდა ჩაითვალოს ს. შ-ბაიას მიერ ჩაბარებად, აღნიშნული კი, თავის მხრივ, მიიჩნევა აპელანტისათვის ჩაბარებად.

ის გარემოება, რომ ვ. პ-კი კერძო საჩივარში ს. შ-ბაიასათვის წარმომადგენლობითი უფლება-მოსილების შეწყვეტაზე მიუთითებს, არ ასაბუთებს წარმომადგენლისათვის ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების არასწორად გაგზავნას, რამდენადაც აღნიშნული დროისათვის საქმეში არსებული რწმუნებულება, რომლითაც მოსარჩელე ვ. პ-კის თავის წარმომადგენელ ს. შ-ბაიასათვის სააპელაციო საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება ჰქონდა მინიჭებული, ვადაში იყო და მარწმუნებლის ან რწმუნებულის მიერ წარმომადგენლობის შეწყვეტის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 5-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2008 წლის 25 სექტემბერს და დასრულდა 2008 წლის 30 სექტემბერს. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარუდგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე და 368.5 მუხლები ასევე ითვალისწინებს, რომ, თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, კერძო საჩივარი აღარ მიიღება. ვინაიდან ვ. პ-კიმ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო სააპელაციო საჩივრის ხარვეზი, მითითებული ნორმების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ვ. პ-კის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

- ვ. პ-კის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### 4. საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში

##### სასამართლო გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

##### განჩინება

#ას-475-716-08

1 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება

##### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 4 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ო. ს-შვილმა. მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის 23 მარტს ხელშეკრულება დადო შ. ჩ-შვილთან, 2006 წლის 22 მარტს - თ. ხ-ძესთან, 2006 წლის 25 მარტს - პ. გ-ძესთან. რომელთა საფუძველზე აღნიშნული სტუდენტები ი/მ „ო. ს-შვილის“ ხელშეწყობით გაემგზავრნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სხვადასხვა ობიექტებზე სამუშაოების შესასრულებლად გასამრჯელოს მიღების სანაცვლოდ. ხელშეკრულების მე-3 პარაგრაფის მიხედვით, აშშ-დან დაბრუნებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოპასუხეები უნდა გამოცხადებულიყვნენ მოსარჩელესთან და ხელი მოეწერათ დაბრუნების ანკეტაზე. ხელშეკრულების მე-7 პარაგრაფის მე-3 პუნქტის მიხედვით, განისაზღვრა პირგასამტეხლო 5000 აშშ დოლარის ოდენობაზე ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. მოპასუხეებს განესაზღვრათ სამუშაოდ ყოფნის ვადა. კერძოდ, ჩ-შვილს 2006 წლის 18 სექტემბრამდე, ხ-ძეს - 2006 წლის 30 სექტემბრამდე, გ-ძეს - 2006 წლის 19 ოქტომბრამდე. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეებმა დაარღვეეს ხელშეკრულების პირობა, კერძოდ, სამუშაოს დასრულების შემდეგ არ დაბრუნდნენ საქართველოში და არ გამოცხადდნენ დადგენილ ვადაში დაბრუნების ანკეტის შესავსებდ.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის პირგასამტეხლოს 5000 აშშ დოლარის გადახდევინების დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - შ. ჩ-შვილს, თ. ხ-ძესა და პ. გ-ძეს თითოეულს დაეკისრა 2000 აშშ დოლარის გადახდა ი/მ „ო. ს-შვილის“ სასარგებლოდ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პ. გ-ძემ და თ. ხ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით პ. გ-ძისა და თ. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება თ. ხ-ძისა და პ. გ-ძისათვის თითოეულისათვის 2000 აშშ დოლარის ი/მ „ო. ს-შვილი-ს“ სასარგებლოდ გადახდის ნაწილში. ი/მ „ო. ს-შვილი“-ს სარჩელი თ. ხ-ძისა და პ. გ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შ. ჩ-შვილის მიერ ი/მ „ო. ს-შვილი-ს“ სასარგებლოდ 2000 აშშ დოლარის გადახდევინების ნაწილში.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აშშ-ის ფირმა „აპექს უსან-იკმა“, რომლის წარმომადგენელია ი/მ „ო. ს-შვილი“, დადო ხელშეკრულება თ. ხ-ძესა და პ. გ-ძესთან. ამ ხელშეკრულების მე-3 პარაგრაფის მიხედვით, სტუდენტი მოვალეა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ დატოვოს აშშ-ის ტერიტორია და დაბრუნდეს საქართველოში სავიზო რეჟიმის დაურღვევლად, ხელი მოაწეროს საქართველოში დაბრუნებიდან არა უმეტეს 10 დღისა დაბრუნების ანკეტას.

პალატამ მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების მე-7 პარაგრაფის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და, შესაბამისად, მიიჩნია, რომ არ არსებობს პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. ს-შვილმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, რომელიც გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთების ნაწილში მიუთითოს იმ კანონებზე, რომლითაც ხელმძღვანელობდა, მაგრამ მართო კანონებზე მითითება საკმარისი არ არის, სასამართლომ ასევე უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ იხელმძღვანელა ამა თუ იმ კანონებით, რაც არ გაუკეთებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოში.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ივნისის განჩინებით ო. ს-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ პ. გ-ძის და თ. ხ-ძის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლი მიუთითებს საკითხებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოტანის დროს, კერძოდ სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასებით უნდა განსაზღვროს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი. უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ არის შეფასებული მტკიცებულებანი, არც ისაა მითითებული, თურა გარემოებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი. სასამართლო მხოლოდ და მხოლოდ მიუთითებს კანონის ნორმაზე, რომლის საფუძველზეც უნდა შეფასდეს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, თუმცა არ აფასებს ამ ურთიერთობებს. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ბუნებრივია, შემოწმების შედეგები უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. გასაჩივრებული გადაწყვეტილება საჩივართან მითითებაში არ შეიცავს არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შედეგებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ასეთი გარემოების არარსებობისას კი გადაწყვეტილება უქმდება და ხელახალი განხილვისათვის ბრუნდება იმავე სასამართლოში, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლისა.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების ფაქტი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

ო. ს-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

### განჩინება

#ას-86-419-09

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სასაზღვრო მიჯნის დადგენა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. გ-შვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში აღძრა სარჩე-ლი მოპასუხეების: დ. გ-შვილის, თ. გ-შვილის, ვ. გ-შვილის და თ. შ-იას მიმართ სასაზღვრო მიჯნის დადგენის შესახებ. მოსარჩელის მითითებით, 1923 წლის 30 ივნისს პაპამ -ი. გ-შვილმა გ. გ-შვილისაგან შეიძინა მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებით, დღევანდელ მისამართზე ... ქ.#11-ში. მიწის ნაკვეთი შეადგენდა 328 კვ.მ-ს და გამოყოფილ იქნა ... ქ.#9-დან. 1995 წელს აღნიშნული ნაკვეთი მოსარჩელეს დედისაგან გადაეცა საკუთრებაში. მართალია, მეზობელ ნაკვე-თებს შორის გამმოქნავი ღობე აღმართული არ ყოფილა, მაგრამ ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 2004 წლის 19 მარტს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმით, მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი შემოფარგლულია მყარი შავი ფერის ხაზით და არავითარი თანასაკუთ-რება მასში მითითებული არ არის.

მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, ტექნიკურს მიერ გაცემული გეგმა-ნახაზის საფუძველზე, მიმართა საჯარო რეესტრს და ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს. ადმინისტრაციული საქმის განხილვაზე მოპასუხე ა.გ-შვილმა და თ.შ-იამ წარადგინეს გეგმა, სადაც გაურკვეველი მიზეზის გამო მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთები წყვეტილი შავი ფერის ხაზით არის გამიჯნული. აღნიშნული გამო, მოსარჩელეს უარი ეთქვა საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე.

მოსარჩელის მოსაზრებით, 1923 წლის ხელშეკრულებისა და 2004 წლის ტექნიკური ინვენტა-რიზაციის ბიუროს მიერ გაცემული გეგმის საფუძველზე. შესაძლებელია დადგინდეს ზუსტი სასაზ-ღვრო მიჯნა ... #9 და #11 ნაკვეთებს შორის და საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე მოპასუ-ხეთა უარი იმ საფუძველით, რომ მათ არ ექნებათ სამანქანო გზა, უსაფუძვლოა.

2006 წლის 18 მაისს მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი დაზუსტებული სარჩელით მოპასუხედ მითითებულ იქნა თ. გ-შვილი, ა. გ-შვილი, ვ. გ-შვილი და თ. შ-იას, ხოლო მოთ-ხოვნა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: 1) აღიარებულ იქნეს ზ.გ-შვილის საკუთრების უფლება საჯა-რო რეესტრის სამსახურის მიერ დადგენილ საზღვრებში მიწის ნაკვეთზე, მდებარე თბილისში, ... ქ.#11-სა და #9-ს შორის და 3) აეკრძალოს მოპასუხეებს სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში ხელ-შეშლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. გ-შვილს, ა. გ-შვილს და თ. შ-იას აეკრძალათ ზ. გ-შვილისათვის სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში ხელშეშლა იმის გათვალისწინე-ბით, რომ შენარჩუნებულ იქნეს აუცილებელი სამანქანო გზა თ. შ-იას მიერ თავისი ბინით სარ-გებლობისათვის. იმავე გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა საკუთრების უფლების სასამარ-თლოს მიერ აღიარებისა და სასაზღვრო მიჯნის დადგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რასაც სასამართლომ საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ ზ.გ-შვილის საკუთრების უფლება უკვე დადგენილი იყო საჯარო რეესტრის ამონაწერით, ხოლო ამ მიწის საზღვრები დადგენილია საკა-დასტრო რუკით, შესაბამისად, მოსარჩელეს არ გააჩნდა სასამართლოს გადაწყვეტილებით მათი აღიარების მიმართ იურიდიული ინტერესი. გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად სასამარ-თლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 180-ე მუხლზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაზე სააპელა-ციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელე ზ.გ-შვილმა და მოითხოვა 27.02.2007 წლის გადაწყვეტი-ლების ნაწილობრივ გაუქმება სამანქანო გზის შენარჩუნების ნაწილში. გადაწყვეტილებაზე სააპელა-ციო საჩივარი წარადგინეს ა. გ-შვილმა, თ. გ-შვილმა და თ. შ-იამაც, რაც თბილისის სააპელა-ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.09.2007 წლის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გაშვების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განჩინებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 27.02.2007 წლის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ის გარემოება, რომ ზ. გ-შვილი წარმოადგენს თბილისში, ... ქ.#11-ში მდებარე 311 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეს. საკადასტრო რუკით აღნიშნულია ნაკვეთის საზღვრები.

ზ. გ-შვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთს ესაზღვრება ... ქ.#9-ში მდებარე 323 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც წარმოადგენს მოპასუხეებისა და სხვა თანამესაკუთრეთა საერთო საკუთრებას. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ ნაკვეთებს შორის სასაზღვრო მიჯნა აღმართული არ ყოფილა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს სრულყოფილად არა აქვს დადგენილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების დადგენა შესაძლებელი იყო სპეციალური ცოდნის საფუძველზე, ადგილზე აზომვითი სამუშაოების ჩატარებითა და მხარეთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნახაზებთან შეჯერებით.

სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივ საფუძველად გამოიყენა სკ-ის 170-ე და 181-ე მუხლები.

2008 წლის 18 ივნისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ზ. გ-შვილმა და მოითხოვა განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება. კასატორის მითითებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

მითითებული ნორმების თანახმად, სააპელაციო სასამართლო შეზღუდულია სააპელაციო საჩივრის, ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით. რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ფაქტობრივი თუ იურიდიული დასაბუთებულობა სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნასთან მიმართებაში, ე.ი. მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. შემოწმების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გასაუქმებელია არა მხოლოდ იმ ნაწილში, რომელსაც მოითხოვს აპელანტი, არამედ მთლიანად. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო ვერ გააუქმებს გადაწყვეტილებას მთლიანად, ან იმ ნაწილში, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი, რადგან ეს იქნებოდა საუარესოდ შებრუნება, რასაც კრძალავს ზემოთ აღნიშნული ნორმები. საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლების უზრუნველყოფის გარანტიას, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი, არ შეიცვლება მის საზიანოდ.

მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს სასაზღვრო მიჯნის დადგენა და მის აღმართვაში ხელშეშლის აღკვეთა ორ სადავო ნაკვეთებს შორის (ქ. თბილისი, ... #11-სა და #9-ს შორის) საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, თ. გ-შვილს, ა. გ-შვილს და თ. შ-ის აკრძალვით ზ. გ-შვილისათვის სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში ხელშეშლა იმის გათვალისწინებით, რომ შენარჩუნებულ იქნეს აუცილებელი სამანქანო გზა შ-ის მიერ თავისი ბინით სარგებლობისათვის. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა მხოლოდ სამანქანო გზის შენარჩუნების ნაწილში. ზ. გ-შვილს სააპელაციო სასამართლოში არ გაუსაჩივრებია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ გამოტანილ ნაწილში, კერძოდ, მიჯნის აღმართვის ხელშეშლის აკრძალვის ნაწილში, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მხოლოდ იმ ნაწილზე რომელიც აპელანტმა გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ კი თავისი განჩინებით მთლიანად გააუქმა საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია სა-



მოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე და 384-ე მუხლების მოთხოვნები, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე, 384-ე და 284-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

ზ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დავის საგნის შეცვლა და გადიდება**

**განჩინება**

#ას-21-358-09

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),**

**რ. ნადირიანი (მომხსენებელი),**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** დავალიანების ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 11 მაისს შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სს "რუსთავის წყალსადენის" მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მისთვის დავალიანების - 839478,13 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 1998 წლის პირველ ნოემბერს სახელმწიფო კომპანია "ელექტროგა-დაცემასა" და სახაზინო საწარმო "რუსთავწყალს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება პირდაპირი მომხმარებლისათვის ელექტროენერგიისა და სიმძლავრის გადაცემის თაობაზე, რომლის თანახმა-დაც, კომპანია "ელექტროგადაცემა" კისრულობდა ვალდებულებას მის განმავლობაში არსებული ქსელის მეშვეობით სახაზინო საწარმო "რუსთავწყალისათვის" მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათ-ვალისწინებული რაოდენობის ელექტროენერგია, ხოლო, თავის მხრივ, სახაზინო საწარმო "რუს-თავწყალი" იღებდა ვალდებულებას, დადგენილი ტარიფის შესაბამისად გადაეხადა ელექტროენერ-გიის საფასური. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებ-ლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრა გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადა-გადაცილებულ დღეზე. მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა, რის გამოც 2002 წლის 20 ნოემბერს საზოგადოებებს შორის გაფორმებულ იქნა 1999 წლის პირველი იანვრიდან 2002 წლის პირველ ნოემბრამდე პერიოდის ბუღალტრული შედარების აქტი, რომლის შესაბამისად, სს "რუსთავწყალი" აღიარებდა შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" წინაშე არსებულ დებიტორულ დავალიანებას -839473,00 ლარს. იმის გამო, რომ მოპასუხე არ იხდის მის მიერ აღიარებულ დავალიანებას, მოსარჩელემ მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხი-სათვის აღნიშნული თანხის დაკისრება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 აგვისტოს საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხე სს "რუსთავის წყალსადენი" შეიცვალა სათანადო მოპასუხე შპს "რუსთავწყალით".

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს "საქარ-თველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალური დირექტორისა და რეაბილიტაციის მმარ-თველის ჯ. ქ-ტის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -შპს "რუსთავწყალს" მოსარჩელე შპს

“საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” სასარგებლოდ დაეკისრა 297370 ლარის გადახდა, მოსარჩელეს უარი ეთქვა 542108 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ორივე მხარემ. შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა” მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

შპს “რუსთაველა” სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის განჩინებით შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით შპს “რუსთაველის” სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას” უარი ეთქვა მოპასუხე შპს “რუსთაველისათვის” 297370 ლარის დაკისრების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1998 წლის პირველ ნოემბერს სახელმწიფო კომპანია “ელექტროგადაცემასა” და სახაზინო საწარმო “რუსთაველას” შორის გაფორმდა ხელშეკრულება პირდაპირი მომხმარებლისათვის ელექტროენერჯისა და სიმძლავრის გადაცემის თაობაზე ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით. ხელშეკრულების თანახმად, კომპანია “ელექტროგადაცემა” კისრულობდა ვალდებულებას, მის განკარგულებაში არსებული ქსელის მეშვეობით სახაზინო საწარმო “რუსთაველისათვის” მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის ელექტროენერჯია, ხოლო, თავის მხრივ, სახაზინო საწარმო “რუსთავეალი” იღებდა ვალდებულებას, დადგენილი ტარიფის შესაბამისად გადაეხადა ელექტროენერჯის საფასური. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრა გადაუხდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

2002 წლის 20 ნოემბერს შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა” და შპს “რუსთაველას” შორის გაფორმებულ იქნა 1999 წლის პირველი იანვრიდან 2002 წლის პირველ ნოემბრამდე პერიოდის ბუღალტრული შედარების აქტი, რომლის შესაბამისად დავალიანებამ შეადგინა 839473,00 ლარი, საიდანაც ძირითადი თანხა შეადგენდა 297370 ლარს, ხოლო დარიცხული საურავი -542103,00 ლარს. შედარების აქტი ხელმოწერილია საწარმოს დირექტორებისა და მთავარი ბუღალტრების მიერ და დამოწმებულია საწარმოთა ბეჭდებით;

სახელმწიფო კომპანია “ელექტროგადაცემას” უფლებამონაცვლეს წარმოადგენს შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”, ხოლო სახაზინო საწარმო “რუსთაველის” უფლებამონაცვლეს – შპს “რუსთავეალი”;

შპს “რუსთავეალი” სააპელაციო საჩივარში, შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” სარჩელის უსაფუძვლობის გარდა უთითებდა სარჩელის ხანდაზმულობას, ვინაიდან გასული იყო სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” წარმომადგენლის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან მოპასუხეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ მიუთითებია სარჩელის ხანდაზმულობაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ემსჯელა სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუთითებელი მუხლის მიხედვით, ვალდებული პირი უფლებამოსილია, მიუთითოს სარჩელის ხანდაზმულობაზე და უარი ეთქვას მოქმედების შესრულებაზე საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, თუ სარჩელის ხანდაზმულობის ფაქტის დასადასტურებლად არ არის მოყვანილი ახალი ფაქტები და არ არის წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებები. განსახილველ შემთხვევაში კი, სააპელაციო სასამართლოს აზრით, აპელანტმა მიუთითა რა სარჩელის ხანდაზმულობაზე, ამ ფაქტის დასადასტურებლად არ წარაგინა ახალი მტკიცებულებები, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი უფლებამოსილი იყო, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შეემოწმებინა მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებული ფაქტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ვინაიდან მოსარჩელე მოთხოვნას აფუძნებდა საზოგადოებებს შორის 2002 წლის 20 ნოემბერს შედგენილ საბუღალ-

ტრო შედარების აქტზე, ხოლო მან სარჩელი სასამართლოში აღძრა 2007 წლის 11 მაისს, სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლების შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმული იყო და იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხემ აღიარა 112082,00 ლარის დავალიანების არსებობა, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ შპს „რუსთაველის“ სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანად მიიჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, ამასთან, არასწორად განმარტა იგი.

კასატორის აზრით, მიუხედავად სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებისა, სააპელაციო სასამართლომ შპს „რუსთაველის“ სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა სარჩელის ხანდაზმულობის მოტივით, მაშინ, როდესაც შპს „რუსთაველის“ სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი სადავოდ არ გაუხდია არც პირველი ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ სააპელაციო საჩივარში. აღნიშნული საკითხი მოწინააღმდეგე მხარმ დააყენა მხოლოდ დამატებით სააპელაციო საჩივარში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის საქმის წარმოების ეტაპზე განხილვით, დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 381-ე მუხლის მოთხოვნები. ამასთან, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა და სამართლებრივად არასწორი შეფასება მისცა შპს „რუსთაველის“ მიერ რუსთავის საქალაქო სასამართლოში გაკეთებულ აღიარებას სასარჩელო მოთხოვნის საერთო თანხიდან 112082,00 ლარის დავალიანების ფაქტის არსებობის თაობაზე, მაშინ, როდესაც არც პირველი ინსტანციის სასამართლოში და არ სააპელაციო სასამართლოში, მოწინააღმდეგე მხარის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მათ არ გაუქარწყლებიათ დავალიანების არსებობის ფაქტის აღიარება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილი ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ფაქტები, რომელთა შესახებ ცნობილია მხარეებისათვის, უნდა წარედგინოს პირველი ინსტანციის სასამართლოს. ახალი ფაქტები ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც ადრე არ იყო მითითებულ მხარეების მიერ იმის გამო, რომ მათთვის არ იყო ცნობილი და წარმოიშვა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ. მხარეებს, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს სააპელაციო საჩივრით ან ამ საჩივარზე შესაგებლით, შეუძლიათ მოიყვანონ ახალი ფაქტები და წარადგინონ ახალი მტკიცებულებები, მაგრამ სააპელაციო სასამართლო მიიღებს მათ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძოდ, სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომელიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ახალი ფაქტებისა და ახალი მტკიცებულებების მიღებისა და გამოკვლევის დასაშვებობის 380-ე მუხლით დადგენილი პირობები.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ შპს „რუსთაველის“ პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის ხანდაზმულობაზე არ მიუთითებია, სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი დააყენა მხოლოდ დამატებით სააპელაციო საჩივარში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვალდებული პი-

რი უფლებამოსილია, მიუთითოს სარჩელის ხანდაზმულობაზე და უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, თუ ხანდაზმულობის ფაქტის დასადასტურებლად არ არის მოყვანილი ახალი მტკიცებულებები და ფაქტები.

სააპელაციო პალატის აღნიშნულ დასკვნას საკასაციო პალატა არ იზიარებს და თვლის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი. მითითებული ნორმა ადგენს არა მხოლოდ ახალი მტკიცებულებების, არამედ ახალი ფაქტების მიღებისა და დასაშვებობის პირობებს. ამასთან, აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს რომელიმე ფაქტის მიმართ. აქედან გამომდინარე, სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეს ხანდაზმულობის საკითხის დაყენება საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია, სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

აღნიშნულის გამო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ უნდა გამოიკვილოს, შეეძლო თუ არა მოპასუხეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მიეთითებინა სარჩელის ხანდაზმულობაზე. იმ შემთხვევაში თუ მხარემ არასაპატიო მიზეზით არ მიუთითა ხანდაზმულობის ფაქტზე, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტს და უნდა იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის სხვა საფუძველებზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **დავის საგნის შეცვლა და გადიდება**

#### **განჩინება**

#ას-377-694-09

9 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** ბინის კეთილსინდისიერ მფლობელად აღიარება, ბინის საკუთრებაში გადაცემა, ზიანის ანაზღაურება.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. კ-შვილმა სარჩელი აღძრა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვერა-99-ის“ მიმართ -ბინის კეთილსინდისიერ მფლობელად აღიარების, სანაცვლო ბინით უზრუნველყოფისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. კ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეებს ი. თ-შვილსა და ინდ. მენაშენთა ამხანაგობა „ვერა-99-ს“ მ. კ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ 14 640 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება; ნივთების ღირებულების 2 570 ლარის ანაზღაურება; მიუღებელი ქირის ანაზღაურება 2004 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 31 იანვრამდე 6 100 აშშ დოლარის და 2009

წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 100 აშშ დოლარის ოდენობით.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. კ-შვილი წლების განმავლობაში ფლობდა . . . ქ.#26-ში მდებარე ი. თ-შვილის საკუთრებაში არსებულ ბინის ნაწილს და მხარეთა შორის არსებობდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულება.

მოპასუხეებმა ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ვერა-99-მა“ და ი. თ-შვილმა ურთიერთშეთანხმებით, მოსარგებლის ნების საწინააღმდეგოდ, მოახდინეს მ. კ-შვილის მფლობელობაში არსებული ბინის დემონტაჟი, რამაც გამოიწვია ბინაზე მ. კ-შვილის მართლზომიერი მფლობელობის შეწყვეტა.

მ. კ-შვილს მფლობელობის შეწყვეტის სანაცვლოდ მოპასუხეებისაგან კანონიდან გამომდინარე კომპენსაცია არ მიუღია.

პალატამ მიიჩნია, რომ დღევანდელი ს-ძრო პირობების გათვალისწინებით სადავო მისამართზე მ. კ-შვილის მფლობელობაში არსებული ბინის ღირებულება 1 კვ.მ.-ზე შეადგენს 800 აშშ დოლარს. აქედან გამომდინარე 18,3 კვ.მ.-ის ღირებულებაა 14640 აშშ დოლარი. ამდენად, მოპასუხეები ვალდებული არიან, მ. კ-შვილს აუნაზღაურონ თავიანთი მოქმედებებით მიყენებული ზიანი 14.640 აშშ დოლარის ოდენობით.

იმის გამო, რომ მ. კ-შვილს მოპასუხეებმა ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დაუნგრეს მის სარგებლობაში არსებული ფართი, ხოლო მას სხვა საცხოვრებელი ფართი არ გააჩნია, პალატის განმარტებით, მოპასუხეების მიერ მიყენებული ზიანი ასევე მოიცავს იმ ქირის ოდენობასაც, რომელიც მ. კ-შვილმა უნდა გადაიხადოს საცხოვრებელი სახლის დასაქირავებლად.

პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეები სკ 992-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე ვალდებული არიან, აუნაზღაურონ მოსარჩელეს ბინის ქირა მისთვის 14640 აშშ დოლარის გადაცემამდე, თვეში 100 აშშ დოლარის ოდენობით.

პალატის განმარტებით, დადგენილია, რომ მ. კ-შვილის მფლობელობაში არსებული ფართის დემონტაჟისას იქ არსებული, მ. კ-შვილის ნივთები გატანილ იქნა და მოსარჩელეს არ გადასცემია. მოპასუხეებს ნივთების ღირებულება სადავოდ არ გაუხდიათ, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილშიც მოთხოვნა საფუძვლიანია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება; ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრა მ. კ-შვილმა.

კასატორის განმარტებით, ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი ნივთების ღირებულების ანაზღაურების და მიუღებელი ქირის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო მოპასუხეების მიერ 100 კვ.მ.-ის გადმოცემის თაობაზე უარი ეთქვა ყოველგვარი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების გარეშე.

კასატორი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11 ნოემბრის განჩინებას საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, რომელიც შეეხებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას, უკანონოდ მიიჩნევს. კასატორის განმარტებით, დარღვეულია 237-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, რადგანაც ორგანიზაციის თანამშრომელმა მ-ძემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაიბარა 2008 წლის 29 ოქტომბერს, ხოლო საჩივარი შემოსულია 2008 წლის 10 ნოემბერს, რაც მოწმობს, რომ დარღვეულია საჩივრის შეტანის 10-დღიანი ვადა. ამიტომ, კასატორის განმარტებით, სასამართლოს არ უნდა მიეღო აღნიშნული საჩივარი, არ უნდა განეხილა 2009 წლის 22 იანვრის სასამართლო სხდომაზე, რომლის საფუძველზეც შემდგომში გაუქმებულ იქნა 2008 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

კასატორი ი. თ-შვილის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობას არასაპატიოდ მიიჩნევს, რადგან სასამართლოს მიერ მას და მის წარმომადგენლის გ.კვერენჩილაძეს გაეგზავნა სასამართლო უწყება და, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, იგი ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე, საქმეში არ არის არანაირი მტკიცებულებულება იმის შესახებ, რომ ი. თ-შვილი ნამდვლად იმყოფებოდა საზღვარგარეთ.

კასატორის განმარტებით, „ვერა 99-ის“ წარმომადგენელი მ. ქ-ძე 2009 წლის 22 იანვრის სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა და მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში, როდესაც მის სახელზე გაცემული მინდობილობა ძალაში იყო 2008 წლის 30 დეკემბრამდე, მაგრამ სასამართლოს პროცესის დაწყების დროს არ შეუმოწმებია მისი წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის განჩინების და 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება. თბილისის

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრა ი. თ-შვილმა.

მან ასევე გასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის საოქმო განჩინება მისი მოპასუხედ საქმეში ჩართვის შესახებ. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, მასში არ არის მითითებული გასაჩივრების წესზე. ასევე იგი გამოტანილია სსკ-ის 84-ე-85-ე მუხლების დარღვევით, რადგან სხდომის ოქმში არ მოიპოვება აპელანტის თანხმობა. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, ამ განჩინებით დაირღვა მხარის, როგორც მოპასუხის, შეჯიბრობითობის პრინციპი, რადგან მას წაერთვა უფლება, წარმოედგინა შესაგებელი და გაექარწყლებინა მოსარჩელის არგუმენტი მის მიმართ.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და იგი ექვემდებარება გაუქმებას.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეებს დააკისრა ზიანი ბინის ქირის ოდენობით, მაგრამ საქმეში წარმოდგენილი არ არის ქირავნობის ხელშეკრულების ან შესაბამისი ზიანის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება. მოპასუხეები არსად აღიარებენ მოსარჩელის მოთხოვნებს. შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო დაესაბუთებინა ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ თავის გადაწყვეტილება.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ თ-შვილის წარმომადგენელმა არ უარყო და საქმეში არსებული მტკიცებულებებითაც დადასტურებულია, რომ მ.კ-შვილი წლების განმავლობაში ფლობდა . . . ქ.#26-ში მდებარე, ი. თ-შვილის საკუთრებაში არსებული ბინის ნაწილს და მხარეთა შორის არსებობდა საცხოვრებელი სადგომის უფლების დათმობის ხელშეკრულება. თ-შვილის წარმომადგენელი კი სხდომის ოქმებში მხოლოდ იმ გარემოებას აღიარებს, რომ მოსარჩელეს (აპელანტს) წარსული წლების განმავლობაში დათმობილი ჰქონდა საცხოვრებელი ფართი, რომელზეც მან თავად მიატოვა მფლობელობა, რადგან ძალიან დიდი ხნით წავიდა სადავო საცხოვრებელი ტერიტორიიდან, ისე, რომ კომპენსაციის მოთხოვნა არ დაუყენებია. ასეთ ვითარებაში, როცა მხარე არ აღიარებს მოთხოვნას და მოსარჩელის მიერ მოთხოვნის ფაქტობრივ გარემოებას, კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლომ უნდა შეაფასოს მტკიცებულებანი.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი, როდესაც მოსარჩელეს დაუდგინა „მოსარგებლის“ სტატუსი. ამასთანავე სასამართლომ ზიანის დასაბუთებისათვის საერთოდ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსი (არ მიუთითა ზიანის დადგენისა და ქირის დაკისრების საფუძვლად ნორმა).

კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის საოქმო განჩინების გაუქმება ი. თ-შვილის მოპასუხედ საქმეში ჩართვის შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრებს და თვლის, რომ ი. თ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მ. კ-შვილი სარჩელით ითხოვდა თბილისში . . . ქ.#26-ში მდებარე სხლთმფლობელობის #2-ე 16,40 კვ.მ-ის საცხოვრებელი ოთახის და დამხმარე 7,98 კვ.მ. კეთილსინდისიერ მფლობელად აღიარებას, აგრეთვე, მშენებარე ბინაში საკუთრების უფლებით ბინის გადაცემის მოპასუხისათვის დავალდებულებას, აგრეთვე დაკარგული ნივთების კომპენსაციის 2570 ლარის გადახდევინებას როგორც სააპელაციო სასამართლო უთითებს, მ.კ-შვილმა სააპელაციო პალატაში გაზარდა მოთხოვნა მოპასუხე ი. თ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებს დაკისრებოდათ ბინის ქირა თვეში 100 აშშ დოლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მ.კ-შვილი წლების განმავლობაში ფლობდა მის მიერ მითითებულ ფართს ი. თ-შვილის საცხოვრებელ ფართში. მაგრამ ინდ. ბინათმშენელობის ამხანაგობა „ვერა-99-ისა“ და ი. თ-შვილის ურთიერთშეთანხმებით მოხდა ზემოთ მითითებული სახლის დემონტაჟი და მ.კ-შვილის მართლზომიერი მფლობელობის შეწყვეტა ისე, რომ მას სანაცვლო კომპენსაცია არ მიუღია. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა მას მიაყენეს ზიანი, რის გამოც ორივე მოპასუხეს მ. კ-შვილის სასარგებლოდ დააკისრა 14640 აშშ დოლა-

რის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება. მათვე დაეკისრა ნივთების ღირებულება 2570 ლარით და ქირის ანაზღაურება ყოველთვიურად 100 აშშ დოლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა სასამართლომ განიხილა საპროცესო ნორმათა დარღვევით, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მ.კ-შვილმა მატერიალური და მორალური ზიანის (გარდა მის საცხოვრებელ ფართში არსებული ნივთების დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანისა.) ასევე ბინის ქირის თაობაზე მოთხოვნა დააყენა სააპელაციო სასამართლოში 2007 წელს. იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადადება სააპელაციო სასამართლოში უკვე დაუშვებლად იყო მიჩნეული (ცვლილება განხორციელდა 2006 წლის 13 ივლისის კანონის თანახმად). ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ მითითებული მოთხოვნების დაყენება სააპელაციო სასამართლოში არ ნიშნავს დავის საგნის შეცვლას ან გადიდებას. ფაქტობრივად მ. კ-შვილმა სააპელაციო ინსტანციაში დააყენა სრულიად ახალი სარჩელი, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში არ განხილულა, რასაც საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ანუ დავის განხილვისას სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა ქირის თაობაზე, ასევე, ზიანის მიყენების თაობაზე.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მითითებულ საკითხებზე არ ჰქონდა გადაწყვეტილების გამოტანის უფლება.

ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის აზრს იმის თაობაზეც, რომ ი. თ-შვილი მხარედ ჩართული არ იქნა კანონის მოთხოვნათა დაცვით. როგორც სააპელაციო სასამართლო უთითებს, ი. თ-შვილი საქმეში მხარედ ჩართო ზემდგომი სასამართლოს მითითებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ უზენაესი სასამართლოს განჩინება ასეთი სახის მითითებას არ შეიცავს. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე-85-ე მუხლის მოთხოვნებს. თუ სააპელაციო სასამართლო ჩათვლიდა, რომ არსებობდა ამ მუხლებში მითითებულ გარემოებებს, სასამართლოს მხარე უნდა შეეცვალა ამ ნორმების მოთხოვნათა დაცვით და არა ზემდგომი სასამართლოს მითითების საფუძველზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პალატა მიიჩნევს, რომ ნივთების დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანისა და დანგრეული ბინის მართლზომიერ მფლობელად ცნობის ნაწილში ი. თ-შვილი წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს ი. თ-შვილის საქმეში მოპასუხედ ჩართვის თაობაზე განჩინების გაუქმებას.

რაც შეეხება მ. კ-შვილის საკასაციო საჩივარს, იგი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას. კასატორის აზრით, დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეტანილია გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული მოსაზრებას პალატა ვერ გაზიარებს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ვერა 99-ს“ ჩაჰბარდა 2008 წლის 29 ოქტომბერს. გასაჩივრების ათდღიანი ვადა გავიდა 8 ნოემბერს, შაბათ დღეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. აღნიშნულიდან გამომდინარე გასაჩივრების ვადა იწურებოდა 10 ნოემბერს, როცა შეტანილი იქნა საჩივარი, შესაბამისად, საჩივარი არ შეიძლება ჩაითვალოს ვადის დარღვევით შეტანილად.

რაც შეეხება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვას, სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი განხილულია საპროცესო ნორმათა დარღვევით და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე უნდა გაუქმდეს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ი. თ-შვილს დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრება იმავდროულად არ ნიშნავს მეორის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებასაც, თუმცა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გაუქმებამ შეიძლება გამოიწვიოს მეორის მიმართაც გადაწყვეტილების გაუქმება, რაც გამომდინარეობს დავის საგნის განუყოფლობიდან. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარი შეტანილია, როგორც ამხანაგობის „ვერა 99-ის“ მიერ, ასევე, ი. თ-შვილის მიერ; სასამართლომ სხდომაზე გამოიკვლია მხოლოდ ამ უკანასკნელის გამოუცხადებლობის მიზეზები. სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში კი ნამსჯელია ორივე მათგანის გამოუცხადებლობის შედეგებზე, ამასთან, ი. თ-შვილის დედისთვის უწყების ჩაბარება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, მხარისათვის ჩაბარებად ითვლება და ასეთი მხარის გამოუცხადებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ, თუ მან სათანადო მტკიცებულება არ წარმოადგინა გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ამხანაგობა „ვერა 99-ის“ წარმომადგენელი გარდაიცვალა 2008 წლის 26 ოქტომბერს, რაც უპირობოდ არ ნიშნავს იმას, რომ 2008 წლის 2 ოქტომბრისთვის იგი იმყოფებოდა ავად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის განჩინების დასაბუთება არასრულია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე და საქმე ამხანაგობა „ვერა 99-ის“ საჩივრის განხილვის ეტაპიდან უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, იყო თუ არა მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული საპატიო მიზეზით და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

ი. თ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 იანვრის განჩინება და 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს

უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის განჩინება ი. თ-შვილის მოპასუხედ საქმეში ჩართვის შესახებ;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის თვითონ გადაწყვეტა**

#### **განჩინება**

#ას-128-458-09

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა:** მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

**რ. ნადირიანი (მომხსენებელი),**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 21 აპრილს გ. და ხ. შ-შვილებმა სარჩელით მიმართეს თელავის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების -ლ. ჯ-შვილის, ნ. კ-შვილის, დ. კ-მისა და ნოტარიუს ც. კ-შვილის მიმართ და მოითხოვეს დ. ჯ-შვილსა და მოპასუხეებს - ლ. ჯ-შვილს, ნ. კ-შვილსა და დ. კ-მეს შორის 2004 წლის 3 ივნისს ნოტარიუს ც. კ-შვილის მიერ დადასტურებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება და ნოტარიუსის დავალდებულება გასცეს სამკვიდრო მოწმობა 2008 წლის 8 თებერვალს გარდაცვლ. ნ. შ-შვილის სასარგებლოდ მისი დედის 1991 წლის 25 ივლისს გარდაცვლ. მ. ჯ-შვილის დანაშთ ქონებაზე -ქ. თელავში, ... ქ.#20-ში მდებარე დ. ჯ-შვილის სახელზე რიცხული სახლის კუთვნილი წილის ნაწილზე, ა/მანქანა "ვოლგის" მისსავე წილსა და ანაბარზე.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით გ. და ხ. შ-შვილების სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.



თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. და ხ. შ-შვილებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გ. და ხ. შ-შვილების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თელავის რაიონული სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. და ხ. შ-შვილების დედა ნ. შ-შვილი და მოპასუხეები - ლ. ჯ-შვილი, ნ. კ-შვილი და დ. კ-მე არიან დები;

მ. ჯ-შვილს გაცემული აქვს ანდერძი ნ. შ-შვილის სასარგებლოდ;

თელავში, ... ქ.#20-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ტექნიკური ბიუროს მონაცემით ირიცხებოდა დ. ჯ-შვილის სახელზე;

დ. ჯ-შვილმა თავის სახელზე რიცხული უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულებით 2004 წლის 3 მაისს აჩუქა მოპასუხეებს ლ. ჯ-შვილს, ნ. კ-შვილსა და დ. კ-მეს;

დ. ჯ-შვილი და მ. ჯ-შვილი 1947 წლიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში;

მოსარჩელებების მოთხოვნაა, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, 2008 წლის 8 თებერვალს გარდაცვლ. ნ. შ-შვილის სასარგებლოდ მისი დედის 1991 წლის 25 ივლისს გარდაცვლ. მ. ჯ-შვილის დანაშთ ქონებაზე - დ. ჯ-შვილის სახელზე რიცხული სადავო სახლის კუთვნილის წილის ნაწილზე;

მ. ჯ-შვილმა ქონება, რაც გარდაცვალების მომენტში აღმოჩნდებოდა მამკვიდრებლის სახელზე ანდერძით დაუტოვა მოსარჩელეთა დედას - ნ. შ-შვილს, რომელმაც სამკვიდრო მიიღო სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის უარსაყოფად მიუთითა ის გარემოება, როგორც გარდაცვალების მომენტისათვის მამკვიდრებელ მ. ჯ-შვილს არ გააჩნდა სამკვიდრო ქონება. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა სამკვიდრო აქტივი, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას მიეღოთ მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებები;

საქმეში წარმოდგენილი თელავის ტექნიკური აღრიცხვის ბარათით სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ სადავო სახლი რეგისტრირებულია 1966 წლის 27 აგვისტოს დ. ჯ-შვილის სახელზე; ასევე დადგინებია, რომ ამ დროისათვის დ. და მ. ჯ-შვილები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, ხოლო ამავე სააღრიცხვო ბარათში რეგისტრაციის საფუძველად მითითებულია საკომლო დავთარი;

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თელავის რაიონულმა სასამართლომ არ გამოარკვია ის გარემოება, თუ რა საფუძველით იქნა აღრიცხული მითითებული სახლი დ. ჯ-შვილის სახელზე და რაზე მიუთითებდა რეგისტრაციის საფუძველად არსებული ჩანაწერი საკომლო დავთრის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რეგისტრაციის საფუძველის გამორკვევა წარმოადგენდა მნიშვნელოვან მომენტს იმ გარემოების დასადგენად, ხომ არ იყო სადავო ქონება საკომლო საკუთრება და თუ ეს დადასტურდებოდა, იყო თუ არა მ. ჯ-შვილი კომლის წევრი, რომლის მიმართაც შეიძლება გავრცელდეს საერთო საკუთრების მარეგულირებელი ნორმები, რაც მოწესრიგებული იყო 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 125-ე-128-ე მუხლებით და ამავე კოდექსის 122-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, საკოლმეურნეო კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით;

სააპელაციო სასამართლოს აზრით, იმ შემთხვევაში თუკი დადასტურდება ის გარემოება, რომ საქმე ეხება საკომლო ქონებას და მ. ჯ-შვილი იყო კომლში რეგისტრირებული წევრი, რაც მას მოუპოვებს საკუთრების უფლებას კომლის საერთო ქონებაზე, რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა მიიღოს, რამაც შეიძლება შეცვალოს საქმის შედეგი.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნებოდა თელავის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. და ხ. შ-შვილებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორთა განმარტებით, როგორც პირველი ისე მეორე ინსტანციის სასამართლოში, ისინი მიუთითებდნენ, რომ დავის გადაწყვეტისას უნდა გამოყენებულიყო არა დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი, არამედ 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და საქართველოს

“სოჯახო და საქორწინო კოდექსის” მუხლები, რაც უარყოფილ იქნა პირველ ინსტანციის სასამართლოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მათი საჩივარი, განჩინებაში არ მიუთითებია საქართველოს “სოჯახო და საქორწინო კოდექსის” 21-ე მუხლზე, რაც განსაზღვრავდა მეუღლეთა თანასაკუთრების უფლებას ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე. კსატორთა აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო სახლი დ. ჯ-შვილის სახელზე 1966 წლის 27 აგვისტოს პირველად იქნა აღრიცხული, ხოლო პაპა-ბებია კი რეგისტრირებული ქორწინებით იქორწინეს 1947 წელს, სახლი, მითითებული მუხლის საფუძველზე, წარმოადგენდა მათ თანასაკუთრებას, რაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი იყო.

კსატორის განმარტებით თელავი ქალაქი და იქ არასოდეს ყოფილა კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ არსებობს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევები. ამ მუხლის მე-2 ნაწილი იმავდროულად არ ადგენს საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების აუცილებლობას და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ პროცესუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება და აღნიშნული ხომ არ გამოიწვევს საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია პირველ ინსტანციაში გადააგზავნოს საქმე, თუ მნიშვნელოვნად დაირღვა საპროცესო ნორმები, რაც ართულებს საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების საფუძველად უთითებს თელავის ტექნიკური აღრიცხვის ბარათზე, რომლის მიხედვით ქ.თელავში, ... ქ.#20-ში მდებარე სახლი რეგისტრირებულია დ. ჯ-შვილის სახელზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ბარათი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ არის შეფასებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ, არ არის გამოკვლეული რეგისტრაციის საფუძველი. სააპელაციო სასამართლო არ ასაბუთებს, თუ რატომ არის შეუძლებელი სააპელაციო პალატის მიერ ამ ფაქტის შეფასება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელე თავის მოთხოვნის საფუძველად მიუთითებდა, რომ სადავო სახლი ცოლ-ქმრის -მ. და დ. ჯ-შვილის საერთო საკუთრება იყო, ხოლო მოპასუხეები სარჩელის უარსაყოფად მიუთითებდნენ, რომ სადავო სახლი ირიცხებოდა მამის -დ. ჯ-შვილის სახელზე და დედას არასოდეს გამოუხატავს სურვილი დარეგისტრირებულიყო თანამესაკუთრედ, შესაბამისად, სადავო სახლი არ წარმოადგენდა თანასაკუთრებას. არცერთ მხარეს, მოთხოვნისა და შესაგებლის საფუძველად არ მიუთითებია, რომ სადავო ქონება კომლის საკუთრებას წარმოადგენდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, პირველ ინსტანციაში დაებრუნებინა საქმე ისეთი ფაქტების გასარკვევად, რასაც მხარეები თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებლის საფუძველად არ უთითებენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება და არ დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

გ. და ხ. შ-შვილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის თვითონ გადაწყვეტა განჩინება

#ას-223-549-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 27 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს თ. დ-ძემ და ე. ბ-შვილმა მოპასუხე ნ. ი-შვილის, მესამე პირების -ნ. ბ-შვილის, ნოტარიუს ა. შ-შვილისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნოტარიუსთა პალატის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა) 1985 წლის 4 აპრილს ნ. ი-შვილის სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა; ბ) თბილისში, ... ქ. #33-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ნ. ი-შვილსა და ნ. ბ-შვილს შორის 1995 წლის 2 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; გ) თბილისში, ... ქ. #33-ში მდებარე სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის დადგენა; დ) აღნიშნული ქონების მოსარჩელეთა საკუთრებაში აღრიცხვა.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ თ. დ-ძე და ე. ბ-შვილი არიან აწ გარდაცვლილი კ. დ-ძის და და დისშვილი. კ. დ-ძემ შეადგინა სამი ანდერძი: პირველი ანდერძი შედგენილ იქნა 1980 წლის 25 დეკემბერს, რომლითაც მოანდერძემ საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში მდებარე სახლი უანდერძა ამავე სოფელში მცხოვრებ თავის დას -თ. დ-ძეს; მეორე ანდერძი -1982 წლის 17 მარტს, რომლითაც თბილისში, ... ქ. #33-ში მდებარე პირადი საკუთრების სახლი, ლიტ "ა-ს" 3/4 ნაწილი უანდერძა მეუღლეს -ნ. ი-შვილს; მესამე ანდერძი -1982 წლის 26 ოქტომბერს, რომლითაც მოანდერძემ მთელი ქონება, რომელიც მისი გარდაცვალების დღეს აღმოჩნდებოდა მის საკუთრებაში, მათ შორის, თბილისში, ... ქ. #33-ში მდებარე სახლი, თანასწორ წილში უანდერძა თ. დ-ძეს და ე. ბ-შვილს;

1982 წლის 27 ნოემბერს კ. დ-ძემ პირად საკუთრებაში არსებული სახლი, რომელიც მდებარეობს თბილისში, ... ქ. #33-ში (ლიტერ "ა" შენობის ნაწილი), ნაჩუქრობის ხელშეკრულებით გადასცა თავის დას და დისშვილს -თ. დ-ძეს და ე. ბ-შვილს;

თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლოს 1984 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნაჩუქრობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით ნ. ი-შვილის მიერ აღძრული სარჩელი მოპასუხეების -თ. დ-ძისა და ე. ბ-შვილის მიმართ. სასამართლომ დაადგინა, რომ კ. დ-ძეს 1982 წლის ოქტომბრის თვიდან 1984 წლის იანვრამდე, ე.ი. სიკვდილის დღემდე არ შეეძლო გონივრულად ეხელმძღვანელა თავისი მოქმედებისათვის და გაეგო მათი მნიშვნელობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 1984 წლის 18 ოქტომბრის #877 განჩინებით თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლოს 1984 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი;

1985 წლის 4 აპრილს ნ. ი-შვილმა თბილისში, ... ქ. #33-ში მდებარე ლიტ "ა" საცხოვრებელი სახლის 3/4-ზე მიიღო ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა;

1995 წლის 2 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ნ. ი-შვილმა ზემოაღნიშნული უძრავი ქონება გაასხვისა ნ. ბ-შვილზე.

მოსარჩელეთა განმარტებით, ნ. ი-შვილის მიერ სადავო ბინის გასხვისების თაობაზე შეიტყვეს მას შემდგომ, რაც თბილისის ტექნიკენტარიზაციის ბიუროს გაუქმებისა და "საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ" კანონში მომხდარი ცვლილებების გამო, აღნიშნული ბინის

მათ საკუთრებაში აღრიცხვის თხოვნით მიმართეს საჯარო რეესტრს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 22.11.2005წ. და 5.12.2005წ. პასუხებით მათთვის ცნობილი გახდა, რომ ნ. ი-შვილს მის ხელთ არსებული, 1982 წლის 17 მარტის ანდერძის საფუძველზე განუხორციელებია არა მარტო სადავო სახლის საკუთრებაში აღრიცხვა, არამედ -გასხვისებაც 1995 წლის 2 მაისს ნ. ბ-შვილთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან (1984 წლის 21 იანვარი) საჯარო რეესტრში მიმართვამდე (2005 წლის 8 ნოემბერი) დროის მონაკვეთში სადავო ქონების მათ საკუთრებაში აღურიცხველობას მოსარჩელები შემდეგნაირად ასაბუთებდნენ: თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო სასამართლოს 1984 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნაჩუქრობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შედეგად მათ მიიჩნიეს, რომ აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა, ანუ კ. დ-ძის საკუთრება სადავო ქონებაზე. ამასთან, რამდენადაც მოსარჩელები კ. დ-ძის ანდერძისმიერ მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ, ისინი განერიდნენ 1983-1984 წლებში მიმდინარე სასამართლო პროცესებზე ნ. ი-შვილისგან წამოსულ კონფლიქტურ სიტუაციებს და ამ უკანასკნელის აგრესიის განეიტრალების მიზნით დატოვეს სადავო ფართი, სადაც იმ პერიოდში ცხოვრობდნენ. ამით მათ საშუალება მისცეს ნ. ი-შვილს, სახლის ნაწილი თავის საკუთრებაში აღერიცხა. მთელი ამ დროის განმავლობაში მოსარჩელები ვარაუდობდნენ, რომ მოპასუხე თავად შესთავაზებდა სახლის რეგისტრაციის პროცესის წარმართვას, რამდენადაც ნაჩუქრობის ხელშეკრულების ბათილობის მიუხედავად, არსებობდა ანდერძი, რომლითაც სამკვიდრო ქონების საკუთრებაში აღრიცხვა მათ ნებისმიერ დროს უნდა შეძლებოდათ. მოსარჩელეთა აღნიშნული ვარაუდი უშედეგო გამოდგა. ნოტარიუსის შეცდომაში შეყვანის გზით ნ. ი-შვილმა 1982 წლის 17 მარტის გაუქმებული ანდერძის საფუძველზე შეძლო სადავო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მიღება და ქონების თავის საკუთრებაში აღრიცხვა.

სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობასთან მიმართებით მოსარჩელე საგულისხმოდ მიიჩნევდა, რომ სადავო ქონების შემძენი პირი -ნ. ბ-შვილი წარმოადგენდა ნ. ი-შვილის ნათესავს და ეს უკანასკნელი ბინის გასხვისების მიუხედავად ამ ბინაში განაგრძობდა ცხოვრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინებით მესამე პირი ნ. ბ-შვილი საქმეში ჩაება, როგორც მოპასუხე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ივლისის განჩინებით დავის საბოლოო გადაწყვეტამდე ყადაღა დაედო სადავო უძრავ ქონებას, კერძოდ, თბილისში, ... ქ. #33<sup>ა</sup>-ში (ლიტ "ა-ს" ნაწილი) მდებარე, ნ. ბ-შვილის სახელზე რეგისტრირებულ სახლთმფლობელობას.

ამავე სასამართლოს 2007 წლის 14 ივნისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეზე წარმოება შეჩერდა მოპასუხე ნ. ი-შვილის საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე, ხოლო 2008 წლის 3 ივნისის განჩინებით საქმის განხილვა განახლდა მხოლოდ ნ. ბ-შვილის მიმართ.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე წარდგენილი ნოტარიუს ნ. გ-ძის წერილობითი ინფორმაციით დადგენილად მიიჩნია, რომ სანოტარო ბიუროში 2007 წლის 30 მაისს გარდაცვლილი ნ. ი-შვილის სამკვიდრო ქონების მოთხოვნით სამკვიდროს გახსნის დღიდან არც კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში და არც შემდგომ არავის მიუმართავს, ხოლო პირის გარდაცვალებიდან გასული იყო ერთი წელი, რის გამოც იგი უფლებამოსილი იყო, განეხლებინა საქმის განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით თ. დ-ძისა და ე. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ივლისის განჩინებით მოცემული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე ნ. ბ-შვილის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, თბილისში, ... ქ. #33<sup>ა</sup>-ში (ლიტ "ა-ს" ნაწილი) მდებარე სახლთმფლობელობაზე დადებული ყადაღა.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ნ. ბ-შვილის წარმომადგენლის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ. მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ კ. დ-ძის სამკვიდროს, კერძოდ, თბილისში, ... ქ. #33<sup>ა</sup>-ში მდებარე ბინას, რომელიც მას ეკუთვნოდა გარდაცვალებამდე, ანუ 1984 წლის 21 იანვრამდე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებას ნორმათა გამოყენებასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი სამოქალ-

ლაქო სამართლის კოდექსი (1964 წლის რედაქცია). მითითებული კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, საერთო ვადა უფლების დაცვისა იმ პირის სარჩელით, რომლის უფლებაც დარღვეულია (სასარჩელო ხანდაზმულობა), განსაზღვრულია სამი წლით, რომლის დინებაც ამავე კოდექსის მე-80 მუხლის მიხედვით იწყება სარჩელის უფლების წარმოშობის დღიდან; სარჩელის უფლება წარმოიშობა იმ დღეს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა, ხოლო მოცემული კოდექსის 84-ე მუხლის შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა სარჩელის წარდგენამდე არის სარჩელზე უარის თქმის საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებით -თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1984 წლის 11 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით დადგინდად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის იმთავითვე სადავო იყო თბილისში, ... ქ. #33-ში მდებარე კ. დ-ძის სამკვიდრო. მართალია, იმ პერიოდში დავის საგანს აღნიშნულ სამკვიდროზე დადებული ჩუქების ხელშეკრულება წარმოადგენდა, მაგრამ თ. დ-ძისა და ე. ბ-შვილისათვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ ნ. ი-შვილი წარმოადგენდა კ. დ-ძის მეუღლეს, რომელსაც გააჩნდა არა მხოლოდ უფლებები, არამედ -კანონიერი ინტერესებიც აღნიშნული სამკვიდრო ქონების მიმართ. კერძოდ, ნ. ი-შვილის მიერ ნაწარმოები სასამართლო დავის იურიდიული ინტერესი იყო სწორედ ის, რომ ჩუქების ხელშეკრულების ბათილობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შემდეგ მას, როგორც მამკვიდრებელ კ. დ-ძის მეუღლესა და პირველი რიგის მემკვიდრეს, განეხორციელებინა შესაბამისი უფლებები სადავო ბინის მიმართ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეთათვის ცნობილი იყო სამკვიდრო ქონებაზე ნ. ი-შვილის პრეტენზიის განცხადების თაობაზე, მათ კანონით დადგინდულ ხანდაზმულობის ვადებში სადავოდ არ გაუხდიათ ამ უკანასკნელის უფლებების რეალიზაცია -ძის მიერ სამკვიდროს მიღება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში და ნაცვლად იმისა, რომ დროულად ეზრუნათ თავიანთი უფლებების განხორციელებისათვის, პირიქით, როგორც თავადვე განმარტეს, გაითვალისწინეს რა ნ. ი-შვილის პრეტენზია, შეაჩერეს სახლის ირგვლივ ყოველგვარი ურთიერთობის მოწესრიგება. უფრო მეტიც, მოსარჩელებმა დატოვეს სადავო ფართი და ამ უკანასკნელს მისცეს საშუალება, იგი აღერიცხა თავის საკუთრებაში. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის გაშვებით მათ დაკარგეს მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქალაქო სასამართლომ სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლის მიხედვითაც, რომლის თანახმად, სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დასტურდებოდა, რომ 2005 წლის 22 ნოემბრისათვის მოსარჩელებმა უკვე იცოდნენ, ვის სახელზეც ირიცხებოდა სადავო ქონება, ხოლო სარჩელი აღძრეს 2006 წლის 27 მარტს, ანუ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნ. ბ-შვილი სადავო სახლთმფლობელობის არაკეთილსინდისიერ შემძენს წარმოადგენდა, რადგან მათ მიერ არ წარდგენილა მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა ბინის შემძენის არაკეთილსინდისიერების ფაქტს. აქვე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო სახლთმფლობელობას 1984 წლის 21 იანვრიდან 1995 წლის 2 მაისამდე, ანუ 11 წლის განმავლობაში, ვიდრე მას არ განკარგავდა ნასყიდობის ხელშეკრულებით, ერთპიროვნულად, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე, ფლობდა და განაგებდა მხოლოდ ნ. ი-შვილი. იმ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობაზე დაყრდნობით, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო 1995 წლის 2 მაისს, როცა ნ. ი-შვილი რეგისტრირებული იყო ბინის მესაკუთრედ, ნასყიდობის საგანი იმყოფებოდა მხოლოდ მის მფლობელობაში და მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სასამართლო დავა ბინის თაობაზე მხარეთა შორის არ მიმდინარეობდა, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ბ-შვილმა ბინის შემძენის დროს არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ბინაზე სხვა პირთა უფლებების შესახებ.

ამდენად, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ნ. ბ-შვილმა ბინა კანონით დადგინილი წესით შეიძინა ნ. ი-შვილისაგან, იგი წარმოადგენდა აღნიშნული ქონების კეთილსინდისიერ შემძენს და არ არსებობდა ამ გარიგების კანონით გათვალისწინებული ბათილობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. დ-ძემ (წარმომადგენელი ნ. გ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

აპელანტმა სარჩელის ხანდაზმულობის უარსაყოფად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფ-

ფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ.

აპელანტის მოსაზრებით, ხანდაზმულობასთან მიმართებით საკითხის სწორად გადასაწყვეტად გასათვალისწინებელი იყო შემდეგი: მოსარჩელეთა წარმომადგენელმა 2005 წლის 25 ნოემბერს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, რათა გაეგო, ირიცხებოდა თუ არა სადავო ქონება კ. დ-ძის სახელზე და იყო თუ არა იგი დავითული იპოთეკით. მანვე 2005 წლის 26 დეკემბერს საჯარო რეესტრში ხელახალი განცხადება წარადგინა, რათა მიედო მასალები იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე აღირიცხა სამკვიდრო ქონება ნ. ი-შვილის სახელზე, რაზეც პასუხი ეცნობა 2005 წლის 30 დეკემბერს. 2006 წლის 23 იანვარს მოსარჩელებმა (წარმომადგენელი ნ. გ-ძე) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უკვე თავისი უფლებების დასადგენად მიმართეს, საიდანაც უარყოფითი პასუხის მიღებიდან (2006 წლის 1 მარტი) არაუგვიანეს ერთი თვისა, სასამართლოში სარჩელი წარადგინეს.

აპელანტი მიიჩნევდა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო შემძენის (ნ. ბ-შვილი) არაკეთილსინდისიერად მოქცევა, რასაც ცხადყოფდა შემდეგი გარემოებები: ა) ნ. ი-შვილი და ნ. ბ-შვილი იყვნენ თანასოფლელები; ბ) ისინი გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდნენ ერთ საწარმოში - თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება "გლდანში" (შემდგომში, თბილისის სააქციო საზოგადოება "გლდანი"); გ) ისინი წარმოდგენდნენ ერთმანეთის ნათესავებს; დ) წლების მანძილზე, კერძოდ, ნ. ბ-შვილისათვის ბინის მიყიდვამდე და მის შემდგომაც, ნ. ი-შვილი და ნ. ბ-შვილი აღნიშნულ სახლში ერთად ცხოვრობდნენ; ე) სადავო ბინა გასხვისდა შეუსაბამოდ დაბალ ფასად, რასაც მსგავსება ჩუქებასთან უფრო გააჩნდა, ვიდრე ნასყიდობასთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით თ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე წარმოების მხოლოდ ნ. ბ-შვილის მიმართ განახლება არასწორად მიიჩნია, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა ნ. ი-შვილის მიმართაც. მისი განმარტებით, აღნიშნული პოზიცია დაუსაბუთებელი იყო და არ გამომდინარეობდა არც საპროცესო და არც მატერიალური სამართლის ნორმებიდან. შესაბამისად, სასამართლოს მიერ დაშვებული იყო საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას განაპირობებდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხე მხარის გარდაცვალება, როგორც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, დატოვა სამართლებრივი შეფასების გარეშე. კერძოდ, მან არ იმსჯელა დავაში უფლებამონაცვლის დაშვების შესაძლებლობაზე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით და მხოლოდ იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ვერ იქნა დადგენილი სანოტარო ორგანოსათვის მიმართვის გზით სამკვიდროს მიმღები მემკვიდრე, უფლებამონაცვლების საკითხი დატოვა ღიად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის შეფასება და აღნიშნულიდან გამომდინარე იმაზე მსჯელობა, დასაშვები იყო თუ არა მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით მოცემულ დავაში უფლებამონაცვლება. თუ საქალაქო სასამართლო სადავო ურთიერთობის ქონებრივი ხასიათიდან გამომდინარე და მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით დაადგენდა, რომ ნ. ი-შვილის გარდაცვალების გამო უნდა მომხდარიყო მისი შეცვლა საპროცესო უფლებამონაცვლით, მას უნდა დაეშვა საპროცესო უფლებამონაცვლეობა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ი-შვილის სამკვიდროს მიმღები მემკვიდრე ვერ დგინდებოდა, საქალაქო სასამართლოს უნდა ემსჯელა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლედ დაშვების თაობაზე, რამდენადაც უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თუ პირველი ინსტანციის სასამართლო სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე მიიჩნევდა, რომ მოცემულ საქმეზე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე არ დაიშვებოდა უფლებამონაცვლეობა, საქმის წარმოება ნ. ი-შვილის მიმართ უნდა შეწყვეტილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და ის გადაწყვეტილებაში როგორც მხარე აღარ უნდა მითითებულიყო.

სამკვიდროს მიღების საკითხთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა იმ მტკიცებულებებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოსარჩელები ადასტურებდნენ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტს, კერძოდ, საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებშიც მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს გახსნის ვადაში სამკვიდროს დაუფლების სურვილი და მცდელობა იყო გამოხატული, სასამართლოს

მიერ არასწორად შეფასდა. ამასთან, საქალაქო სასამართლომ სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა ის უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაც, რომ მოსარჩელები ფაქტობრივი ფლობით დაუფლნენ სამკვიდროს ნაწილს –საგარეჯოს რაიონის სოფელ ... მდებარე მამკვიდრების სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ გარემოების დადგენას, ჰქონდათ თუ არა მოსარჩელებს კანონით დადგენილი წესით სამკვიდრო მიღებული, ასევე მნიშვნელობა გააჩნდა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისათვის, რამდენადაც, თუ სასამართლო დაადგენდა, რომ მოსარჩელებმა ფაქტობრივი ფლობით დაუფლების გზით მიიღეს სამკვიდრო, ისინი ჩაითვლებოდნენ მესაკუთრეებად კანონისმიერი საფუძვლებით და შესაბამისად, არ არსებობდა ხანდაზმულობის გამოყენების წინაპირობები, ვინაიდან საკუთრებასთან დაკავშირებულ მესაკუთრის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება.

შემდგენის კეთილსინდისიერებასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლომ არ გამოიკვლია და სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა შემდგენის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით მოსარჩელეთა მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ დასადასტურებლად საქმეში არსებულ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც უთითებდნენ ნ. ი-შვილსა და ნ. ბ-შვილს შორის არსებული ნათესაური კავშირის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-შვილმა (წარმომადგენელი შ. ქ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად დაუდო ისეთი საპროცესო დარღვევები, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, არ წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს პოზიცია, რომელმაც საქმის განხილვა წარმართა მხოლოდ ნ. ბ-შვილის მიმართ და მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილება გამოიტანა მოპასუხე ნ. ი-შვილის მიმართაც. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული წარმოადგენდა საპროცესო ნორმის ისეთ დარღვევას, რაც იწვევდა გადაწყვეტილების გაუქმებას.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა არასწორია, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასების გარეშე არ დაუტოვებია ნ. ი-შვილის გარდაცვალების იურიდიული ფაქტი. სასამართლომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით შეაჩერა საქმის წარმოება ამ უკანასკნელის საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე.

ნ. ი-შვილის საპროცესო უფლებამონაცვლის დაუდგენლობა არ განაპირობებდა ასეთად საქმეში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩაბმის საჭიროებას, ვინაიდან უფლებამონაცვლის პროცესში შესვლა არ არის დამოკიდებული სასამართლოს ნებაზე. ნ. ი-შვილი მოცემულ დავაში მოპასუხედ მონაწილეობდა, მოპასუხეს კი (მათ შორის, მოპასუხის უფლებამონაცვლების დროს) ასახელებს მოსარჩელე, რაც მას არ განუხორციელებია. შექმნილ ვითარებაში სწორი სამართლებრივი შედეგი იქნებოდა ნ. ი-შვილის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტა. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ სახეზეა ისეთი საპროცესო დარღვევა, რაც იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას. მოცემულ დავაზე მოსარჩელეთა მოთხოვნა, მათი იურიდიული ინტერესი მიმართულია ერთადერთ უძრავ ქონებაზე, რომელიც ნ. ბ-შვილის სახელზე ირიცხება. სწორედ ამიტომ დავის მხოლოდ ნ. ბ-შვილის მიმართ წარმართვა მართლზომიერია. რაც შეეხება უმკვიდრო ქონების გადასვლას სახელმწიფოზე, აღნიშნულ საქმეზე დადგენილია, რომ ნ. ბ-შვილთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შედეგად, გარდაცვალების მომენტისათვის, ნ. ი-შვილს საკუთრებაში აღარ გააჩნდა სადავო ქონება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არც უმკვიდრო ქონებასთან გვაქვს საქმე.

კასატორის მითითებით, ნ. ი-შვილის სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის საკითხი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების შესაბამისად უნდა დადგინდეს. შესაბამისად, მისი გადაწყვეტა, მატერიალური კანონის მიხედვით, არ შეიძლება დამოკიდებული იყოს უფლებამონაცვლების საკითხის გადაწყვეტაზე. ამდენად, არ არსებობს ისეთი საპროცესო დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

მცდარია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება ნ. ი-შვილის მიმართაც გამოიტანა. მართალია, ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ ფორმალური შინაარსის მატარებელია.

სააპელაციო სასამართლოს პოზიცია სამკვიდროს მიღების საკითხთან მიმართებით გაუგებარია. ერთ შემთხვევაში სასამართლო უდავოდ დადგენილად მიიჩნევს მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს ნაწილის მიღებას, ხოლო მეორე შემთხვევაში საუბრობს მათ მიერ კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს მიღების დადგენის აუცილებლობაზე. სააპელაციო სასამართლო არ მიუთითებს, თუ

რომელი მტკიცებულებებით არის უდავოდ დადგენილი სამკვიდროს მიღების ფაქტი. საგულისხმოა, რომ მოსარჩელები დავის თავდაპირველ ეტაპზე მოითხოვდნენ სამკვიდრო ქონების, მათ შორის, საგარეჯოს რაიონის სოფელ . . . მდებარე მამკვიდრების საცხოვრებელი სახლის მიღებულად ცნობის ფაქტის დადგენას, რაც იმას მოწმობს, რომ მათ არც მითითებული სახლი მიუღიათ.

სააპელაციო სასამართლოს შემქმნის კეთილსინდისიერების საკითხის გამორკვევა თავადაც შეეძლო, თუმცა აღნიშნული არ განუხორციელებია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინება, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგი სამი ძირითადი გარემოებით: ა) საქალაქო სასამართლომ მოპასუხე ნ. ი.-შვილის გარდაცვალება, როგორც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, დატოვა სამართლებრივი შეფასების გარეშე, კერძოდ, მან არ იმსჯელა დავაში უფლებამონაცვლის დაშვების შესაძლებლობაზე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნული მსჯელობის პარალელურად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ნ. ი.-შვილის სამკვიდროს მიმღები მემკვიდრის დაუდგენლობის გამო, პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლედ დაშვების თაობაზე, რამდენადაც უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ბ) პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სრულყოფილად არ გამოარკვია, ჰქონდათ თუ არა მოსარჩელებს მიღებული სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით, რაც თავის მხრივ უკავშირდება სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტას; გ) საქალაქო სასამართლომ არ გამოიკვლია და სწორი სამართლებრივი შეფასება არ მისცა შემქმნის არაკეთილსინდისიერებაზე მოსარჩელეთა მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ დასადასტურებლად საქმეში არსებულ შესაბამის მტკიცებულებებს.

საკასაციო სასამართლო არასწორად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ნ. ი.-შვილის უფლებამონაცვლედ საქმეში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩაბმის საკითხის გამორკვევის აუცილებლობის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი სამკვიდროს მიმღები მემკვიდრის (როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრე) არარსებობის პირობებში ქონების სახელმწიფოზე გადასვლას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა უმკვიდრო ქონება. კანონის აღნიშნული ნორმის მიხედვით, თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო შესაძლოა გახდეს ისეთი არსებული სამკვიდრო ქონების მესაკუთრე, რომლის მემკვიდრეობის მიღების უფლების მქონე პირიც არ არსებობს. თუ პირს გარდაცვალებისას სამკვიდრო ქონება საერთოდ არ დარჩენია, მაშინ ასეთი მამკვიდრების მემკვიდრედ სახელმწიფო ვერ ჩაითვლება. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია, რომ გარდაცვალების მომენტისათვის სადავო ქონება მოპასუხე ნ. ი.-შვილს საკუთრებაში არ გააჩნდა, რამდენადაც მან აღნიშნული ქონება გაასხვისა 1995 წლის 2 მაისს ნ. ბ.-შვილთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ზემომითითებული ნორმით გათვალისწინებულ ვითარებას -უმკვიდრო ქონების არსებობას ადგილი არ აქვს, რის გამოც იგი სადავო სამართალურთიერთობის მიმართ ვერ გავრცელდება. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე ვერ დადგინდა სანოტარო ორგანოსათვის მიმართვის გზით ნ. ი.-შვილის მემკვიდრე, ხოლო უმკვიდრო ქონების არარსებობის გამო საქმეში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩაბმის საფუძველი არ არსებობს, უფლებამონაცვლის დაშვების საკითხის დასადგენად საქმე ხელახალ განხილვას არ ექვემდებარება. ამ შემთხვევაში საქმის განხილვა სწორად გაგრძელდა მოპასუხე ნ. ბ.-შვილის მიმართ, რამდენადაც მოსარჩელის კანონიერი ინტერესი მდგომარეობს სადავო უძრავი ქონების დაბრუნებაში, რომელიც დღეს ნ. ბ.-შვილის სახელზეა აღრიცხული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც



საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილების შეუზღუდაობას პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებასთან მიმართებაში. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება ეფექტური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევაში შებოჭილია სააპელაციო სასამართლო. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელების მიერ კ. დ-ძის სამკვიდროს კანონით დადგენილი წესით მიღების ფაქტის დადგენა და მის შესაბამისად სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტა, რასაც სააპელაციო სასამართლო განჩინების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად უთითებს, ასევე არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რომელთა გამოც მოცემულ შემთხვევაში მართლებულია საქმის უკან გადაგზავნა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის თავად გამორკვევის, სამართლის ნორმის შეფარდების შეუძლებლობაზე, რამაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა განაპირობა. საგულისხმოა, რომ სამკვიდროს მიღების საკითხთან მიმართებით სააპელაციო სასამართლო საუბრობს მართლედნ საქმეში არსებული იმ მტკიცებულებების სწორად შეფასების აუცილებლობაზე, რომლებშიც მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს გახსნის ვადაში სამკვიდროს დაუფლების სურვილი და მცდელობა გამოხატული. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასება და აღნიშნულის შედეგად კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევის აუცილებლობა, არ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ მათი თავად დადგენის შეუძლებლობის დამასაბუთებელ არგუმენტს. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, მიღებულია თუ არა მოსარჩელეთა მიერ სამკვიდროს ნაწილი -საგარეჯოს რაიონის სოფელ ... მდებარე სახლი, აღნიშნული ნიშნავს თუ არა მთელი სამკვიდროს მიღებას მათ მიერ.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნების მიზანშეწონილობას არ ასაბუთებს შემძენის არაკეთილსინდისიერებასთან მიმართებით მოსარჩელეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების, აგრეთვე მათ დასადასტურებლად საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებების გამოკვლევის აუცილებლობა. იმ პირობებში, როდესაც ნ. ბ-შვილის კეთილსინდისიერების ფაქტთან დაკავშირებით გამოსარკვევი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილია, ამ მტკიცებულებების თაობაზე გასაჩივრებული განჩინება დეტალურად მიუთითებს და პრობლემის სწორად გადაწყვეტა მხოლოდ მათ სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს, ასევე ვერ ვიტყვით, რომ სახეზეა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საკითხის თავად გადაწყვეტის შეუძლებლობა. სადავო შემთხვევაში შემძენის კეთილსინდისიერებასთან მიმართებით კითხვა ამგვარად უნდა დაისვას: იცოდა თუ არა ნ. ბ-შვილმა თ. დ-ძის სახელზე ანდერძის არსებობისა და ამ უკანასკნელის მიერ სამკვიდრო ქონების ნაწილის დაუფლების შესახებ. საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც ნ. ბ-შვილსა და ნ. ბ-შვილს შორის ახლო ურთიერთობაზე (მათ შორის ნათესაურ კავშირზე) მიუთითებენ, სწორედ აღნიშნული კითხვიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას ექვემდებარება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის თვითონ გადაწყვეტა  
განჩინება**

#ას-479-790-09

6 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2003 წლის 08 ოქტომბერს თურქეთის მოქალაქე ა. ი-შის წარმომადგენლებმა ა. ა-შვილმა და ნ. ჯ-შვილმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი აღძრეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების სს „აბრეშუმის გზის“, თ. ჭ-იას, ვ. ლ-ძის, გ. ჯ-შვილის, მ. კ-იას, გ. გ-იას, რ. ს-შვილის, ზ. ს-შვილის, ლ. გ-იასა და გ. ნ-ძის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეებისათვის ა. ი-შის სასარგებლოდ 700 850 ლარის გადახდის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის განმარტებით, 1997 წლის 25 სექტემბრიდან იგი იყო სს „ექსპორტ-იმპორტ ბანკის“ აქციონერი და ამავე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მოსარჩელის წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეადგენდა 25%-ს, ხოლო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი - 2 000 000 ლარს. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება კი შეადგენდა 100 ლარს. 2000 წლის 31 იანვარს „ექსპორტ-იმპორტ ბანკი“ და „დისკონტ ბანკი“ გაერთიანდნენ და დარეგისტრირდნენ სააქციო საზოგადოებად კ/ზ „აბრეშუმის გზა“. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელისათვის არაფერი იყო ცნობილი. მოპასუხე კ/ზ „აბრეშუმის გზა“ თავისი 2003 წლის 4 ივლისის #2/113 წერილით იტყობინებოდა, რომ ა. ი-ში არ იყო აღნიშნული საზოგადოების დამფუძნებელი. ა. ი-ში ისე ამორიცხეს აქციონერთა რიგებიდან, რომ ამის შესახებ მან არაფერი იცოდა, რის შედეგადაც მოსარჩელემ დაკარგა აქციები, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 500 000 ლარს, საწესდებო კაპიტალის 25%-ს. 2000 წლის 31 იანვრიდან სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 869-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელემ უნდა მიიღოს მიუღებელი შემოსავალი ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. მითითებული პერიოდისათვის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს თვეში 1%-ს, 39 თვეში 39%, ე.ი. 195 000 ლარს დამატებული მთლიანი თანხა, რაც მთლიანობაში 200 850 ლარია. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა აქციების ღირებულება 500 000 ლარი და მიუღებელი შემოსავალი 200 850 ლარი, რაც ერთობლიობაში შეადგენდა 700 850 ლარს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ი-შის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

კოლეგიის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. ი-შის წარმომადგენლებმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 16 ივნისის განჩინებით ა. ი-შის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 442-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

2005 წლის 11 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დადგენილებით შეიცვალა სსკბ „აბრეშუმის გზის“ სახელწოდება და ეწოდა სს „ბტა სილქ როუდ ბანკი“.

2007 წლის 13 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, ა. ი-ში სასარჩელო მოთხოვნაზე მოპასუხეების თ. ჭ-იას, ვ. ლ-ძის, გ. ჯ-შვილის, მ. კ-იას, გ. გ-იას, რ. ს-შვილის, ზ. ს-შვილის, ლ. გ-იას, გ. ნ-ძის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება, შესაბამისად, მოპასუხედ საქმეში დარჩა სს „ბტა სილქ როუდ ბანკი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ი-შის სარჩელი დაკმაყოფილა, სს „ბტა სილქ როუდ ბანკს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 500 000 ლარი.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:  
 1997 წლის 25 სექტემბერს მოსარჩელე ა. ი-ში წარმოადგენდა სს „ექსპორტ იმპორტ ბანკის“ (ექსიმბანკის) აქციონერს და ამავე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს;  
 ა. ი-შის წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეადგენდა 25%;  
 სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2 000 000 ლარს;  
 ერთი აქციის ნომინალური ღირებულება იყო 100 ლარი.  
 „ექსიმბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს 1999 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე მოხდა სს „ექსპორტ იმპორტ ბანკისა“ და სს „დისკონტ-ბანკის“ შერწყმა 2000 წლის 31 იანვრიდან და ჩამოყალიბდა მათი სამართალმემკვიდრე ახალი საზოგადოება „აბრეშუმის გზა“.

სს კბ „აბრეშუმის გზის“ 2003 წლის 4 ივლისის წერილში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე ამ ბანკის დამფუძნებელს არ წარმოადგენს.

ა. ი-შმა იმის შესახებ, რომ 2000 წლის 31 იანვრიდან იგი გაყვანილ იქნა პარტნიორთა რიგიდან, შეიტყო მხოლოდ სს კბ „აბრეშუმის გზის“ 2003 წლის 4 ივლისის წერილით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე უსაფუძვლოდ გაიყვანეს პარტნიორთა რიგიდან, რის გამოც მან დაკარგა აქციები, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 500 000 ლარს, საწესდებო კაპიტალის 25%, რაც დასტურდება საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილი 1999 წლის 30 ნოემბრის ექსპორტ-იმპორტ ბანკის მიერ გაცემული და დირექტორატის (გამგეობის) თავმჯდომარის ხელმოწერილი აქციონერთა სიით.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებითა და მეწარმეთა შესახებ კანონის 51.1 და 53-ე მუხლების შესაბამისად, მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობის მიმართ უნდა გამოყენებულიყო სამოქალაქო კოდექსის ნორმებიც.

სასამართლომ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ პარტნიორთა რიგიდან უსაფუძვლოდ გამოყვანის გამო მოსარჩელემ დაკარგა აქციები, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 500 000 ლარს –საწესდებო კაპიტალის 25%.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ა. ი-ში სს „ექსპორტ-იმპორტ ბანკში“ ფლობდა 1890 ცალ აქციას ნომინალური ღირებულებით 189 000 ლარს და არა 5000 ცალ აქციას ნომინალური ღირებულებით 500 000 ლარს. აღნიშნულის უარსაყოფად სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ, საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილ 1999 წლის 30 ნოემბრის ექსპორტ-იმპორტ ბანკის მიერ გაცემულ და დირექტორატის (გამგეობის) თავმჯდომარის ხელმოწერილ აქციონერთა სიაზე, საიდანაც ცალსახად დასტურდებოდა, რომ ა. ი-შს ეკუთვნოდა ექსიმბანკის აქციათა 25%, რაც თანხობრივად უდრის 500 000 ლარს.

სასამართლომ მოპასუხის ახსნა-განმარტების მიხედვით დადგენილად მიიჩნია, რომ ბანკების შერწყმის შედეგად აქციები გადანაწილდა ახალ აქციონერებს შორის, შესაბამისად, სასამართლოს ჩათვალა, რომ შეუძლებელი იყო პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ბტა სილქ როუდ ბანკმა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ხანდაზმულობის გამო.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სს „ბტა სილქ როუდ ბანკი“ შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით –სს „ბი თი ეი ბანკით“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებით სს „ბითიეი ბანკის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:  
 1997 წლის 25 სექტემბერს მოსარჩელე ა. ი-ში წარმოადგენდა სს „ექსპორტ იმპორტ ბანკის“ (ექსიმბანკის) აქციონერს და ამავე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს.  
 ა. ი-შის წილი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეადგენდა 25%.  
 ერთი აქციის ნომინალური ღირებულება იყო 100 ლარი.  
 „ექსიმბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს 1999 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე მოხდა სს „ექსპორტ იმპორტ ბანკისა“ და სს „დისკონტ-ბანკის“ შერწყმა. 2000 წლის 31 იანვრიდან და ჩამოყალიბდა მათი სამართალმემკვიდრე ახალი საზოგადოება „აბრეშუმის გზა“.

სს კბ „აბრეშუმის გზის“ 2003 წლის 4 ივლისის წერილში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე ამ ბანკის დამფუძნებელს არ წარმოადგენს.

ა. ი-შმა იმის შესახებ, რომ 2000 წლის 31 იანვრიდან იგი გაყვანილი იქნა პარტნიორთა რიგიდან, შეიტყო მხოლოდ სს კბ „აბრეშუმის გზის“ 2003 წლის 4 ივლისის წერილით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, რის სამართლებრივ საფუძვლადაც აპელანტი მიუთითებდა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 15.2. მუხლს, რომლის თანახმად, დაუშვებელია პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ, ვინაიდან აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება, რაც აქციონერთა რიგებიდან გაყვანამ წარმოშვა. ანუ, ამ შემთხვევაში უნდა გამოყენებულიყო მეწარმეთა შესახებ კანონის 15.1 მუხლი, ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ დაუშვებდა, რომ მოსარჩელეს თავისი უფლების დარღვევის შესახებ უნდა შეეტყო არაუგვიანეს 2000 წლის გაზაფხულისა, მას სარჩელი წარდგენილი ჰქონდა 15.1 მუხლით დაწესებულ 5-წლიან ვადაში, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ვერ მიიჩნეოდა ხანდაზმულად. თუმცა პალატამ დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელემ თავისი უფლების დარღვევის შესახებ შეიტყო მხოლოდ 2003 წლის 4 ივლისის შემდეგ, სარჩელი კი წარადგინა 2003 წლის 9 ოქტომბერს.

აპელანტის პოზიციას ზიანის ამ ოდენობით დაკისრების არამართლებულობასთან დაკავშირებით, პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა და ჩათვალა, რომ დამატებით გამოკვლევას საჭიროებდა ზიანის ანაზღაურების ოდენობასთან დაკავშირებული ფაქტები, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდებოდა, რეალურად მოხდა თუ არა 1998 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით აქციონერთა მიერ დათქმული, განცხადებული საწესდებო კაპიტალის გაზრდილი ოდენობის ფაქტობრივი განაღდება და მოახდინა თუ არა ა. ი-შმა საწესდებო კაპიტალში მისი წილის (25%) პროპორციულად შენატანის განხორციელება კაპიტალის გაზრდისთვის.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ი-შის წარმომადგენელმა თ. რ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სს "ბითიეი ბანკისათვის" ა. ი-შის სასარგებლოდ 500 000 ლარის გადახდა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, კერძოდ, სასამართლომ უარყო შეჯიბრებითობის პრინციპი და დაუბრუნდა ადრე მოქმედ ინკვიზიციურობის პრინციპს, რომელიც ამჟამად მოქმედებს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რითაც სათავე დაუდო სწორედ ინკვიზიციურობის პრინციპის მთლიანად შემოღებას სამოქალაქო სამართლის პროცესში, რაც განსხვავებულად ჩამოაყალიბებს სასამართლო პრაქტიკას, რაც კასატორის მოსაზრებით ყოველად დაუშვებელია.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ტენდენციურობა გამოიჩინა, როდესაც იმსჯელა მხოლოდ აქციონერთა სიაზე და სრულიად უგულებელყო მსგავსი შინაარსის ორი დოკუმენტი: დამფუძნებლებს შორის განცხადებული და განაღდებული საწესდებო ფონდის განაწილების ცხრილი 1998 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით და ასეთივე ცხრილი 1997 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით;

ამას გარდა, სააპელაციო სასამართლომ არავითარი ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვება თავად მოპასუხე ბანკიდან. ამასთან არავის დაუყენებია საკითხი იმის თაობაზე, რომ 1999 წლის ბოლოსათვის ბანკის საწესდებო კაპიტალი არ იყო 2 000 000 ლარი და, რომ სწორედ ამ თანხამდე შეივსო საწესდებო კაპიტალი 1999 წლის ბოლოსათვის, თუმცა, კასატორის აზრით, სასამართლომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებაშიც გამოიჩინა ტენდენციურობა და გადაწყვეტილებაში სადავო გახადა აქციონერთა მიერ დათქმული, განცხადებული საწესდებო კაპიტალის გაზრდილი ოდენობის ფაქტობრივი განაღდების ფაქტი.

კასატორის განმარტებით, უსუსურია სასამართლოს მითითება "მეწარმეთა შესახებ" კანონის 51.2 მუხლზე, მათ მიერ წარდგენილი დოკუმენტების საწინააღმდეგოდ, ვინაიდან თავად ბანკს არ შეუსრულებია კანონის ამ ნორმის მოთხოვნები 1997 წლის 25 სექტემბრის შემდეგ და არც რაიმე საწინააღმდეგო მტკიცებულება 2007 წლის აპრილის შემდგომ სასამართლოსათვის არ წარუდგენია, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად განმარტა "მეწარმეთა შესახებ" კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნები, სააპელაციო საჩივარში მოყვანილ გარემოებებზე, ა. ი-შის მიერ საწესდებო კაპიტალში დამატებითი შენატანის თითქოსდა არ შეტანის თაობაზე (რომლის შესახებაც საქმის განხილვისას მოწინააღმდეგე მხარის მიერ ფაქტობრივად ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული), რაც არ იყო კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მხოლოდ ზოგად ხასიათს ატარებდა, მაშინ როდესაც მითითებული მუხლის თანახმად, საქმის გარემოებების დადასტურება ან უარყოფა სავალდებულოა მოხდეს მხოლოდ საამისოდ აუცილებელი მტკიცებულებებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას გასცდა თავის უფლება-მოვალეობებს, დააღრვია საპროცესო კანონის იმპერატიული მოთხოვნები, რის გამოც მოითხოვა უკანონო გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სს "ბითიეი ბანკისათვის" ა. ი-შის სასარგებლოდ 500 000 ლარის გადახდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ამ მუხლის მე-2 ნაწილი იმავდროულად არ ადგენს საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების აუცილებლობას და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება შეუზღუდავია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებასთან მიმართებაში. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება ეფექტური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, რითაც მოცემულ შემთხვევაში შებოჭილია სააპელაციო სასამართლო. ამიტომ სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან მნიშვნელოვნად დაირღვა საპროცესო ნორმები, რაც ართულებს საქმის განხილვას სააპელაციო სასამართლოში. ასევე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების საფუძვლად მიუთითა, რომ დამატებით გამოკვლევას საჭიროებს ეროვნული ბანკისადმი წარდგენილი აქციონერთა სია, ვინაიდან მხოლოდ ამ დოკუმენტით ვერ დასტურდებოდა რეალურად მოხდა თუ არა 1998 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით აქციონერთა მიერ დათქმული, განცხადებული საწესდებო კაპიტალის გაზრდილი ოდენობის ფაქტობრივი განაღდება და მოახდინა თუ არა ა. ი-შმა საწესდებო კაპიტალში მისი წილის (25%) პროპორციულად შენატანის განხორციელება კაპიტალის გაზრდისთვის. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ უნდა შეაფასოს ეს მტკიცებულება მისი შინაარსის შემოწმების გზით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოებები, რასაც სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რომლის გამოც გამართლებული იქნებოდა მოცემულ შემთხვევაში საქმის უკან გადაგზავნა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილება არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის თავად შემოწმების შეუძლებლობაზე, რამაც რაიონულ სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობა განაპირობა. სააპელაციო სასამართლოს სავსებით შეეძლო, თავად შემოწმებინა და გამოერკვია აღნიშნული საკითხი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნების აუცილებლობა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის თავად გადაწყვეტის შეუძლებლობა.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დავის არსებითად გადაწყვეტის გზით ახალი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა საკასაციო სასამართლოს მიერ პროცესუალურად შეუძლებელია, ვინაიდან საქმეზე ჯერ არ არსებობს არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო საკასაციო სასამართლო მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს წყვეტს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შემდგომ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

- ა. ი-შის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი**

**განჩინება**

#ას-234-559-09

12 ოქტომბერი 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი,**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** ხელშეკრულებების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ყ-იანის სარჩელი -ბათილად იქნა ცნობილი ქ. თელავში, ... ქ. #1-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, დადებული 2008 წლის 17 იანვარს ნ. ყ-იანსა (რწმუნ. ქ. ყ-იანი) და ქ. ყ-იანს შორის, რეესტრის #1-478, დამოწმებული ნოტარიუს ნ. გ-ურის მიერ და აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხა ნ. ყ-იანის სახელზე; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თელავში, ... ქ. #4-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული 2008 წლის 17 იანვარს ნ. ყ-იანსა (რწმუნ. ქ. ყ-იანი) და ქ. ყ-იანს შორის, რეესტრის #1-479, დამოწმებული ნოტარიუს ნ. გ-ურის მიერ და აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხა ნ. ყ-იანის სახელზე;

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ყ-იანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ქ. ყ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 5 ოქტომბერს მოსარჩელე ნ. ყ-იანმა გასცა საკუთრების მინდობილობა (რეესტრის რეგისტრაციის #1-12727) ქ. ყ-იანის სახელზე, რითაც მიანიჭა უფლებამოსილება ემართა და განეკარგა მის საკუთრებაში არსებული უძრავი-მომრავი ქონება, მათ შორის დაედო გარიგება საკუთარ თავთან და ა.შ.

2007 წლის 28 დეკემბრის ნოტარიუსის დადგენილებით (რეგისტრაციის #110107) გაუქმებულ იქნა 2007 წლის 5 ოქტომბრის საკუთრების მინდობილობა (რეგისტრაციის #1-12727).

2008 წლის 17 იანვარს მოპასუხე ქ. ყ-იანმა დადო ნასყიდობის ხელშეკრულებები (რეესტრის #1-478 და რეესტრის #1-479), იგი ერთდროულად წარმოადგენდა ნ. ყ-იანს (გამყიდველი) და საკუთარ თავს (მყიდველი), მითითებული გარემოებები მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა.

2007 წლის 20 დეკემბერს ნოტარიუს მ. ბ-ძის მიერ დამოწმებულ იქნა ნ. ყ-იანის განცხადება (რეესტრის #1-16656) 2007 წლის 5 ოქტომბრის მინდობილობის გაუქმების შესახებ.

აღნიშნული პროცედურა განხორციელდა მოსარჩელის საცხოვრებელ ბინაში მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩის #20-ში. აღნიშნული განცხადება გახდა შემდგომში 2007 წლის 28 დეკემბრის დადგენილების საფუძველი, რომლითაც გაუქმდა 2007 წლის 5 ოქტომბრის მინდობილობა.

იმავე დღეს მოსარჩელის ბინაში მისული იყო მოპასუხის მეუღლე თ. ნ-იანი, რომლისათვისაც გახდა ცნობილი, რომ მოსარჩელე აუქმებდა მინდობილობას, რისთვისაც მოწვეული იყო ნოტარიუსი. ამ ფაქტის შეტყობამ გამოიწვია თ. ნ-იანის უკმაყოფილება, რაც გამოიხატა მოსარჩელის მი-

მართ პრეტენზიების გამოთქმაში. აღნიშნული ფაქტი სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოწმეთა - ი. დ-შვილისა და გ. კ-ევის ჩვენებებით. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე მხარე აღნიშნული ჩვენებების საწინააღმდეგოდ, შემოიფარგლა მხოლოდ წარმომადგენლის განმარტებით, რომ მითითებულ ფაქტი არ მომხდარა და მოპასუხის მეუღლემ არაფერი იცოდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხის შედავება ამ საკითხთან მიმართებაში არაარსებითი იყო და საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მის ვალდებულებას წარმოადგენდა, რაც არ განახორციელა. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა მოწმეთა ჩვენებები და დადგინდად მიიჩნია ფაქტი, რომ მოპასუხის მეუღლემ იცოდა მინდობილობის გაუქმების შესახებ და გათვიცნობიერებული ჰქონდა მისი შედეგები.

სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ გამოხატა ნება, მოპასუხისათვის მიეცა მინდობილობა (2007 წლის 5 ოქტომბერი), რომლითაც მიანიჭა უფლებამოსილება ემართა და განეკარგა მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მომრავი ქონება და ა.შ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ 2007 წლის დეკემბრიდან 2008 წლის 17 იანვრამდე (მინდობილობის გაუქმებიდან ხელშეკრულებების დადებამდე) პერიოდში შეიტყო მინდობილობის გაუქმების შესახებ მისი მეუღლის საშუალებით. სასამართლომ ასევე, გაითვალისწინა ის გარემოება, თუ რატომ არ შეეძლო მეუღლეს (თ. ნ-იანს) გადაეცა აღნიშნული ინფორმაცია მოპასუხისათვის; სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ სადავო ქონების შეძენა შედიოდა როგორც მოპასუხის, ასევე, მისი მეუღლის ინტერესებში, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარე ისინი ხდებოდნენ თანამესაკუთრეები.

მოწმის ჩვენებით სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა შორის მინდობილობის გაუქმებამდე იყო ძალიან ახლო ურთიერთობა, რაც გამოიხატებოდა ხშირ სტუმრობასა და მატერიალურ დახმარებაში მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების მხრიდან, ხოლო მინდობილობის გაუქმების შემდეგ ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა.

მოპასუხე მხარისათვის ცნობილი იყო მინდობილობის გაუქმების შესახებ და მიუხედავად ამისა, მაინც დადო გარიგება. შესაბამისად, იგი წარმომადგენდა არაუფლებამოსილ პირს დაედო გარიგება. წარმოდგენილმა პირმა (მოსარჩელემ) არ მოიწონა დადებული გარიგება, რაც გამოიხატა სასამართლოში სარჩელის შეტანით.

პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სწორად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლომ სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ყ-იანმა.

კასატორის განცხადებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები და მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი.

კასატორის განმარტებით, 2007 წლის 20 დეკემბერს თ. ნ-იანს არ შეეძლო შეეტყო მინდობილობის გაუქმების ფაქტი, რადგან მინდობილობა გაუქმდა 2007 წლის 28 დეკემბერს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს დასკვნა არაადეკვატურია, რადგან: ა) მინდობილობის გაუქმების თაობაზე ნება უნდა მისვლოდა ადრესატს (ქ. ყ-იანს) და არა სხვა პირს. ბ) ადრესატს (ქ. ყ-იანს) უნდა სცოდნოდა მინდობილობის გაუქმების ფაქტი და არა ის, რომ მარწმუნებელი ან საკუთრების მიმდობი აპირებს მინდობილობის გაუქმებას.

კასატორის განცხადებით, 2007 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებულ მინდობილობაში ცალსახადაა განსაზღვრული მისი გაუქმების წესი. კერძოდ, მინდობილობა უნდა გაუქმებულიყო სანოტარო აქტით, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინათ მინდობილი მესაკუთრისათვის. ამ წესით კი მინდობილობა არ გაუქმებულა და ეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებითაც (განჩინებით) არ არის უარყოფილი.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) თანახმად, „მოპასუხე მხარის მიერ არ დასახელებულა არც ერთი გარემოება იმის დასადასტურებლად, თუ რატომ არ შეეძლო მეუღლეს (თ. ნ-იანს) გადაეცა აღნიშნული ინფორმაცია მოპასუხისთვის“.

კასატორის აზრით, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რადგან მოპასუხე მხარე უარყოფდა და დღესაც უარყოფს თ. ნ-იანის მიერ მინდობილობის გაუქმების შესახებ ინფორმაციის მიღებას. აქედან გამომდინარე, მოპასუხე მხარე არ ისაუბრებდა თ. ნ-იანის მიერ ქ. ყ-იანისთვის ინფორმაციის გადაცემის ხელისშემშლელ ფაქტორებზე.

კასატორის განცხადებით, აბსოლუტურად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება) იმ ნაწილში, რომლის თანახმადაც „თუკი ნების გამოვლენა ზეპირადაა გადაცემული არათანმყოფი პირისთვის. ვთქვათ, ნება გამოხატულია ოჯახის წევრის (მეუღლე) მიმართ, ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდება ადრესატის ძალაუფლებაში“. მოცემულ განმარტებაში არ არის გათვალის-

წინებული, რომ ქ. ყ-იანი და თ. ნ-იანი სხვადასხვა პირები არიან და თ. ნ-იანისთვის რაიმეს ცნობება არ ნიშნავს ამ ინფორმაციის ქ. ყ-იანისთვის გადაცემა.

კასატორის განცხადებით, ქ. ყ-იანის მიერ ნ. ყ-იანის სახელით 2007 წლის 17 იანვარს დადებული ხელშეკრულებები არ არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

კასატორის განცხადებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინება აბსოლუტურად დაუსაბუთებელია.

კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ქ. ყ-იანის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. ნორმის ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებთან, ისევე როგორც სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიზნებთან. 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. "მოკლე დასაბუთება" არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

"ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტი სადავოდ ხდიდა სასამართლოს მიერ არასწორად დადგენილ ფაქტს, რომ მისთვის ცნობილი იყო 2007 წლის 5 ოქტომბრის მინდობილობის გაუქმების თაობაზე. პელანტის მიერ წამოყენებულ ამგვარ პრეტენზიებს სააპელაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს. სასამართლომ მათი გათვალისწინებით უნდა მიუთითოს, რატომ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე სასამართლოს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ცალკეული მტკიცებულებები არასარწმუნოდ მიიჩნიოს და არ გაიზიაროს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა აისახოს სასამართლო რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა გაარკვიოს ის ფაქტი, ცნობილი იყო თუ არა ქ. ყ-იანისათვის 2007 წლის 5 ოქტომბრის საკუთრების მინდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე მითითებული მინდობილობის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად და დავა გადაწყვიტოს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ქ. ყ-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;  
მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **5. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

### **განჩინება**

#ას-208-534-09

1 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** საკომპენსაციო თანხის გადახდის სანაცვლოდ ბინიდან გამოსახლება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1997 წლის 29 აპრილს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ფ-ძემ მოპასუხეების: თ. ბ-ას, ნ. ბ-ას, ნ. ბ-ასა და მ. მ-ანის მიმართ. სარჩელის არაერთხელ დაზუსტების შემდგომ ლ. ფ-ძის საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა: ა) მოპასუხეთა გამოსახლება თბილისში, ... ქუჩის მეორე შესახვევის #9-ში მდებარე მისი კუთვნილი #9 საცხოვრებელი სახლიდან; ბ) ბინის ქირისა და კომუნალური გადასახადების გადახდევინება; გ) სახლზე დამხმარე სათავსოების და მიწენებების აღება; დ) მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

ლ. ფ-ძემ 1990 წლის იანვარში შ. ა-ვასაგან იყიდა თბილისში, ... ქუჩის მეორე შესახვევის #9-ში მდებარე საცხოვრებელი ფართი. სახლთმფლობელობა შედგებოდა ორი ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლებისაგან, ექვსი ოთახის შემადგენლობით. ამავე დროიდან აღნიშნული ორი ერთსართულიანი სახლთმფლობელობა საჯარო რეესტრში (თავდაპირველად -ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში) აღირიცხა მის სახელზე.

1990 წლის აპრილში ლ. ფ-მემ სასამართლოს მიმართა და მოითხოვა მის კუთვნილ სახლში ჩაუწერავად მცხოვრები ბ-კიების ოჯახის გამოსახლება მათ მიერ დაკავებული 34 კვ.მ ფართიდან.

1967 წლის 16 აგვისტოს ნ. ა-ვასა და ს. ბ-ას შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე ს. ბ-ამ ნ. ა-ვას გადაუხადა 4500 მანეთი, მანვე იკისრა ვალდებულება ყოველთვიურად ბინის ქირის -5 მანეთის გადახდის შესახებ, რის სანაცვლოდ განუსაზღვრელი ვადით საცხოვრებლად გადაეცა 34 კვ.მ ფართი საკუთარი შესასვლელით. შეთანხმების თანახმად, ბინის დატოვების შემთხვევაში ნ. ა-ვას უნდა დაებრუნებინა თანხა 10%-ის გამოკლებით, ხოლო ს. ბ-ას, ბინის გათავისუფლების შესახებ მესაკუთრე უნდა გაეფრთხილებინა 2 თვით ადრე.

ბ-კიების ოჯახი წლების განმავლობაში თავს არიდებდა ბინის ქირის გადახდას, რის გამოც მხარეთა შორის ჩამოყალიბდა კონფლიქტური სიტუაცია.

2000 წლის 18 მაისს იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინეს თ. ბ-ამ და მ. მ-ანმა ლ. ფ-მის მიმართ, რომლებმაც მოითხოვეს თბილისში, ... მე-2 შესახვევის #9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის #3<sup>1</sup>-16.47 კვ.მ, #3-7,98 კვ.მ ორი საცხოვრებელი ოთახისა და შესასვლელის (ფართით -6 კვ.მ) მესაკუთრედ ცნობა.

შეგებებულ სარჩელში აღნიშნულია, რომ 1967 წელს თ. ბ-ას მამამ -ნ. ბ-ამ 4 500 მანეთად განუსაზღვრელი ვადით იყიდა ნ. ა-ვასაგან სადავო სახლის ორი ოთახი. ხელშეკრულების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე ფულს ვერ დაუბრუნებდა, ბ-კიების ოჯახს უფლება ჰქონდა, ბინა გაეყიდა. სადავო ფართიდან მათი გამოსახლების საკითხი ერთხელ უკვე განიხილა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, რომელმაც 1996 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ფ-მის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ფ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: თ., ნ., ნ. ბ-კიებსა და მ. მ-ანს დაეკისრათ ბინის ქირის სახით 1998 წლის 25 ივნისიდან 78 ლარის გადახდა; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; ასევე არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი.

საქალაქო სასამართლოს ზემომითითებული გადაწყვეტილება ლ. ფ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

აღნიშნული საქმე არაერთხელ განიხილეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე ლ. ფ-მემ მოითხოვა საქმეზე სასაქონლო ექსპერტიზის დანიშვნა. ამავე სხდომაზე მანვე განაცხადა, რომ თანახმა იყო "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის შესაბამისად გადაეხადა ბინის მოსარგებლეებისათვის -თ., ნ. ბ-კიებისათვის, მ. მ-ანისათვის, მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობის ღირებულება იმ ოდენობით, რაც აღნიშნული კანონით და ექსპერტის დასკვნით იყო გათვალისწინებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მოცემულ საქმეზე ბინის ღირებულების ს-ძრო ფასის დასადგენად დაინიშნა სასაქონლო ექსპერტიზა, საქმის მასალები გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ლ. ფ-მის სააპელაციო საჩივარზე სასაქონლო ექსპერტიზის დამთავრებამდე საქმის წარმოება შეჩერდა.

2007 წლის 8 თებერვალს საქმე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა შეუსრულებელი სახით, ექსპერტიზის დასკვნის გარეშე იმ მოტივით, რომ მოპასუხეებმა -თ. და ნ. ბ-კიებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ექსპერტიზის ჩატარებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 თებერვლის განჩინებით ლ. ფ-მის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება, ამავდროულად, დადგინდა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის დრო.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის სხდომაზე მოდავე მხარეებმა თანხმობა განაცხადეს სასაქონლო ექსპერტიზის დანიშვნაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინებით საქმეზე დაინიშნა სასაქონლო ექსპერტიზა, რომლის დამთავრებამდე ლ. ფ-მის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეჩერდა.

2007 წლის 6 ნოემბერს საქმე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა შეუსრულებელი სახით, ექსპერტიზის დასკვნის გარეშე, იმ მიზეზით, რომ მოპასუხეებმა, ექსპერტების არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, არ მისცეს ექსპერტიზის ჩატარების საშუალება.

ლ. ფ-მის სააპელაციო საჩივარზე წარმოების განახლების შემდგომ, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისს სხდომაზე მხარეებმა სადავო ბინის საბაზრო ღირებულების დადგენის მიზ-

ნით მოითხოვეს ექსპერტიზის ჩატარება, რის გამოც საქმე კვლავ გადაეგზავნა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 11.07.2008წ. დასკვნის შესაბამისად, თბილისში, ვერაზე, ... მეორე შესახვევის #9-ში მდებარე სახლში, თ. და ნ. ბ-კიების, მ. მ-ანის მიერ პირველ სართულზე დაკავებული 29.73 კვ.მ ფართის საბაზრო ღირებულება 2008 წლის ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენდა 24 500 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება თ., ნ. ბ-კიების, მ. მ-ანის ბინიდან გამოსახლების შესახებ ლ. ფ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ლ. ფ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოსარჩელეს თ., ნ. ბ-კიების, მ. მ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა 18 375 აშშ დოლარის შესაბამისი ლარისა და 7 419 ლარის გადახდა, რომლის გადახდის შემდეგ და სანაცვლოდ თ., ნ. ბ-კიები, მ. მ-ანი გამოსახლებულ იქნენ თბილისში, ... მეორე შესახვევის #9-ში მდებარე მათ მიერ დაკავებული ფართიდან და აღნიშნული ფართი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა ლ. ფ-ძეს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ლ. ფ-ძემ 1990 წლის 16 იანვარს სანოტარო წესით დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შ. ა-ვასაგან იყიდა თბილისში, ... მეორე შესახვევში მდებარე #9 საცხოვრებელი სახლი და აღირიცხა მის მესაკუთრედ;

1967 წლის 16 აგვისტოს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნულ მისამართზე მდებარე ბინა, კერძოდ, ორი ოთახი დერეფნით და შესასვლელით, დაკავებული ჰქონდა ს. ბ-ას, რომელთან ერთად ცხოვრობდნენ მისი ძმები - ნ. და ა. ბ-კიები. შემდეგ ს. და ნ. ბ-კიებმა დატოვეს ბინა და მასში ცხოვრება განაგრძო მხოლოდ თ. ბ-ამ თავის ოჯახთან ერთად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა ექვემდებარებოდა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონით მოწესრიგებას.

ზემომოთხრობული კანონის 1.1 მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენდა მოსარგებლეს და მას თბილისში, გოგებაშვილის მეორე შესახვევში მდებარე #9 საცხოვრებელი სახლის მის მიერ დაკავებულ ფართობზე (ორი ოთახი დერეფნით და შესასვლელით) მფლობელობის უფლება მოპოვებული ჰქონდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს, მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისათვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისათვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში. ამ გარემოებას საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას სადავოდ არ ხდიდა აპელანტი, მან თანხმობა განაცხადა საკომპენსაციო თანხის მოპასუხეთათვის გადახდის სანაცვლოდ მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-6 მუხლზე, რომლის შესაბამისად, მესაკუთრე, რომელიც მოსარგებლეს მოსთხოვს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტას, ვალდებულია აუნაზღაუროს მოსარგებლეს მის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯები საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დგინდებოდა, რომ მოსარგებლის მიერ დაკავებული ოთახების წინ შესასვლელში, ღია ფართზე მოწყობილი იყო სახურავი, მის მიერვე იყო მოწყობილი დამხმარე სათავსოები - აბაზანა და ტუალეტი, ასევე რკინის მესერი, ე.ი. განხორციელებული იყო არსებითი ხასიათის გაუმჯობესება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო-სასაქონლო ექსპერტიზის 2008 წლის 11 ივლისის #1964/18/19 დასკვნის შესაბამისად, თბილისში, ... მეორე შესახვევის #9-ში მდებარე სახლში, თ. და ნ. ბ-კიების, მ. მ-ანის მიერ პირველ სართულზე დაკავებული 29.73 კვ.მ ფართობის საბაზრო ღირე-

ბულემა შეადგენდა 24 500 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს; ამავე ბინაზე თ. და ნ. ბ-კიების, მ. მ-ანის მიერ დაკავებული ოთახის წინ შესასვლელ კარში ღია ფართზე მოწყობილი სახურავის, დამხმარე სათავსოების - ტუალეტის და სააბაზანოს, ასევე, რკინის მესერის ღირებულება შეადგენდა 7 419 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის, ასევე მე-6 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ აღნიშნული თანხის -24 500 აშშ დოლარის 75%-ის -18 375 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 7 419 ლარის, ბინის მესაკუთრის -ლ. ფ-ძის მიერ მოსარგებლეთათვის გადახდის სანაცვლოდ უნდა დაკმაყოფილებულიყო მოსარჩელის მოთხოვნა ბინიდან მოპასუხეთა გამოსახლებისა და მისი მესაკუთრისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თ. ბ-ას მოსაზრება იმის შესახებ, რომ მესაკუთრეს უნდა დაკისრებოდა მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 90%-ის გადახდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მფლობელობის შეწყვეტის სანაცვლოდ მესაკუთრის მიერ მოსარგებლისათვის დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 90%-ის გადახდას ითვალისწინებდა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არსებობდა წერილობითი შეთანხმება (სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე) საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობაზე. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების შესაბამისად, მხარეებს შორის არსებობდა არა საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის, არამედ -საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის ხელშეკრულება, რაც ნათლად დგინდებოდა თვით ამ გარიგების შინაარსიდან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. და ნ. ბ-კიებმა, მ. მ-ანმა. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის ლ. ფ-ძისათვის 18 375 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით ლ. ფ-ძისათვის მათ სასარგებლოდ 99 919.97 ლარისა და 4 500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება, აგრეთვე ლ. ფ-ძისათვის 7 419 ლარის დაკისრების ნაწილში საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კასატორთა ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის 2.1 მუხლი, რომლის თანახმად, თუ მხარეებს შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობაზე (სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე), მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისათვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისათვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 90%-ის გადახდის შემთხვევაში.

ის გარემოება, რომ ნ. ა-ვასა და ს. ბ-ას შორის 1967 წელს სადავო ფართზე დადებული ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებას, შემდეგით დასტურდება: ა) საცხოვრებელი ფართი გადაცემულია უვადოდ; ბ) ს. ბ-ას გადაცემული აქვს საცხოვრებელი ფართი იმ დროისათვის სოლიდური თანხის -4 500 მანეთის გადახდის სანაცვლოდ, რაც იმავე პერიოდში არსებული ოფიციალური კურსის გათვალისწინებით შეადგენს 500 აშშ დოლარს; გ) ს. ბ-ას (შესაბამისად, მის უფლებამონაცვლებს) ბინის დატოვების შემთხვევაში უნდა დაბრუნებოდათ 4050 მანეთი -თავდაპირველი თანხის 90%. ამდენად, მესაკუთრეს სადავო ბინა უნდა გამოეყენებინა აღნიშნულ ფასად. ამასთან, მოსარგებლის უფლებამონაცვლებს ჰქონდათ ბინის გაყიდვის უფლება მესაკუთრის მიერ გამოეყენებინა თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში.

კასატორის მოსაზრებით, ასევე არასწორად განისაზღვრა მოსარგებლების მიერ დაკავებული სადგომის ფართობი. ექსპერტის დასკვნასა და სასამართლო გადაწყვეტილებაში არ ფიგურირებს 12.3 კვ.მ-ის სარდაფი, სადაც მდებარეობს სანკვანძი. სასამართლოს სარდაფის ფართი უნდა ჩათვალილიყო საცხოვრებელი სადგომის შემადგენელ ნაწილად, რადგან ზოგადად საცხოვრებელი სადგომი შედგება როგორც საცხოვრებელი, ისე დამხმარე სათავსოებისაგან. დამხმარე სათავსოებს ასევე გააჩნიათ საბაზრო ღირებულება, რომელიც საერთო ღირებულების ნაწილია. შესაბამისად, სადგომის ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო დამხმარე სათავსოების გათვალისწინებით, მათი ფართობის საცხოვრებელ ფართობზე მიმატებით.

გარდა ამისა, სასამართლოს სადავო საცხოვრებელი სადგომის შემადგენელ ნაწილად უნდა მიეჩნია 15.2 კვ.მ ფართობი, სადაც მოწყობილია საზაფხულო სასტუმრო-სამზარეულო, წყლის სის-

ტემით, კანალიზაციით, ელექტროქურით, მაგიდებითა და სკამებით. იატაკზე დასხმულია ბეტონი, გადახურულია თუნუქის სახურავით და გამოყოფილია ეზოსაგან.

ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო-სასაქონლო ექსპერტიზის 2008 წლის 11 ივლისის #1964/18/19 დასკვნის მიხედვით, ექსპერტის მიერ შეჯამებულია მოწინააღმდეგე მხარის მიერ დაკავებული #1 საცხოვრებელი ოთახი (17.60 კვ.მ) და დამხმარე სათავსები: #2 დერეფანი (3.81 კვ.მ) და #3 სამზარეულო (8.32 კვ.მ). დამხმარე სათავსოებში ვერ მოხვდა სარდაფის ფართი, რომლის არსებობასაც ადასტურებს თავად ექსპერტი და სადაც განლაგებულია საპირფარეშო და სააბაზანო. ამავე დასკვნაში ექსპერტი მიუთითებს საზაფხულო სასტუმრო-სამზარეულოზე ტერმინით: "ღია ფართზე მოწყობილი სახურავი", რაც მისი ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე არასწორია.

ექსპერტის მიერ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება დადგენილია შედარების მეთოდით, რაც დაფუძნებულია შესაფასებელი ობიექტების მსგავსი გაყიდული ობიექტის ფასის შედარებაზე. მიუხედავად ამისა, ექსპერტის განმარტებიდან სრულიად დაუსაბუთებელია შედარების მეთოდის გამოყენებისას, კონკრეტულად, რა ინფორმაციაზე დაყრდნობით განისაზღვრა ს-ძრო ფასი, რომელი იდენტურ შემთხვევას შეადარა ექსპერტმა ბინა, რა პერიოდისაა ეს ინფორმაცია და რომელი წყაროდან არის მიღებული.

ამ დროისათვის კასატორთა მიერ შექმნილი უამრავი ობიექტი არ არის შეყვანილი შეფასების ნუსხაში, რაც ექსპერტთა მიკერძოებულობაზე მეტყველებს.

ექსპერტიზის დასკვნაში ასანაზღაურებელი ფართის ოდენობად უნდა მითითებულიყო არა 29.73 კვ.მ, არამედ დამატებით სარდაფის (12.3 კვ.მ) და ფარდულის (15.2 კვ.მ) ფართობები, მთლიანობაში 57.23 კვ.მ. აღნიშნული საგრძნობლად გაზრდიდა სადგომის ღირებულებას.

სააპელაციო სასამართლოში ექსპერტთა მიუწვევლობის გამო კასატორებს არ მიეცათ მათთვის კითხვების დასმის საშუალება, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და 171 მუხლების მოთხოვნები.

ექსპერტიზის დასკვნაში არსებული შეუსაბამოების შესახებ კასატორებმა შეიტყვეს 2008 წლის 17 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც აღნიშნული დასკვნა ჩაჰპარდათ. დასკვნაში არსებული მითითებების გასაბათილებლად მათ წარადგინეს ალტერნატიული დასკვნა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ საქმეს მტკიცებულების სახით არ დაურთო. ალტერნატიული ექსპერტიზის დანიშნულებას წარმოადგენდა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარდაფისა და ფარდულის წარმოჩენა რეალური საბაზრო ფასის შესაბამისად მომხდარიყო.

### **სამოტივაციო ნაწილი::**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ., ნ. ბ-კიებისა და მ. მ-ანის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, თ., ნ. ბ-კიებისა და მ. მ-ანის საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე თ., ნ. ბ-კიებსა და მ. მ-ანს უნდა დაუბრუნდეთ თ. ბ-ას მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (100 ლარი) 70% -70 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. თ., ნ. ბ-კიებისა და მ. მ-ანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. თ., ნ. ბ-კიებსა და მ. მ-ანს დაუბრუნდეთ თ. ბ-ას მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (100 ლარი) 70% -70 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

#ას-213-539-09

2 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**  
**ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),**  
**ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობის გაუქმება, სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევა, სამკვიდრო ქონების ნაწილზე მემკვიდრედ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 19 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ჯ-ძემ მოპასუხეების -ნოტარიუს ლ. ა-შვილისა და ე. კ-ოვის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ნოტარიუს ლ. ა-შვილის მიერ 1995 წლის 22 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება, რომლითაც დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონება, კერძოდ, თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე ბინა მიიღო ე. კ-ოვმა, და მის მიერ სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადის აღდგენა.

მოგვიანებით მ. ჯ-ძემ იმავე სასამართლოში დაზუსტებული სასარჩელო განცხადება წარადგინა, რომლითაც მოითხოვა: ნოტარიუს ლ. ა-შვილის მიერ 1995 წლის 22 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ გაუქმება და თბილისში, ... ქუჩის #13-ში მდებარე, დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონების 1/2-ზე ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 1994 წლის 19 აგვისტოს გარდაიცვალა მ. ჯ-ძის პაპა -დედის დედის ქმარი დ. კ-ოვი, რომელიც ცხოვრობდა თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე ბინაში. მითითებული ბინა 1992 წლის 16 მაისს #2/773 ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენდა ამ უკანასკნელის საკუთრებას.

2005 წლის აპრილში მ. ჯ-ძისათვის ცნობილი გახდა, რომ დ. კ-ოვმა მთელი თავისი ქონება 1994 წლის 24 იანვრის ანდერძის საფუძველზე უანდერძა მას (მ. ჯ-ძეს). ანდერძი შედგენილია იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლის სრული დაცვით და რეგისტრირებულია რეესტრში #1-310.

ზემოაღნიშნულის შემდგომ მ. ჯ-მემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლის 2005 წლის 17 ივნისის პასუხიდან გამოირკვა, რომ დ. კ-ოვის მიერ მისთვის ნაანდერძევი, თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე ბინა 1995 წლის 22 თებერვლის #3-9 ნოტარიული ხელშეკრულების საფუძველზე გადაიფორმა მისმა მეუღლემ, ანუ მოსარჩელის დედის დეიდამ ე. კ-ოვმა.

მოსარჩელის მითითებით, ანდერძი კანონის შესაბამისად ინახებოდა ნოტარიუს ლ. ა-შვილთან, ხოლო ანდერძის ასლი -მონადერძესთან ოჯახში. დ. კ-ოვის გარდაცვალების მოწმობის წარდგენისთანავე ნოტარიუსი ვალდებული იყო, სამკვიდროს გახსნის თაობაზე ეცნობებინა ანდერძისმიერი მემკვიდრისათვის, რაც მან არ განახორციელა, კერძოდ, ნოტარიუსმა მას, როგორც მემკვიდრეს, არ აცნობა აღნიშნულის შესახებ. აქედან გამომდინარე, ნოტარიუსმა დაარღვია იმ დროისათვის მოქმედი ინსტრუქცია "საქართველოს სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ", არ მიიღო ზომები სამკვიდრო ქონების დასაცავად, ანდერძისმიერი მემკვიდრე მემკვიდრეობის გარეშე დატოვა, ხოლო სამკვიდრო მოწმობა არაკანონიერად გასცა.

დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონების მთლიანად ე. კ-ოვისათვის მიკუთვნებას მოსარჩელე არამართლზომიერად მიიჩნევდა, რამდენადაც იგი დ. კ-ოვის ანდერძისმიერ მემკვიდრეს წარმოადგენდა, რომელსაც სამკვიდროს 1/2-ზე კანონიერი უფლება გააჩნდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, კანონისმიერ მემკვიდრეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნის სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც მას კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 19 ივლისის განჩინებით თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე ე. კ-ოვის სახელზე რიცხულ სადავო ბინას დაედო ყადაღა.

მოპასუხე ნოტარიუსმა ლ. ა-შვილმა სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით:

მოსარჩელეს არ მიუთითებია კონკრეტული ნორმა, რომლის დარღვევითაც ნოტარიუსმა გასცა სამკვიდრო მოწმობა. შესაბამისად, გაურკვეველია, რატომ უნდა გააუქმოს სასამართლომ აღნიშნული მოწმობა. მ. ჯ-მეს არც კანონით დადგენილ ვადაში მიუმართავს ნოტარიუსისათვის და არც სასამართლოს მეშვეობით აღუდგენია სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადა. მართალია, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მისთვის ანდერძის არსებობის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ 2005 წლის აპრილში, მაგრამ აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია. თუკი სასამართლო გაითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მ. ჯ-მისათვის ანდერძის არსებობა ცნობილი გახდა 2005 წლის აპრილში, სარჩელი მაინც ხანდაზმული იყო, კერძოდ, მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლით დადგენილი ორთვიანი ვადა.

მოპასუხე ე. კ-ოვი ასევე არ დაეთანხმა სარჩელის მოთხოვნებს და განმარტა, რომ მისმა მეუღლემ დ. კ-ოვმა მისივე თხოვნით უანდერძა მ. ჯ-მეს გარკვეული ქონება, რაც მიზნად ისახავდა ე. კ-ოვის მოვლა-პატრონობას და არა ქონების წართმევასა და სახლიდან გაგდებას. მან, როგორც კანონისმიერმა მემკვიდრემ დადგენილ ვადაში მიიღო სამკვიდრო მოწმობა და ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობასა და მართვას. იგი დარწმუნებული იყო, რომ თავისი დისშვილი (მ. ჯ-მე) მოუვლიდა, თუმცა შეცდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იყო, რომ მოპასუხე სამკვიდროს მას უანდერძებდა, ვისთვისაც ქონების გადაცემას მიზანშეწონილად მიიჩნევდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ჯ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 19 ივლისის განჩინებით მოცემულ დავასთან დაკავშირებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ყადაღა მოეხსნა ე. კ-ოვის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ, თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე ბინას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ ანდერძის არსებობის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2005 წელს, რამდენადაც მიიჩნია, რომ მამკვიდრებელ დ. კ-ოვს თავისი ნების გამოხატვის შესახებ უნდა ეცნობებინა მემკვიდრე მ. ჯ-მისათვის. ამგვარ დასკვნამდე სასამართლო მივიდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით: როგორც ირკვეოდა ე. და დ. კ-ოვების ოჯახსა და მ. ჯ-მის ოჯახს შორის იყო საუკეთესო ურთიერთდამოკიდებულება. ამასთან, მ. ჯ-მე ნათესაურად დაკავშირებული იყო მხოლოდ ე. კ-ოვასთან, შესაბამისად, დ. კ-ოვის მეუღლის დისშვილიშვილის (მ. ჯ-მე) სახელზე ანდერძის შედგენის შესახებ ნების ფორმირებას ხელი შეუწყო თავად ე. კ-ოვამ.

ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების დროს მოსარჩელე იყო მცირეწლოვანი და ქმედუუნარო, საქალაქო სასამართლომ არ მიიჩნია სამკვიდროს მიუღებლობის მიზეზად, რადგან თუ არსებობდა სამკვიდროს მიღების სურვილი, აღნიშნულის თაობაზე კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უნდა ეზრუნათ მოსარჩელის მშობლებს, როგორც მის კანონიერ წარმომადგენლებს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დაზუსტების შემდგომ მოსარჩელემ აღარ მოითხოვა სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება. სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის გაშვების შემთხვევაში კი მემკვიდრე, როგორც წესი, კარგავს სამკვიდროს მიღების უფლებას. რამდენადაც მოსარჩელემ არ მოითხოვა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელება, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების გარეშე მ. ჯ-მეს ესპოზოდა იურიდიული საფუძველი იმისა, რომ ედავა დ. კ-ოვის სამკვიდროში შემავალი ნივთის კუთვნილებისა თუ ამ ნივთთან დაკავშირებით შედგენილი სამკვიდრო მოწმობის კანონიერების შესახებ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ჯ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მის მიერ სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევა, ნოტარიუს ლ. ა-შვილის მიერ 1995 წლის 22 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ გაუქმება და თბილისში, ... ქუჩის #13-ში მდებარე დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონების ნაწილზე (ე. კ-ოვას სავალდებულო წილის გამოკლებით) ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ჯ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა: მოსარჩელეს გაუგრძელდა ანდერძისმიერი სამკვიდრო ქონების მისაღებად დადგენილი ვადა; გაუქმდა თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 34/795-წილზე, დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონებაზე, ე. (ე.) კ-ოვას მიერ 1995 წლის 22 თებერვალს მიღებული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა 1/2 ნაწილში, დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონების 1/2-ის ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობილ იქნა მ. ჯ-მე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცობის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ე. კ-ოვის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მ. ჯ-მემ სასარჩელო მოთხოვნა შეამცირა, კერძოდ, თბილისში, ... ქუჩის #13-ში მდებარე დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონების 1/2-ის ნაცვლად მოითხოვა აღნიშნული უძრავი ქონების 1/4-ზე ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა. აპელანტის აღნიშნული შუამდგომლობა გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 1339-ე მუხლის შინაარსიდან, რომლის თანახმად, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის. შესაბამისად, აპელანტი ითხოვდა გარდაცვლილი დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონების ნახევარს, რომელიც შეადგენდა ელიზავეტა და დ. კ-ოვების საერთო ქონების, ანუ თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 34/795 ნაწილის 1/4-ს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. ჯ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს გაუგრძელდა ანდერძისმიერი სამკვიდრო ქონების მისაღებად დადგენილი ვადა; გაუქმდა თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 34/795-ზე, დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონებაზე, ე. კ-ოვის მიერ 1995 წლის 22 თებერვალს მიღებული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა 1/4-ში, დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონების 1/4-ის ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობილ იქნა მ. ჯ-მე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1994 წლის 19 აგვისტოს გარდაცვლილი დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონებაზე, თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 34/795-ზე, 1995 წლის 22 თებერვალს ე. კ-ოვმა მიიღო კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა;

ნოტარიუს ლ. ა-შვილის მიერ გაცემული სანოტარო აქტის საფუძველზე მ. ჯ-მეს 2005 წლის 8 ივლისს გადაეცა დ. კ-ოვის ანდერძის ასლი, დამოწმებული 1994 წლის 24 იანვარს, რეესტრის #1-310-ით, რომელიც არ გაუქმებულა და არის ძალაში;

აღნიშნული ანდერძით მოანდერძემ (დ. კ-ოვი) მ. ჯ-მეს უანდერძა მთელი თავისი ქონება, მათ შორის, საცხოვრებელი სახლი.

ზემომოთხრობული სანოტარო აქტით დასტურდებოდა, რომ მ. ჯ-მეს, რომელმაც სასამართლოში სარჩელი აღძრა 2005 წლის 17 ივლისს, არ გაუშვია სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლით



დადგენილი ორთვიანი ვადა და იგი ე. კ-ოვის მიერ სამკვიდრო მოწმობის მიღებას შეეცილა თავისი უფლების დარღვევის გაგებიდან ორი თვის ვადაში.

იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ანდერძისმიერმა მემკვიდრემ (მ. ჯ-მემ) უფრო ადრე იცოდა ანდერძის თაობაზე და მას მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ გადაეცა ანდერძის ასლი, საქმეში არ იყო წარდგენილი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია იმის თაობაზე, რომ, რადგან მონადერძის მეუღლე ე. კ-ოვამ თვითონ შეუწყო ხელი დის შვილიშვილის მ. ჯ-ძის სახელზე ანდერძის შედგენის შესახებ მონადერძის ნების ფორმირებას, აღნიშნული გარემოება გამორიცხავდა აპელანტისათვის ანდერძის დამალვის საჭიროებას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ე. კ-ოვის მითითება იმის შესახებ, რომ ანდერძის შედგენას ესწრებოდა მ. ჯ-მე და მისი დედა, გაზიარებული არ უნდა ყოფილიყო, რადგან აღნიშნული გარემოება მხარემ ვერ დაადასტურა. სააპელაციო სასამართლომ არც ნოტარიუს ლ. ა-შვილის განმარტება მიიჩნია სარწმუნოდ, რომელიც იმაზე მიუთითებდა, რომ ანდერძის შედგენა განპირობებული იყო მ. ჯ-ძის მიერ (დედასთან ერთად) მოხუცი კ-ოვებისათვის პატრონობით.

სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1319-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო გახსნილად ითვლება პირის გარდაცვალების დღიდან. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჯ-ძეს სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადა საპატიო მიზეზით ჰქონდა გაშვებული, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლიდან გამომდინარე, გაგრძელებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სადავო შემთხვევაში სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელების შესახებ მოთხოვნა არ არსებობდა და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა შემდეგზე:

საქმეზე დგინდებოდა, რომ მ. ჯ-ძის სარჩელი ლ. ა-შვილისა და ე. კ-ოვის მიმართ, რომლითაც იგი ითხოვდა დ. კ-ოვის ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობასა და სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის აღდგენას, სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა წარმოებაში. მოგვიანებით, 2006 წლის 31 ოქტომბერს, მოსარჩელემ შეიტანა სარჩელი, რომელსაც დაზუსტებული უწოდა და მოითხოვა ნოტარიუს ლ. ა-შვილის მიერ 1995 წლის 22 თებერვალს ე. კ-ოვაზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება (სამკვიდრო მოწმობის ბათილობის შესახებ მოთხოვნა დააზუსტა) და მისი ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა დ. კ-ოვის სამკვიდროს S-ზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული სასარჩელო მოთხოვნა ვერ ჩაითვლებოდა მის მიერ ადრე შეტანილი სარჩელის დაზუსტებად, რამდენადაც თითოეულ სარჩელში მოთხოვნა იყო დამოუკიდებელი. ამდენად, სამკვიდრო მოწმობის გაუქმება და ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის აღდგენის შესახებ მოთხოვნის დაზუსტებად. იმავდროულად, საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ მ. ჯ-მემ რომელიმე მის მოთხოვნაზე უარი თქვა და ამის გამო მის რომელიმე მოთხოვნაზე საქმის წარმოება შეწყდა.

მოცემულ შემთხვევაში მ. ჯ-ძეს სააპელაციო საჩივრის ხელახალი განხილვისას სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ დ. კ-ოვის სახელზე აღრიცხული სადავო უძრავი ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას (აღნიშნულის თაობაზე იგი თავის განცხადებაშიც მიუთითებდა). ასეთ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის 1339-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის და დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონებად უნდა მიჩნეულიყო 34/795-ის 1/2.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლზე, რომლის მიხედვით მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

საქმეზე დგინდებოდა, რომ ელ. (ე.) კ-ვა წარმოადგენდა გარდაცვლილი დ. კ-ოვის მეუღლეს და სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირველი რიგის კანონით მემკვიდრეს. ამასთან, იგი წარმოადგენდა ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრეს, რომელსაც, მითითებული ნორმის შესაბამისად - დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონებიდან, 34/795-ის 1/2-დან, სავალდებულო წილის სახით უნდა მიეღო სამკვიდრო ქონების 1/2-ის ნახევარი, ანუ 1/4.

იმის გათვალისწინებით, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის აღდგენის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გაზიარებული უნდა ყოფილიყო აპელანტის მოსაზრება და უნდა გაუქმებულიყო თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 34/795-ზე, ელ. (ე.) კ-ოვას მიერ, 1995 წლის 22

თებერვალს მიღებული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონების 1/4-ში, ხოლო ამ ნაწილში დ. კ-ოვის სამკვიდრო ქონების ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობილი უნდა ყოფილიყო მ. ჯ-მე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. კ-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივებით:

ნოტარიუს ლ. ა-შვილის სანოტარო აქტში მითითებულია, რომ მას მიმართა მ. ჯ-მემ, რომელმაც მიუთითა ანდერძის შედგენის თარიღი, რეგისტრაციის ნომერი და მოითხოვა ანდერძის გაცემა. თუკი მოსარჩელემ ანდერძის შესახებ მხოლოდ 2005 წელს გაიგო (როგორც თვითონ მიუთითებს), მაშინ ბუნებრივად იზადება კითხვა იმის შესახებ, საიდან იცოდა მან, თუ რომელ ნოტარიუსთან ინახებოდა ანდერძი, რომელ წელს, თვესა და რიცხვში იყო შედგენილი იგი, რა რეგისტრაციის ნომერი ჰქონდა ანდერძს.

მ. ჯ-მეს არა აქვს წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რომ მან ნამდვილად 2005 წელს გაიგო ანდერძის შესახებ, რაც იმას მოწმობს, რომ მოსარჩელემ ადრიდანვე იცოდა ანდერძის თაობაზე.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ დაზუსტებული სარჩელით სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადის გაგრძელების შესახებ მოთხოვნა არ გაუქმებულა, რადგან თითოეულ სარჩელში მოთხოვნა არის დამოუკიდებელი. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს კანონის რომელიმე ნორმაზე არ მიუთითებია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. კ-ოვას საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ე. კ-ოვას საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ე. კ-ოვას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-44-379-09

8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხების დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 22 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს "გიომ" მოპასუხე სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირ "აჭარკოოპკავშირის", მესამე პირის -ქ. რ-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 15 028 ლარის (მათ შორის: ძირი თანხის -11 940 ლარის, აუდიტორული დასკვნისათვის გაწეული ხარჯის -600 ლარის, დარიცხული პროცენტის -1 910 ლარის, იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული თანხის -578 ლარის) დაკისრება.

მოსარჩელის მითითებით, 2005 წლის 2 აგვისტოს #1/11-33 წერილით აჭარკოოპკავშირმა ფაქტობრივად აღიარა მის მიმართ არსებული დავალიანება, კერძოდ, დასახელებული წერილით მოპასუხე მზადყოფნას გამოხატავდა ქობულეთის აგრარული ბაზრის უძრავ-მომრავი ქონების, მათ შორის, იმ მიწის ფართის, რომელზეც შპს "გიოს" ობიექტები იყო განლაგებული, გაყიდვის შემთხვევაში, მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა 11 940 ლარი, ხოლო სანაცვლოდ მოსარჩელეს აღნიშნული ობიექტები უნდა ჩაებარებინა აჭარკოოპკავშირის გამგეობისათვის იმ პირობით, რომ შემდგომში მხარეთა შორის ფინანსურ, ქონებრივ ან სხვა სახის დავას ადგილი არ ექნებოდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 18 მაისის #24/232 წერილის თანახმად, აჭარკოოპკავშირმა შპს "ქობულეთის აგრარული ბაზარი" გაასხვისა 2005 წლის 28 ოქტომბერს. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ აჭარკოოპკავშირის მის მიმართ ვალდებულება წარმოეშვა 2005 წლის 28 ოქტომბერს, რომელიც არ შეუსრულებია.

რამდენადაც თანხის დაბრუნების მოთხოვნით მოპასუხისადმი შპს "გიოს" 22.05.2006წ. მიმართვას ამ დრომდე შედეგი არ მოჰყოლია, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ არსებობდა როგორც ძირითადი თანხის, ასევე, გადაცილებული დროისათვის პროცენტის დაკისრების საფუძველი. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად სარჩელში დასახელებული იყო სამოქალაქო კოდექსის 403-ე, 404-ე მუხლები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 იანვრის საოქმო განჩინებით მესამე პირის სტატუსით მონაწილე ქ. რ-მე საქმეში ჩაება, როგორც მოპასუხე.

მოპასუხე "აჭარკოოპკავშირმა" სარჩელი არ ცნო, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

საქმეში არსებული 2005 წლის 2 აგვისტოს #1/11-33 წერილი, რომელსაც მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებდა, შპს "გიოსთვის" თანხის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას ითვალისწინებდა იმ შემთხვევაში, თუ: ა) შპს "ქობულეთის აგრარული ბაზარი" გაასხვისებდა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ-მომრავ ქონებას; ბ) შპს "გიოს" თავის უძრავ-მომრავ ობიექტებს ჩააბარებდა მოპასუხეს. მოცემულ საქმეზე არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა ის გარემოება, რომ შპს "ქობულეთის აგრარულმა ბაზარმა" გაასხვისა უძრავ-მომრავი ქონება, ასევე არ არსებობდა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ შპს "გიომ" თავისი ქონება ჩააბარა მოპასუხეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, "აჭარკოოპკავშირის" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 11 940 ლარის გადახდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა "აჭარკოოპკავშირმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებით "აჭარკოოპკავშირის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის თანახმად (რომლის ნამდვილობა მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ), 2004 წლის 19 მაისს სასამართლომ განიხილა რა საქმე ვ. დ-მის (შპს "გიოს" დამფუძნებელ მ. გ-ვას მეუღლე) სარჩელის გამო მოპასუხე ქობულეთის რაიონის გამგეობასთან და ქობულეთის აგრარული ბაზრის დირექციასთან –ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენაზე –დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება, რომლის თანახმად, მოპასუხე შპს "ქობულეთის აგრარულმა ბაზარმა" ვ. დ-მეს გადასცა ბაზრის ტერიტორიაზე არსებული 13 პავილიონი და მათში შესული სავაჭრო ობიექტები ნაჩვენები რუქის მიხედვით (მოგვიანებით აღნიშნული ქონება მ. გ-ვამ შეიტანა შპს "გიოს" საწესდებო კაპიტალში). შპს "ქობულეთის აგრარული ბაზრის" პოზიციას დაეთანხმა ქობულეთის რაიონის გამგეობა. მხარეთა შორის მორიგების გამო საქმეზე წარმოება შეწყდა;

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს დადგენილება შპს "აგრარული ბაზრის" დაფუძნების შესახებ, აღნიშნული ბაზრის უძრავ-მოძრავი ქონება გათავისუფლდა ქობულეთის რაიონის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უკანონო მფლობელობიდან და უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით დაუბრუნდა "აჭარკოოპკავშირს";

2005 წლის 28 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით აჭარის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირმა "აჭარკოოპკავშირმა" შპს "აგრარული ბაზრის" 100%-იანი წილი, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საერთო სასარგებლო ფართით მიჰყიდა ქ. რ-მეს;

უძრავი ქონების გაყიდვამდე ორი თვით ადრე, 2005 წლის 2 აგვისტოს, "აჭარკოოპკავშირის" გამგეობის თავმჯდომარემ წერილით ამცნო შპს "გიოს-2000-ის" დირექტორს, რომ დღის წესრიგში იდგა მათი ქონების, მათ შორის, იმ მიწის ფართის გაყიდვის საკითხი, რომელზეც შპს-ს ობიექტები იყო განლაგებული. აუდიტორული დასკვნის თანახმად, ამ ობიექტების (პავილიონების) ღირებულება 11 940 ლარს შეადგენდა და "აჭარკოოპკავშირის" გამგეობა მზად იყო ბაზრის უძრავ-მოძრავი ქონების, მათ შორის იმ მიწის ფართის გაყიდვის შემთხვევაში, რომელზეც მათი ობიექტები იყო განლაგებული, აენაზღაურებინა შპს "გიოსათვის" 11 940 ლარი. ნაცვლად ამისა, შპს "გიოს" აღნიშნული ობიექტები უნდა ჩაებარებინა "აჭარკოოპკავშირის" გამგეობისათვის იმ პირობით, რომ შემდგომში მხარეთა შორის ფინანსურ, ქონებრივ და სხვა სახის დავას არ იქნებოდა.

მოპასუხე "აჭარკოოპკავშირის" გამგეობამ მოახდინა აგრარული ბაზრის ტერიტორიის გაყიდვა, თუმცა შპს "გიოს" წინაშე 2.08.2005წ. #1/11-33 წერილით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია.

ზემოთხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწერიგებლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დავის არსს არ ცვლიდა ის გარემოება, რომ ობიექტების (პავილიონების) გადაცემის თაობაზე მხარეთა შორის არ შემდგარა მიღება-ჩაბარების აქტი, რამდენადაც დგინდებოდა, რომ მითითებული წერილის მიღების შემდგომ ადრესატს –შპს "გიოს" არ გამოუთქვამს საწინააღმდეგო პოზიცია, ანუ ეს უკანასკნელი დაეთანხმა შეთავაზებულ წინადადებას.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება გააჩნდა მხოლოდ შპს "აგრარული ბაზრის" გასხვისების შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ "აჭარკოოპკავშირმა" მოსარჩელის წინაშე იკისრა თანხის გადახდის ვალდებულება და ამ ვალდებულებით ურთიერთობაში იგი მხარეს წარმოადგენდა, რამდენადაც ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების შესაბამისად შპს "აგრარული ბაზარი" თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით სწორედ "აჭარკოოპკავშირს" დაუბრუნდა და სწორედ მან გაასხვისა იგი ქ. რ-მეზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირმა "აჭარკოოპკავშირმა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივებით:

სასამართლოს მიერ დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ "აჭარკოოპკავშირმა" 2005 წლის 28 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს "ქობულეთის აგრარული ბაზრის" 100%-

იანი წილი, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობები საერთო 3 706.5კვ.მ-ით, გაასხვისა მოპასუხე ქ. რ-მეზე. ამ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად შეაფასა 2005 წლის 28 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსი, რადგან აღნიშნულით დგინდება შპს "ქობულეთის აგრარული ბაზრის" 100%-იანი წილის და არა იმ მიწის ნაკვეთის გასხვისების ფაქტი, რომელზეც სადავო პავლიონები იყო განლაგებული.

საქმეში არსებული 2005 წლის 2 აგვისტოს #1/11-33 წერილი, რომელსაც შპს "გიო" თავის სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებს, მისთვის თანხის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას ითვალისწინებდა იმ შემთხვევაში, თუ: ა) შპს "ქობულეთის აგრარული ბაზარი" გაასხვისებდა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებას; ბ) შპს "გიო" თავის უძრავ-მოძრავ ობიექტებს ჩააბარებდა მოპასუხეს. მოცემულ საქმეზე არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა ის გარემოება, რომ შპს "ქობულეთის აგრარული ბაზრის" უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც მოსარჩელის ობიექტები იყო განლაგებული, გაიყიდა, ასევე არსებობდა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ შპს "გიომ" თავისი ქონება ჩააბარა მოპასუხეს.

აჭარკოოპკავშირს არ გაუსხვისებია ქობულეთის აგრარული ბაზრის ტერიტორია. საქმეზე უდავოდ დასტურდება ის გარემოება, რომ კასატორი იყო შპს "ქობულეთის აგრარული ბაზრის" 100%-იანი წილის დამფუძნებელი, მან ქ. რ-მეს სწორედ ეს წილი მიჰყიდა და არა ბაზრის ტერიტორია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირ "აჭარკოოპკავშირის" საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებელია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი განჩინების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, აჭარის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირ "აჭარკოოპკავშირის" საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

## **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. აჭარის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირ "აჭარკოოპკავშირის" საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. აჭარის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირ "აჭარკოოპკავშირის" დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 13

მაისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის (597 ლარის) 30%-ის -179.1 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-275-597-09

8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 23 მარტს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასარჩელო განცხადებით მიმართა ბ. კ-მემ მოპასუხეების -ლ. ი-ძისა და თ. ჩ-ვას მიმართ. ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა არაერთხელ დაზუსტდა. საბოლოოდ, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის 10 725 ლარის დაკისრება.

სასარჩელო განცხადებებიდან (სარჩელი, დაზუსტებული სარჩელები) და მათზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ ბ. კ-მე 1992 წლიდან ცხოვრობს თბილისში, ... ქ. #23-ში მდებარე სახლის მეოთხე სართულზე მდებარე ბინაში. მოსარჩელის ბინის თავზე მდებარეობს ლ. ი-ძისა და თ. ჩ-ვას ბინა. მოპასუხეთა ბინიდან და ბინის წინ მდებარე ტერასიდან ჩამონადენი წყლის ზემოქმედების შედეგად წლების მანძილზე ზიანდებოდა მოსარჩელის ბინის მზიდი არმატურა, ჭერი, კედლები.

ბ. კ-მემ თავის დროზე მიმართა ქალაქის მერს და მთავარ არქიტექტორს. საკითხი შეისწავლა კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტმაც, რომლის დასკვნაში მიეთითა მეოთხე სართულის გადახურვის ფილების მზიდუნარიანობის საექსპერტოზო არმატურის ინტენსიური კოროზირების გამო, რაც მოითხოვდა სპეციალურ გამოკვლევას ფილების ამოტეხვითა და არმატურის გაშიშვლებით, რათა დადგენილიყო მათი რეალური მზიდუნარიანობა. დასკვნის თანახმად, ასევე დაზიანებული იყო ასევე წყალგაყვანილობის მილები.

მოგვიანებით, მერიის მიერ გამოყოფილი სახსრებით ბრტყელი გადახურვა შეიცვალა ლითონის ფილებით. შედეგად წყლის დენადობა შემცირდა, მაგრამ არ შეწყდა. წყალი მაინც მიედინებოდა მისი საკვანძებიდან და საკანალიზაციო მილიდან და ეს არ უკავშირდებოდა ატმოსფერულ ნალექს.

მოსარჩელის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეებმა თანხმობა გამოთქვეს, საკუთარი სახსრებით შეესრულებინათ საჭირო სამუშაოები, ბინაში წყლის დენა გრძელდებოდა. მისივე განმარტებით, 2001 წლის თებერვალში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჩამოხეთქილმა წყალმა ბავშვის საძინებელში მთელ სიგრძეზე გახეთქა ბიაზი, მწყობრიდან გამოიყვანა ელექტროობა, დააზიანა ჭერი და კედლები.

მოსარჩელის მოსაზრებით, 30.01.2003წ. და 4.06.2007წ. ექსპერტიზის დასკვნები საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად ცხადად ასაბუთებდა ზედა სართულიდან ჩამოსული წყლის ზემოქმედების შედეგად მისი ბინის დაზიანების ფაქტს. სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად დასახელდა დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები, სამოქალაქო კოდექსის 992-ე, მე-1000, 1004-ე მუხლები.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 5 დეკემბრის განჩინებით მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდა, რაც ლ. ი-მემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 10 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასა-

მართლოს 2003 წლის 5 დეკემბრის განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმეზე წარმოების შეწყვეტის უფლებამოსილება არ გააჩნდა, რამდენადაც ლ. ი-ძის მიერ გაცემული მინდობილობით მოპასუხის წარმომადგენელს სარჩელის ცნობის უფლება არ ჰქონდა.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე ლ. ი-ძემ (წარმომადგენელი დ. მ-შვილი) იშუამდგომლა მოცემულ საქმეზე დანიშნულიყო დამატებითი და განმეორებითი კომპლექსური საინჟინრო-ტექნიკური და გეოლოგიური ექსპერტიზა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 აგვისტოს საოქმო განჩინებით ლ. ი-ძის (წარმომადგენელი დ. მ-შვილი) ზემომითითებული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მიზეზით, რომ სასამართლომ საქმეში არსებული დასკვნებიდან და ექსპერტის ახსნა-განმარტებიდან დასკვნების გამოტანა და შეფასებების გაკეთება შესაძლებლად მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით ბ. კ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ლ. ი-ძესა და თ. ჩ-ვას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 8 353 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 12 ივნისის დასკვნასა და უშუალოდ დასკვნის შემდგენი ექსპერტის - ბ. ლ-იას განმარტებაზე, რომლითაც დასტურდება, რომ ბ. კ-ძის ბინის პრაქტიკულად ყველა სათავსოს ჭერზე აღინიშნება ზედა სართულიდან წყლის ჩადინების კვალი, წყლის ზემოქმედების კვალი შეინიშნება კედლებსა და იატაკზე, ს-ძანოში დაზიანებულია კედელზე გაკრული კაფელი, წყლის ზემოქმედების შედეგად ასევე დაზიანებულია ბ. კ-ძის ბინის #29 ოთახი, რომელიც მდებარეობს მოპასუხეთა ბინის ტერასის ქვეშ.

სასამართლოს მითითებით, ექსპერტიზის დასკვნით და თავად ექსპერტთა განმარტებით დადგინდა, რომ ბ. კ-ძის ბინაში წყლის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული დაზიანებები განპირობებულია მოპასუხეების ბინიდან წყლის ჩადინების მიზეზით, თუმცა ექსპერტის განმარტებით, სააბაზანოში კაფელის დაზიანების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ასევე კაფელის გაკვრასთან დაკავშირებული სამუშაოების უხარისხო შესრულება. ექსპერტ ბ. ლ-იას განმარტებით, მოპასუხეების ბინიდან ბ. კ-ძის ბინაში წყლის ჩადინება შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო რამდენიმე მიზეზთან: ა) მოშვებული ონკანის უმეთვალყურეოდ დატოვება; ბ) მოპასუხეთა ბინაში არსებული წყალგაყვანილობების დაზიანება. აქვე, ექსპერტი განმარტავდა, რომ მოსარჩელის ბინის #29 ოთახში წყლის ჩადინება ვერ იქნებოდა დაკავშირებული წყალგაყვანილობის დაზიანებასთან, რადგან ამ ოთახს წყალგაყვანილობასთან კავშირი არ ჰქონდა, მასში წყლის ჩადინების მიზეზად ექსპერტი მიიჩნევდა მოპასუხეთა ბინის ტერასიდან წვიმის წყლის ჩასვლას.

ექსპერტიზის 12.06.2007წ. დასკვნითა და ექსპერტ ბ. ლ-იას განმარტებით დგინდებოდა, რომ ბ. კ-ძის ბინაში არსებული დაზიანებების აღმოსაფხვრელად ჩასატარებელი იყო შემდეგი სახის სამუშაოები: კედლებისა და ჭერის გასუფთავება, კედლებზე შპალერის გაკვრა, ჭერზე ბიაზის მოწყობა და შეღებვა, იატაკის მოხვეწა და ლაქის წასმა, სააბაზანოში კაფელის ფილების შეცვლა. ექსპერტიზის დასკვნითა და განმარტებით, ამ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო საბაზრო ღირებულება შეადგენდა 10 725 ლარს, მათ შორის, სააბაზანოში განსახორციელებელი სარემონტო სამუშაოების ღირებულება იყო 2 372 ლარი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა, როგორც მრავალბინიანი სახლის ბინის მესაკუთრეებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინის ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება, რომ არ შეზღუდულიყო და არ დარღვეულიყო მეზობლად მცხოვრები ბ. კ-ძის კანონიერი ინტერესები. კერძოდ, მოსარჩელის ბინაში წყლის ჩადინების ყველა ზემოთ დასახელებული მიზეზის არსებობა პირდაპირ კავშირში იყო მოპასუხეთათვის (როგორც ბინის მესაკუთრეთათვის) კანონით დადგენილი ბინის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნების ვალდებულების დარღვევასთან. მოპასუხეების ვალდებულებას წარმოადგენდა, არ დაეტოვებინათ ონკანი უყურადღებოდ მოშვებულ მდგომარეობაში, შეეკეთებინათ წყალგაყვანილობის სისტემა და ისე მოეწყოთ ტერასა, რომ მეზობელს წვიმის წყალი არ ჩასვლოდა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ბინის მესაკუთრის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევის შედეგად მეზობელი ბინის მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურებულიყო კანონით დადგენილი დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე დანაწესის შესაბამისად. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ზიანი ანაზღაურდებოდა, თუ არსებობდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგი პირობები: სახეზე უნდა ყოფილიყო ზიანი, ზიანი გამოწვეული უნდა ყოფილიყო მართლსაწინააღმდეგო ქმე-

დებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის არსებულიყო მიზეზობრივი კავშირი და სახეზე ყოფილიყო მის დადგომაში ზიანის მიმყენებლის ბრალი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ დავაზე არსებობდა მოპასუხეთა პასუხისმგებლობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა. დარღვეული იყო სამოქალაქო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ბინის მესაკუთრეებს ევალებათ როგორც ინდივიდუალური საკუთრების ობიექტის, ისე საერთო საკუთრების ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება და გამოყენება, რომ არ შეილახოს მრავალბინიანი სახლის სხვა ბინების მესაკუთრეთა უფლებები, ერთად ცხოვრების წესები და არ მიადგეთ დანარჩენ მესაკუთრეებს ზიანი. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, მოპასუხეთა ქმედება უნდა შეფასებულიყო როგორც მართლსაწინააღმდეგო. გარდა ამისა, არსებობდა მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, რამდენადაც დგინდებოდა, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული იყო მოპასუხეთა ბინიდან წყლის ზემოქმედების შედეგად. რაც შეეხებოდა ბრალს, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხეთა მხრიდან უმეტესადაა დატოვებული მოშვებული ონკანი ან წყალგაყვანილობის მოუწესრიგებელ მდგომარეობაში ქონა და მეზობელთან წვიმის წყლის ჩაუშვებლობის მომენტის გათვალისწინების გარეშე ტერასის მოწყობა, წარმოადგენდა ბრალეულ -გაუფრთხილებელ მოქმედებას.

საქალაქო სასამართლო ბ. კ-ძისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას დაეყრდნო ექსპერტიზის 12.06.2007წ. დასკვნას, რომლის თანახმად ბ. კ-ძის ბინაში არსებული დაზიანებების აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ სარემონტო სამუშაოებზე გასაწევი ხარჯები შეადგენდა 10 725 ლარს. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია მითითება იმის შესახებ, რომ ექსპერტიზამ ვერ უზრუნველყო კატეგორიულად დაედგინა სააბაზანოს დაზიანების ის გარემოებები, რომლებიც შეიძლებოდა გამხდარიყო მოპასუხეთა მხრიდან ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი მოქმედების შესრულების საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. ჩ-ვამ და ლ. ი-ძემ (წარმომადგენელი დ. მ-შვილი), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მათვე მოითხოვეს გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინების -ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ 13.08.2007წ. საოქმო განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ლ. ი-ძისა და თ. ჩ-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. კ-ძე ცხოვრობს თბილისში, ... ქ. #23-ში მდებარე სახლში და ამავე მისამართზე მდებარე სახლში მოსარჩელის ბინის თავზე ბინა აქვთ მოპასუხეებს ლ. ი-ძესა და თ. ჩ-ვას.

მოპასუხეთა საცხოვრებელი ბინიდან ჩამოსული წყლის ზემოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე. სასამართლოს განმარტებით, კანონის აღნიშნული ნორმის შესაბამისად, იმისათვის რომ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა ზიანის მიყენებისათვის, უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ: ა) უნდა არსებობდეს ზიანი; ბ) ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით; გ) უნდა არსებობდეს ზიანის მიმყენებლის ბრალი; დ) მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საქმეში არსებულ იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 4.06.2007წ. დასკვნასა და უშუალოდ დასკვნის შემდგენი ექსპერტის ბ. ლ-იას განმარტებაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზიანი მიყენებული იყო მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, ზიანის მიმყენებლებს აღნიშნულში მიუძღვოდათ ბრალი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი.

ექსპერტიზის 4.06.2007წ. დასკვნითა და უშუალოდ დასკვნის შემდგენი ექსპერტის ბ. ლ-იას განმარტებით, მოპასუხეთა ბინაში წყლის ჩადინება შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო მხოლოდ რამდენიმე მიზეზთან: ა) მოშვებული ონკანის უმეტესადაა დატოვება; ბ) მოპასუხეთა ბინაში არსებული წყალგაყვანილობების დაზიანება. მოსარჩელის ბინის #29 ოთახში წყლის ჩადინების მიზეზად ექსპერტი მიიჩნევდა მოპასუხეთა ბინის ტერასიდან წვიმის წყლის ჩასვლას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობა, რომ მოპასუხეებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინის ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება, რომ არ შეზღუდულიყო და არ დარღვეულიყო მეზობ-



ლად მცხოვრები მოსარჩელის -ბ. კ-მის კანონიერი ინტერესები. უყურადღებოდ დატოვებული მოშველებული ონკანი, ან მოპასუხეთა ბინაში წყალგაყვანილობის დაზიანებულ მდგომარეობაში ქონა და ტერასიდან (ღია აივნებიდან) წვიმის წყლის ჩადინება პირდაპირ კავშირში იყო მოპასუხეთათვის კანონით დადგენილი ბინის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნების ვალდებულების (იგულისხმება სამოქალაქო კოდექსის მანამდე მოქმედი 219-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი, აგრეთვე, ამჟამად მოქმედი "ბინათმესაკუთრეთა შესახებ" კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი) დარღვევასთან. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შედეგად მეზობელი ბინის მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურებულიყო კანონით დადგენილი დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე დანაწესის შესაბამისად.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული იყო მოპასუხეთა ბინიდან ჩადინებული წყლის ზემოქმედების შედეგად და არსებობდა მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის. რაც შეეხებოდა ბრალს, სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის ზემომითითებული ქმედებები მის ბრალეულ, გაუფრთხილებელ ქმედებად უნდა შეფასებულიყო.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 აგვისტოს საოქმო განჩინებას საინჟინრო-ტექნიკური და გეოლოგიური დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ არ არსებობდა მისი გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია შემდეგზე მითითება: აპელანტები გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად უთითებდნენ სწორედ იმას, რომ საქმის სწორად გადასაწყვეტად აუცილებელი იყო საინჟინრო-ტექნიკური და გეოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნა დაზიანების გამომწვევი უშუალო მიზეზის დასადგენად. აპელანტების წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოში შუამდგომლობა წარადგინა საინჟინრო-ტექნიკური და გეოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, თუმცა ეს შუამდგომლობა მოგვიანებით თავად მოხსნა. აპელანტებმა ისარგებლეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობით და დამოუკიდებლად მიმართეს საექსპერტო დაწესებულებას, რასაც დაეთანხმა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეც. 2008 წლის 23 სექტემბერს სააპელაციო სასამართლოში აპელანტებმა წარადგინეს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 22 სექტემბრის საინჟინრო-ტექნიკური დასკვნა. ამასთან, განმარტეს, რომ ექსპერტიზის დანიშვნას აღარ ითხოვდნენ, რადგან თავად წარადგინეს ახალი დასკვნა. რაც შეეხებოდა გეოლოგიურ ექსპერტიზას, მისი ჩატარება გადაიფიქრეს ექსპერტთან კონსულტაციის შემდეგ, რადგან დასკვნა სავარაუდო იქნებოდა და არა კატეგორიული.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, 4.06.2007წ. ექსპერტიზის დასკვნა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, თავისთავად გამორიცხავდა დაზიანების სხვა მიზეზს და არ არსებობდა გეოლოგიური ფაქტორებით დაზიანების უარყოფის თაობაზე დასკვნის გაუზიარებლობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ი-ძემ და თ. ჩ-ვამ (წარმომადგენელი დ. მ-შვილი), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება, შემდეგი საფუძვლებით:

ერთადერთი დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხეთა მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების ფაქტი, არის საქმეში არსებული 4.06.2007წ. ექსპერტიზის დასკვნა. მიუხედავად ამისა, სასამართლო თავადაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ექსპერტიზის დასკვნაში დასახელებული მიზეზები არის ზიანის გამომწვევი შესაძლო მიზეზები. ნებისმიერი ვარაუდისათვის მტკიცებულებითი ძალის მინიჭება დაუშვებელია. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება არა მხოლოდ საპროცესო სამართლის ერთ კონკრეტულ ნორმას, არამედ მთლიანობაში საპროცესო სამართალწარმოების პრინციპებს. ამდენად, სრულიად ცალსახაა, რომ სასამართლო ვალდებულია ფაქტობრივი გარემოებები დააფუძნოს მხოლოდ შესაბამის მტკიცებულებებს და არა თუნდაც საექსპერტო დასკვნის ფორმატში გაკეთებულ ვარაუდებსა და მოსაზრებებს.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ზიანის გამომწვევი სხვა მიზეზების, მათ შორის, გეოლოგიური ფაქტორების არარსებობის თაობაზე, არადაამაჯერებელია. სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს 4.06.2007წ. ექსპერტიზის დასკვნიდან, თუმცა მის შემდგენ ექსპერტს არ ჰქონდა უფლება მიეცა დასკვნა გეოლოგიურ საკითხებზე ან პირიქით, გამოერიცხა იგი.

გეოლოგიური ფაქტორების გავლენას ბ. კ-მის ბინის დანესტიანებაზე დასაბუთებულ სახეს ამლევს თავად მოსარჩელის განცხადება იმის შესახებ, რომ წყლის ლაქები ჩნდება ზამთრის ბოლოს და გაზაფხულზე. მითითებული დრო ეთმხვევა თოვლის დნობისა და გრუნტში ნალექის მომატების პერიოდს.

იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე დავობს მისი ბინის პერიოდულად დანესტიანებასა და წყლის ლაქების გაჩენაზე, ზიანის გამომწვევ მიზეზად მოშვებული ონკანის უმეტესადაა დატოვება, ბუნებრივად გამოირიცხება.

ტერასიდან წვიმის წყლის ჩასვლის მიზეზით ზიანის დადგომის გამაქარწყლებლად კასატორები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ 1992-1996 წლებში მოსარჩელის თხოვნით (თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მონაწილეობით) ლ. ი-ძის კუთვნილი ბინა ორჯერ გადაიხურა საიზოლაციო მასალით და ფისით. უფრო მეტიც, ბ. კ-ძის მოთხოვნით სახლის ბანი ჯერ გადაიხურა რკინის სახურავით, ხოლო შემდეგ ეს გადახურვა შეიცვალა მასიური მეტალით დამზადებული სახურავით. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეთა ბინაში ნესტის წარმოქმნა არ შეწყვეტილა. მოსარჩელემ თავადაც დაადასტურა, რომ მის ბინაში წყლის ჩადინება არ უკავშირდებოდა ატმოსფერულ ნალექებს.

რაც შეეხება დაზიანებული წყალგაყვანილობის ფაქტს, კასატორის მითითებით, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს ლ. ი-ძის ბინაში წყალგაყვანილობის კონკრეტული დაზიანების შესახებ. სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებამდე, ასევე მის შემდგომაც, მოპასუხის ბინა არაერთხელ შემოწმდა: სამჯერ იქნა ჩამოტეხილი აბაზანის კაფელი და იატაკი, გადაითხარა ტერასის გადახურვაც (თითქოსდა ფარული მილის მოსაძიებლად), გაშიშვლდა და თვალსაჩინო გახდა წყლის ყველა მილი, ორივე სართულის წყლის გაყვანილობა გატანილ იქნა წინა აივანზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათზე ვიზუალური დაკვირვება, წყლის მილებზე დამონტაჟდა სპეციალური ჩამკეტები, რაც გამორიცხავს ბინაში წყლის მიწოდებას მოპასუხეთა საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში (ისინი თბილისში მხოლოდ ზაფხულში იმყოფებიან). საგულისხმოა, რომ მთელ ამ სამუშაოებს აკვირდებოდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა მოსარჩელე, თუმცა ბინაში რაიმე დაზიანება არ აღმოჩენილა.

საქმის განხილველ სასამართლოს კონკრეტულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით უნდა მიეთითებინა, როდის ჰქონდა ადგილი მოსარჩელის ბინაში წყლის ჩაშვების ფაქტს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენა შესაძლებელს გახდიდა ხანდაზმულობის საკითხის განსაზღვრას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ი-ძისა და თ. ჩ-ვას (წარმომადგენელი დ. მ-შვილი) საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი განჩინების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ლ. ი-ძისა და თ. ჩ-ვას (წარმომადგენელი დ. მ-შვილი) საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე დ. მ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (418 ლარი) 70% -292.6 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ი-ძისა და თ. ჩ-ვას (წარმომადგენელი დ. მ-შვილი) საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. ლ. ი-ძესა და თ. ჩ-ვას დაუბრუნდეთ დ. მ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (418 ლარი) 70% -292.6 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - #300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი ლ. ი-ძის საკასაციო საჩივარზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-351-670-09

8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** ხელშეკრულების დადების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 20 მაისს გორის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. ფ-ურმა შპს „გორტრანსავტოს“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მასთან ხელშეკრულების დადების დავალება 14 სამუშაო დღეზე, რომელიც გაფორმებული იყო 2005 წლის დეკემბრის ბოლომდე. მოსარჩელის მითითებით, 2002 წლის მარტში მისი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ... გამზირი #41, მისმა ძმამ ბ. ფ-ურმა გაყიდა 4000 აშშ დოლარად, ამ თანხით იყიდა ავტობუსი და გააფორმა ხელშეკრულება შპს „მესაჭის“ დირექტორ ე. ბ-შვილთან. ეს თანხა ბ. ფ-ურს მოსარჩელისათვის უნდა დაებრუნებინა ნაწილ-ნაწილ, თუმცა მხოლოდ ნაწილი დააბრუნა და 3000 აშშ დოლარი კვლავ გადასახდელი აქვს.

2005 წლის 24 მარტს ყადაღა დაედო და დაილუქა ბ. ფ-ურის სახელზე გაფორმებული ავტობუსი, შესაბამისად, ხელშეკრულება 14 სამუშაო დღეზე, რომელიც 2005 წლის დეკემბრის ბოლომდე იყო დადებული, შეწყდა. ავტობუსი აუქციონზე არ გაიყიდა, ხოლო წლების განმავლობაში ბ. ფ-ურმა გაპარცვა იგი და 3000 დოლარად შეფასებული გადმოცემის დროს 800 დოლარად შეფასდა.

მოსარჩელემ, იმ საფუძველით, რომ მოპასუხე წარმოადგენს შპს „მესაჭის“ უფლებამონაცვლეს, რამდენჯერმე მიმართა შპს „გორტრანსავტოს“, თუმცა ხელშეკრულების დადება 14 დღეზე ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ მან წარადგინა მძღოლად მუშაობის 4 მსურველი პირი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ შპს „გორტრანსავტოს“ დაფუძნდა 2006 წლის 7 თებერვალს სახელმწიფოს 100%-იანი წილით ისე, რომ იგი არ წარმოადგენდა შპს „მესაჭის“ უფლებამონაცვლეს, ვინაიდან აღნიშნული პერიოდისათვის შპს „მესაჭე“ განაგრძობდა დამოუკიდებლად არსებობას. შესაბამისად, მოპასუხე მიუთითებდა, რომ მას არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა შპს „მესაჭის“ ვალდებულებებზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ფ-ურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით გორის რაიონის გამგეობის სარჩელი დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების გორის სამმართველოსა და შპს „მესაჭეს“ შორის 2002 წლის 18 ივლისს შპს „მესაჭეს“ (ყოფილი გორის #1 სამგზავრო ასს) ქო-

ნებასა და 10312 კვ.მ მიწის ფართზე დადებული საიჯარო ხელშეკრულება. ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 8 ოქტომბრის #ი\334 საკუთრების დამატებითი მოწმობა, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების გორის სამმართველოს დაეკისრა შპს „მესაჭისათვის“ საპრივატიზებო ობიექტის ღირებულების 36 636 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

გორის რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 10 თებერვლის განჩინებით, რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით, რის შემდეგაც ქ. გორში, ... ქ.#81-ში არსებული უძრავი ქონება, მათ შორის, არასასოფლო დანიშნულების მიწის ფართობი, რომელიც შეადგენს 10312 კვ.მ, რეგისტრირებული იქნა სახელმწიფოს საკუთრებად.

გორის რაიონული გამგეობის დადგენილებით ქ. გორში, ... ქ. #81-ში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში აღების შესახებ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გორის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს დაევალა, განესაზღვრა სახელმწიფო საკუთრებაში გადასული, გორში, ... ქუჩა #81-ში მდებარე უძრავი ქონების, მათ შორის, 10312 კვ.მ მიწის ნაკვეთის ღირებულება და აღნიშნულ ქონებაზე დაეფუძნებინა 100% სახელმწიფო წილის მფლობელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, დაფუძნდა შპს „გორტრანსავტო“ 100%-იანი სახელმწიფო წილით.

2006 წლის 27 სექტემბერს გაცემული სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით დგინდებოდა, რომ შპს „გორტრანსავტო“ რეგისტრაცია გაიარა გორის საგადასახადო ინსპექციაში 2006 წლის 7 თებერვალს. 2007 წლის 26 იანვარს გაცემული სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით დგინდებოდა, რომ შპს „მესაჭემ“ რეგისტრაცია გაიარა გორის რაიონულ სასამართლოში 2000 წლის 7 ივლისს და რეესტრის ამონაწერის გაცემის თარიღისათვის იგი აგრძელებდა ფუნქციონირებას.

მოსარჩელის ახსნა-განმარტებით დგინდებოდა, რომ ხელშეკრულება გაფორმებული იყო ბ. ფურსა და შპს „მესაჭეს“ შორის.

ქ. ფ-ური შპს „გორტრანსავტოსათვის“ ხელშეკრულების დადების დავალებას ითხოვდა იმ საფუძველით, რომ შპს „გორტრანსავტო“ წარმოადგენდა შპს „მესაჭეს“ უფლებამონაცვლეს.

გორის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „გორტრანსავტო“ არის შპს „მესაჭეს“ უფლებამონაცვლე, იქიდან გამომდინარე, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების გორის სამმართველოსა და შპს „მესაჭეს“ შორის 2002 წლის 18 ივლისს შპს „მესაჭის“ (ყოფილი გორის #1 სამგზავრო ასს) ქონებისა და 10312 კვ.მ მიწის ფართზე დადებული საიჯარო ხელშეკრულებისა და 2003 წლის 8 ოქტომბრის #ი\334 საკუთრების დამატებითი მოწმობის ბათილად ცნობის საფუძველზე, აღდგა პირვანდელი მდგომარეობა და აღნიშნული ქონება აღირიცხა სახელმწიფოს საკუთრებად. სწორედ ამ ქონებაზე მოხდა შპს „გორტრანსავტოს“ დაფუძნება სახელმწიფოს 100%-იანი წილით. ამასთანავე, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების შემდგომ შპს „მესაჭე“ აგრძელებდა ფუნქციონირებას და მისი საქმიანობის სახედ კვლავ რჩებოდა სატრანსპორტო მომსახურება, მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა.

საქმის განხილვის დროს სასამართლოს მიერ შეთავაზებულ იქნა არასათანადო მოპასუხის, შპს „გორტრანსავტოს“, სათანადო მოპასუხით, შპს „მესაჭით“ შეცვლა, რაზეც მოსარჩელემ უარი განაცხადა.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მითითებული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ფ-ურის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა მოსარჩელე ქ. ფ-ურმა და მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ამ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ფ-ურის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვევების გარეშე, ამასთან, არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად დასაბუთება შეცვალა მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. მოსარჩელე ქ. ფ-ური თავის მოთხოვნას აფუძნებდა იმ ფაქტზე, რომ შპს „გორტრანსავტო“ წარმოადგენდა შპს „მესაჭის“ უფლებამონაცვლეს, თუმცა მან ვერ შეძლო ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გორის რაიონულმა სასამართლომ სწორად შესთავაზა მოსარჩელეს არასათანადო მოპასუხის, შპს „გორტრანსავტოს“, შეცვლა სათანადო მოპასუხით, შპს „მესაჭით“, რაზეც მან უარი განაცხადა. შესაბამისად, გორის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის სწორი გამოყენებით საქმეზე მიიღო დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელე ქ. ფ-ურმა და მოითხოვა აღნიშნული განჩინების მთლიანად გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოტივით, რომ იგი კანონდარღვევით იქნა მიღებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ფ-ურის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძველით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ქ. ფ-ურის საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 18 მაისის განჩინებით კასატორს -ქ. ფ-ურს გადავადებული ჰქონდა საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოცემულ საკასაციო წარმოებაზე. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე მას უნდა დაეკისროს გადავადებული ბაჟის (300 ლარის) 30%-ის -90 ლარის გადახდა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ქ. ფ-ურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 მარტის განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. ქ. ფ-ურს დაეკისროს გადავადებული სახელმწიფო ბაჟის 30%-ის -90 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-314-635-09

8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 13 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს ნ. თ-ევმა, მ. ტ-შვილმა, ს. ა-მემ და სხვებმა მოპასუხეების - მ. ქ-ვასა და ა. მ-ძის წინააღმდეგ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეთა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომლის ოდენობაც კუთვნილი აქციების ღირებულების შესაბამისად, თითოეულის მათგანის მიმართ განსხვავებულად განსაზღვრეს.

სარჩელის საფუძველები მდგომარეობდა შემდეგში:

2006 წლის 23 ოქტომბერს სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" აქციონერთა განცხადების საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით, სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" დირექტორ ა. მ-ძის მიერ საზოგადოების ქონების მითვისების ფაქტზე. მოგვიანებით, დასახელებულ საქმეზე სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ შედგა აქტი, რომლითაც საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 220-ე მუხლით. ამასთან, აქტიდან გამოირკვა, რომ 2006 წლის 7 მარტს სანოტარო წესით დამოწმდა სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც საზოგადოების დირექტორმა ა. მ-მემ საზოგადოების ქონება 500 000 აშშ დოლარად მიჰყიდა ფიზიკურ პირს -შ. ბ-ძეს. გაყიდვის საფუძველი გახდა სააქციო საზოგადოების 2007 წლის 6 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (თავმჯდომარე თ. ქ-ვა). 2006 წლის 18 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველმა იგივე ქონება მიჰყიდა სს "ბტა სილქროუდ ბანკს".

მოპასუხეთა მიერ ზემომითითებული ოპერაციების ჩატარება განხორციელდა იმ მიზნით, რომ მომხდარიყო გადასახადებისაგან თავის არიდება და აქციონერთა კუთვნილი დივიდენდების მითვისება. აღნიშნული პერიოდისათვის აქციონერთა რიცხვი 115-ს შეადგენდა.

სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, დადგენილია მ. ქ-ვასა და ა. მ-ძის დანაშაულებრივი ქმედება. ასევე დადგენილია, რომ მათი ქმედების შედეგად მოსარჩელებს მიაღვათ ზიანი.

საქალაქო სასამართლოში საქმის მიმდინარეობისას, მოსარჩელების ნაწილმა უარი თქვა სარჩელზე, რის გამოც მათ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა. საბოლოოდ, განსახილველ საქმეზე მოსარჩელებად დარჩნენ: მ. ტ-შვილი, ნ. კ-ძე, ე. ჩ-შვილი, ლ. კ-ძე, მ. ბ-ძე და დ. გ-ელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ტ-შვილისა და სხვათა (სულ 6 ფიზიკური პირის) სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრათ თანხის გადახდა შემდეგი ოდენობით: მ. ტ-შვილის სასარგებლოდ -13 745.6 ლარი; ნ. კ-ძის სასარგებლოდ -9 996.8 ლარი; ე. ჩ-შვილის სასარგებლოდ -11 246.4 ლარი; ლ. კ-ძის სასარგებლოდ -12 496 ლარი; მ. ბ-ძის სასარგებლოდ -12 496 ლარი; დ. გ-ელის სასარგებლოდ -12 496 ლარი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" დირექტორ ა. მ-ძისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ქ-ვას მიერ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ამავე საზოგადოების აქციონერებისათვის დივიდენდების სახით მისაღები თანხების მითვისების შედეგად მიუღებელი თანხის -ზიანის ანაზღაურება. მოპასუხეთა დანაშაულებრივი ქმედება და საქმის კონკრეტული გარემოებები დადგენილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომლითაც განსასჯელებთან -ა. მ-ძესა და მ. ქ-ვასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული განაჩენი უნდა მიჩნეულიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით გათვალისწინებულ "სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ, კანონიერ ძალაში შესულ საბოლოო შემაჯამებელ გადაწყვეტილებად", რომლითაც დადგენილი ფაქტები წარმოადგენდა პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონეს და დამატებით მტკიცებას აღარ საჭიროებდა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მოპასუხეებისათვის მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი თანხების დაკისრების ყველა სამართლებრივი წინაპირობა: იკვეთებოდა მოპასუხეთა დანაშაულებრივი (ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო) ქმედება, კერძოდ, მათ მიითვისეს საზოგადოების კუთვნილი თანხა, რამაც გამოიწვია აქციონერების მიერ მათი აქციების შესაბამისი დივიდენდების მიუღებლობა, ანუ რომ არა მოპასუხეთა დანაშაულებრივი ქმედება, მოსარჩელები საზოგადოების წლიური შედეგების დამტკიცების შემდეგ კუთვნილ დივიდენდს მიიღებდნენ.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნები დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ქ-ვამ და ა. მ-ძემ (წარმომადგენელი დ. კვალიაშვილი), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის სხდომაზე გამოიკვია, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელე) მ. ბ-ძის სახელი პირადობის მოწმობის მიხედვით არის "მაია".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-ვასა და ა. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. ტ-შვილის, ნ. კ-ძის, ე. ჩ-შვილის, ლ. კ-ძის, მ. ბ-ძის, დ. გ-ელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 თებერვლის განაჩენზე, რომლითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თბილისის ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორსა და განსასჯელებს -მ. ქ-ვასა და ა. მ-ძეს შორის დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. განაჩენში აღნიშნულ, გამოძიებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოებებს წარმოადგენდა შემდეგი:

მ. ქ-ვამ (სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ა. მ-ძემ (სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" დირექტორი) და გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა წინასწარი შეთანხმებით განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" აქციონერთა 81% აქციების შესაბამისი ქონების (ფულადი სახსრების) დაუფლება. ამ მიზნით ისინი დაუკავშირდნენ თ. ქ-ვას, შეუთანხმდნენ მოეწ-

ვიათ აუდიტი, რომელიც თბილისში, ... მოედანის #2-ში მდებარე საზოგადოების კუთვნილ ქონებას შეაფასებდა დაბალ ფასში, რის საფუძველზეც ქონებას გაასხვისებდნენ შუალედურ რგოლზე, ფიზიკურ პირზე, რომელსაც შემდგომ აღნიშნულ ქონებას გაასხვისებინებდნენ რეალურ ფასში;

დანაშაულებრივი განზრახვის აღსრულების მიზნით, მ. ქ-ვასთან და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა ა. მ-ძემ 2006 წლის 7 მარტს არარეალურ ფასად -500 000 აშშ დოლარად ფიქტიურად გააფორმა ხელშეკრულება ფიზიკურ პირ შ. ბ-ძესთან სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე თბილისში, საარბრიუკენის მოედნის #2-ში, ნასყიდობის შესახებ;

2006 წლის 18 აპრილს შ. ბ-ძემ, წინასწარი ანაზღაურების პირობით, იგივე უძრავი ქონება ნასყიდობის ხელშეკრულებით 2 742 750 ლარად მიჰყიდა სს "ბტა სილქროუდ ბანკს", ხოლო ფასთა სხვაობა, რომელიც რეალურად უნდა მიეღო სააქციო საზოგადოებას შემოსავლის სახით დღგ-ს გარეშე, შ. ბ-ძისა და სხვა გამოძიებით დაუდგენელი პირების დახმარებით თაღლითურად მითთვისეს მ. ქ-ვამ, ა. მ-ძემ და სხვა გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა;

შესაბამისად, მ. ქ-ვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ა. მ-ძესთან და სხვა გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" აქციათა 81% აქციების შესაბამის 1 255 871 ლარის ქონებას ოდენობით თანხას დღგ-ს გარეშე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

ა. მ-ძემ ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გამოიყენა ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის მიღების მიზნით და მ. ქ-ვასთან და სხვა გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" აქციათა 81% აქციების შესაბამის, 1 255 871 ლარის ქონებას დღგ-ს გარეშე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

მ. ქ-ვა და ა. მ-ძე დაეუფლნენ რა სხვის ფულად სახსრებს, რომელიც რეალურად უნდა მიეღო სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" შემოსავლის სახით და შესაბამისად უნდა მომხდარიყო ანგარიშსწორება საგადასახადო ორგანოებთან, საგადასახადო ინსპექციაში წარადგინეს მარტის დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაცია, სადაც ყალბი მონაცემების შეტანით დასაბუღარი ბრუნვა შეამცირეს 1 550 458 ლარით, რა დროსაც შესაბამისად საზოგადოება უნდა დაბეგრულიყო 279 052 ლარით მეტი თანხით.

განაჩენით მ. ქ-ვა ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "გ" და "დ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით; ა. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით, 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლი შეეხებოდა სწორედ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩადენილ დანაშაულს და არა მისი ცალკეული პარტნიორების (აქციონერების) წინააღმდეგ ქმედებას. ამასთან, თავად განაჩენში მითითებული იყო "მეწარმეთა შესახებ" კანონის 56-ე მუხლი და აღნიშნული იყო დირექტორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლზე, რომლის თანახმად მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს. აღნიშნული მუხლის "გ" ქვეპუნქტით ასეთს განეკუთვნება ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება. კანონის აღნიშნული ნორმა სააპელაციო სასამართლომ იმგვარად განმარტა, რომ პრეიუდიციულ მნიშვნელობას კანონმდებელი ანიჭებდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ შემაჯამებელ აქტს და არა ცალკეულ საპროცესო მოქმედებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივად ეყრდნობოდა 25.11.2006წ. აქტს, რომელიც შედგენილი იყო 2006 წლის 24 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად ჩატარებული რევიზიის აქტის საფუძველზე და არა განაჩენს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის დარღვევას წარმოადგენდა. სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული დოკუმენტით დადგენილ ფაქტებს დამოუკიდებლად პრეიუდიციული მნიშვნელობა ვერ მიენიჭებოდა. რაც შეეხებოდა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტს იმის შესახებ,



რომ ამ რევიზიის აქტზე მითითებას შეიცავდა 2007 წლის 6 თებერვლის განაჩენი, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განაჩენი უთითებდა არა მხოლოდ ამ, არამედ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებზეც. ამასთან, განაჩენში საუბარი იყო არა უშუალოდ აქციონერებისათვის ზიანის მიყენებაზე, არამედ იმ ფულადი სახსრების დაუფლებაზე, რომელიც რეალურად უნდა მიეღო სს "მოდების რესპუბლიკურ ცენტრს" შემოსავლის სახით. ამდენად, უშუალოდ განაჩენით არ იყო დადგენილი ფაქტი აქციონერებისათვის დივიდენდის სახით მისაღები თანხების მოპასუხეების მიერ მითვისების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სააქციო საზოგადოება და მისი აქციონერი განსხვავებულ სუბიექტებს წარმოადგენდნენ და არც აქციონერის ქონება იყო სააქციო საზოგადოების ქონების იდენტური ცნება. აქციონერების მიერ შესატანების განხორციელების შემდეგ საზოგადოება ხდება ამ შესატანების მესაკუთრე. სააქციო საზოგადოების ქონებას შეადგენს როგორც მისი საწესდებო კაპიტალი, ისე საზოგადოების საკუთრებაში არსებული ყველა ობიექტის ერთობლიობა.

აქციონერების მიერ დივიდენდების მიუღებლობის საკითხთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააქციო საზოგადოების მიერ მოგების მიღება თავისთავად არ ნიშნავდა მის განაწილებას აქციონერებზე დივიდენდის სახით. მოგების განაწილების საკითხი სააქციო საზოგადოებაში "მეწარმეთა შესახებ" კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის "დ" ქვეპუნქტით საბოლოოდ საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნებოდა. სწორედ კრება იყო უფლებამოსილი მიეღო ან უარყო სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ. იმ თანხაზე, რომლის დაკისრებასაც ითხოვდნენ მოსარჩელები სარჩელით, არ არსებობდა სს "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება დივიდენდის სახით განაწილების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ტ-შვილმა, ნ. კ-ძემ, ე. ჩ-შვილმა, ლ. კ-ძემ, მ. (მ.) ბ-ძემ, დ. გ-ელმა (წარმომადგენლები ა. ბ-ძე, ი. ყ-შვილი), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორები იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტია ის გარემოება, რომ მოხდა უფლებამოსილების გამოყენება "ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ", მაგრამ მათი აზრით, სააპელაციო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ მოპასუხეებს მსჯავრი დაედო არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების რამდენიმე ქვეპუნქტითაც. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედება -თადლითობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ორგანიზაციის, ისე -ფიზიკური პირის მიმართაც.

კასატორთა მითითებით, სასამართლომ სრულიად უგულებელყო ის ფაქტი, რომ ისინი დაზარალებულებად იქნენ მიჩნეულნი სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც საბოლოოდ მოპასუხეთა მსჯავრდებით დასრულდა. მოსარჩელების, როგორც დაზარალებულის სტატუსი თავისთავად ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ მათ ზიანი მიადგათ.

კასატორები ასევე აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ ერთ-ერთ მტკიცებულებას -2005 წლის 25 ნოემბრის რევიზიის აქტს, რომელიც მიუთითებს იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა აქციონერებზე გასაცემი თანხების (წლიური შედეგიდან გამომდინარე) ფიზიკურ პირზე გადაქაჩვის ფაქტი. რევიზიის აქტს თან ერთვის ცხრილი, რომელშიც სხვა აქციონერებთან ერთად მითითებულია კასატორების გვარები და მათ მიერ მისაღები, მაგრამ მოპასუხეების დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიუღებელი თანხები. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მოსარჩელების მითითება იმის შესახებ, რომ განაჩენი, რომლის პრეიუდიციული მნიშვნელობა სასამართლომ თავად დაადასტურა, სხვა მტკიცებულებებთან ერთად ეყრდნობა სწორედ დასახელებულ რევიზიის აქტს. საგულისხმოა, რომ კანონით პრეიუდიციული მნიშვნელობა არც რევიზიის აქტს ენიჭება და არც ცალკეულ საპროცესო აქტებს. ასეთი მნიშვნელობა ენიჭება თავად ფაქტებს, რომლებიც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით. მოცემულ შემთხვევაში პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება აქციონერების კუთვნილი თანხების მოპასუხეების მიერ მითვისებისა და მის შედეგად აქციონერებისათვის მიყენებული ზიანის ფაქტებს, რამდენადაც აღნიშნული დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით.

ამდენად, კასატორები მიიჩნევენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ტ-შვილის, ნ. კ-ძის, ე. ჩ-შვილის, ლ. კ-ძის, მ. (მ.) ბ-ძის, დ. გ-ელის (წარმომადგენლები ა. ბ-ძე, ი. ყ-შვილი) საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. მ. ტ-შვილის, ნ. კ-ძის, ე. ჩ-შვილის, ლ. კ-ძის, მ. (მ.) ბ-ძის, დ. გ-ელის (წარმომადგენლები ა. ბ-ძე, ი. ყ-შვილი) საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე მიიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-118-450-09

11 ივნისი 2009 წ, ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** მეუღლეთა თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა

**აღწერილობითი ნაწილი:**

დ. ლ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ქ. საჩხერეში, ... ჩიხის 6 #9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გაყოფა ორ ტოლ ნაწილად,

ასევე, ქ. თბილისში ... ქუჩის #147-ში მდებარე ბინის თანამესაკუთრედ ცნობა და სამგზავრო ავტობუსიდან ყოველთვიურად შემოსავლის ნახევარის გადაცემა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, დ. ლ-ძე ცნობილ იქნა ქ. თბილისში, ... ქუჩის #147ა, #48-ში მდებარე ბინის თანამესაკუთრედ. ამასთან, გაუქმდა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 28 აპრილის განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, ხოლო სხვა ნაწილში სარჩელს ეთქვა უარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. ლ-ძემ და მოითხოვა მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დ. ლ-ძე 1984 წლიდან ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა გ. თ-ძესთან, ხოლო 1995 წლიდან კი იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი. ცოლ-ქმარს შორის იყო მუდმივი კონფლიქტი და ოჯახური უსიამოვნება, რის გამოც 2003 წელს ერთმანეთს დაშორდნენ და ამჟამად ისინი არიან განქორწინებულები.

გ. თ-ძემ დ. ლ-ძეს წილის სახით მისცა 6000 აშშ დოლარი და 5815 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების ნივთები.

დ. ლ-ძე და გ. თ-ძე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1995 წლიდან 2003 წლამდე.

საჩხერის ტექსტილური ბიუროს მიერ 2004 წლის 10 მაისს გაცემული ცნობიდან ირკვევა, რომ ბინა, მდებარე ქ. საჩხერეში, ... ჩიხი #6-ში, რომლის საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 100 კვ.მ-ს, ხოლო დამხმარე კი 35 კვ.მ-ს, 1991 წლის 3 აპრილიდან ირიცხება გ. ზ. ძე თ-ძის სახელზე.

პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ქონება გ. თ-ძის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს და ქორწინების ფაქტი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში იმ ქონების ჩართვას, რომელიც თითოეულ მათგანს დაქორწინებამდე ეკუთვნოდა. ამდენად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტი დ. ლ-ძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული ქონება იყო მეუღლეთა თანასაკუთრება და რომ მას უფლება გააჩნდა მიეღო წილი თანასაკუთრებით შეძენილი ქონებიდან, რადგან ზემოაღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება აპელანტის მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა.

პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოთხოვნა სამგზავრო ავტობუსის, ყოველთვიური შემოსავლის ნახევრის გადაცემის თაობაზე, რადგან საქმეში არსებული ავტომანქანის ტექნიკური პასპორტით დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული ავტომანქანა გ. თ-ძის სახელზე რეგისტრირებულია 2006 წლის 10 მაისიდან, ანუ იმ დროიდან როდესაც მეუღლეებს -დ. ლ-ძესა და გ. თ-ძეს შორის ქორწინება უკვე შეწყვეტილი იყო.

პალატამ განმარტა შემდეგი: თუნდაც სადავო ავტობუსი შეძენილი ყოფილიყო მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, მაშინაც კი აპელანტი დ. ლ-ძეს უფლება ჰქონდა სადავო ქონებიდან მოეთხოვა მხოლოდ წილი და არა ქონების ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავალი.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. ლ-ძემ.

კასატორის განმარტებით, სადავო სახლი მართალია რეგისტრირებულია გ. თ-ძის სახელზე 1991 წლიდან, მაგრამ, კასატორის აზრით, ეს არ უნდა გამხდარიყო მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან 1995 წლიდან 2003 წლამდე უკვე რეგისტრირებულ ქორწინებაში მოპასუხესთან და მთელი ამ პერიოდში მოხდა სახლის აშენება და კაპიტალური გარემონტება. კასატორის განმარტებით, სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ უთხრა უარი გ. თ-ძის სახელზე რეგისტრირებულ სამგზავრო ავტობუსის ყოველთვიური შემოსავლის ნახევრის გადმოცემის თაობაზე, მის მიერ სასამართლოში წარმოდგენილ იქნა საჩხერის შს განყოფილების უფროსის 15.12.2003 წლის #32\1556 ცნობა, რითაც დასტურდება, რომ აღნიშნული ავტობუსი ირიცხება გ. თ-ძის სახელზე 2003 წლიდან და მის მიერ გაცემული მინდობილობით მართავენ ზ. ჩ-ძე და ნ. ლ-ძე. კასატორის განმარტებით, ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ ავტობუსი წარმოადგენს თანასაკუთრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას დ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი, რის გამოც კასატორს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -300 ლარის 70% -210 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401 მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

დ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად; კასატორს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -210 ლარი. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-209-535-09

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ა-მემ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ მიმართ სამოსახლო მიწის ნაკვეთის, მასში არსებული ქონების საკომპენსაციო თანხისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ რუსთავსა და თბილისს შორის (ქალაქ რუსთავის შემოსასვლელში) მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრის მონაცემებით საკუთრების უფლებით აღრიცხულია მის სახელზე. მან მიწის ნაკვეთზე ჩაატარა სხვადასხვა სახის სამუშაოები, რისთვისაც გასწია მნიშვნელოვანი ხარჯი, კერძოდ, შეიყვანა ნაკვეთამდე მისასვლელი სამანქანო გზა, დარგო მრავალწლიანი ნარგავები (კაკალი, ვაშლი, მსხალი და სხვა); ყოველწლიურად ამუშავებდა ნაკვეთს და მოჰყავდა მოსავალი, ამის გარდა, დაამზადებინა ორსართულიანი სახლის პროექტი თავისი ხარჯთაღრიცხვით. მოსარჩელის განცხადებით, იგი აპირებდა სახლის სამშენებლო სამუშაოების დაწყებას, მაგრამ ამ დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიწის ნაკვეთს კვეთდა მილსადენი, რის შესახებაც შეტყობინება „ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ“ გაუგზავნა, კომპანიის მიერ ასევე გაუგზავნა შეთავაზება ქონებრივი დანაკარგის საკომპენსაციო თანხის თაობაზე, რასაც მოსარჩელე არ დაეთანხმა იმ მოსაზრებით, რომ მიწის ნაკვეთისა და მასში არსებული ქონების შეფასება არარეალური იყო. მოსარჩელემ ასევე განმარტა, რომ უშედეგო აღმოჩნდა მას და კომპანიას შორის მოლაპარაკებების შემდგომი ეტაპები. მოსარჩელე მხარე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 21 მარტის ადგილობრივი დათვალიერების ოქმზე, სოფლის მეურნეობის აკადემიის სპეციალისტ-ექსპერტთა 2004 წლის 31 მარტისა და კომპანიის სპეციალური კომისიის 2004 წლის 23 აპრილის დასკვნებზე მითითებით, აღნიშნავდა, რომ ნაკვეთში 27 ძირი (ექვსი, რვა და ათწლიანი) კაკლის ხის არსებობა დადასტურებული იყო. მხარის განცხადებით, მან მრავალჯერ მისწერა კომპანიას და აცნობა პირობების მიუღებლობის შემთხვევაში ნაკვეთის დათმობაზე უარის თქმის შესახებ. 2004 წლის 14 მაისს, ოფიციალურად მოპასუხემ მოსარჩელეს შესთავაზა მიწის ნაკვეთის საკომპენსაციო თანხა -5.378.21 ლარის, მოსავლის, სხვა ქონების ზარალის ანაზღაურება 9.642.71 ლარის, სულ 15.021 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხემ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ“ მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზის უფლების დადასტურების თაობაზე, სარჩელით მიმართა სასამართლოს და სხვა პირებთან ერთად მოპასუხედ დაასახელა გ. ა-მეც. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2004 წლის 21 აპრილის განჩინებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ განცხადება აღნიშნული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ, დაკმაყოფილდა. გ. ა-მის განმარტებით, სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, კომპანიამ მის ნაკვეთში შეიყვანა ტრაქტორები და ბულდოზერები, გადათხარა და გაანადგურა ნაკვეთი, რის შედეგად მიაყენა მატერიალური და მორალური ზიანი.

მოსარჩელემ შემდგომში დააზუსტა სარჩელი და საბოლოოდ მოითხოვა, 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოუყენებლობის გამო, ზიანის -7.560 ლარის, 27 ძირი ექვსი, რვა და ათწლიანი მსხმოიარე კაკლის ნარგავების განადგურებით მიყენებული ზიანის -55.200 ლარის, ორსართულიანი სახლის პროექტის ღირებულების - 3.054 ლარის, მიწის ნაკვეთში სამანქანო გზის მოწყობის ხარჯის -2.000 ლარის, მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე გაწეული ხარჯის -500 ლარის, ექსპერტთა მომსახურების ხარჯის -186 ლარისა და იურიდიული მომსახურებისათვის -100 ლარის, ასევე მორალური ზიანის -50 000 ლარის, სულ 118.600 ლარის მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით გ. ა-მის სარჩელი სამოსახლო მიწის ნაკვეთის, მასში არსებული ქონების საკომპენსაციო თანხისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ გ. ა-მის სასარგებლოდ დაეკისრა მიწის ნაკვეთის დაკარგვით მიყენებული ზიანის - 5.378,21 ლარის ანაზღაურება, ასევე, კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის სახით 40.800 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელის მოთხოვნები სახლის საპროექტო ხარჯის, მისასვლელი გზის მოხრეშვაზე გაწეული ხარჯის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფის ხარჯის ანაზღაურებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯის ანაზღაურება 85 ლარის ოდენობით. სასამართლოს გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 1154 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ წარმომადგენლებმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის

მილსადენის კომპანიის” სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა –პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაზე“ სახელმწიფო ბაჟის - 1154 ლარის დაკისრების ნაწილში, დანარჩენ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში; აუცილებელი გზის კომპენსაციის ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება -გ. ა-ძის სარჩელი აუცილებელი გზის კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ გ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 5.378 ლარისა და 21 თეთრის გადახდა; კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება გ. ა-ძის სასარგებლოდ კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისთვის“ 40.800 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. გ. ა-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი გ. ა-ძის სასარგებლოდ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის -85 ლარის დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის“ სამშენებლო დერეფანმა გადაკვეთა გ. ა-ძის საკუთრებაში არსებული ქ.რუსთავის შესასვლელში მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნულის გამო „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ“ მოსარჩელე გ. ა-ძეს რამოდენიმეჯერ მიმართა წერილობითი წინადადებით კომპენსაციის გაცემის თაობაზე. მას შემდეგ, რაც მხარეთა შეთანხმებები საკომპენსაციო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ“ სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, რომლის 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ სარჩელი მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე მოსარჩელის მხრიდან აუცილებელი გზის უფლების არსებობის შესახებ დაკმაყოფილდა და აღიარებულ იქნა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ აუცილებელი გზის უფლება მოპასუხეების (მათ შორის გ. ა-ძის) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. ამავე სასამართლოს 2004 წლის 21 აპრილის განჩინებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიქცეული იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

სააპელაციო პალატამ ასევე დადგინილად ცნო, რომ დავის საგანს არ წარმოადგენს სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებისა და განჩინების საფუძველზე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ გ. ა-ძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გ. ა-ძის ნაკვეთზე არსებული ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის შესახებ. საქმის მასალებში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის მტკიცებულებები; კერძოდ, გ. ა-ძის მიმართვის საფუძველზე გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტირების, დანერგვისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2004 წლის 1 აპრილის #26\25 დასკვნა და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ დაკვეთით შპს „მელქვას“ მიერ შესრულებული 2004 წლის 22-24 აპრილის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის რუსთავის მონაკვეთის გასხვისების ზოლში მოქცეული კერძო მესაკუთრეთა ნაკვეთების (მათ შორის -გ. ა-ძის) საველე დათვალიერება-აღწერის ანგარიში.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელის ნაკვეთზე კაკლის ნერგები არ იყო წლების წინ დარგული, კერძოდ, კაკლის ნარგავების გახარება-ზრდისათვის საჭირო კლიმატისა და ნიადაგობრივი პირობების, ასევე, ნიადაგთან მათი კონტაქტისა და ფესვთა სისტემის მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული ნერგები სავარაუდოდ დაილუპებოდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 40.800 ლარის დაკისრების თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანობა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. ა-მემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი და არ გამოიყენა ამავე კოდექსის 180-ე მუხლი.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატამ მტკიცებულებათა შეფასების დროს დაუსაბუთებლად უპირატესობა მიანიჭა და მთლიანად გაიზიარა შპს "მელქვას" ანგარიში და არა სპეციალური სამეცნიერო ინსტიტუტის კომპეტენტური დასკვნა. ამასთან, ყურადღება არ მიაქცია და სათანადოდ არ გამოიკვლია, რომ შპს "მელქვას" ანგარიში წარმოადგენს 29 მიწის მესაკუთრის ნაკვეთების სავსე დათვლიარება-აღწერის საერთო ანგარიშსა და არა დასკვნას.

კასატორი მიუთითებს, რომ წინაღმდეგობრივია სააპელაციო პალატის მოსაზრებები, ერთი მხრივ, იგი იზიარებს შპს "მელქვის" ანგარიშს, ხოლო, მეორე მხრივ, ყურადღებას არ ამახვილებს ამ ანგარიშზე დართულ მოსარჩელის ქონების აღწერის დოკუმენტს, რომელსაც ხელს აწერენ მოპასუხის უფლებამოსილი წარმომადგენლები, სადაც ორივე მხარე ადასტურებს, რომ პროექტის მიზნებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ჩამონათვალი წარმოადგენს არსებული ქონების ნამდვილ და ზუსტ აღწერას პროექტის მიზნებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 მარტის განჩინებით გ. ა-მის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმობაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 10-დღიანი ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

კასატორის მოწინააღმდეგე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" წარმომადგენლებმა ნ. ღ-მემ და ო. ყ-მემ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე საკასაციო სასამართლოში წარმოადგინეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ა-მის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, რომ დაუშვას გ. ა-ძის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

გ. ა-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად; საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-349-668-09

15 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. შ-შილიმა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. გ-შილის მიმართ და მოითხოვა საცხოვრებელი სახლის სახურავიდან დაზიანებული წყალსაწრეტი მილების აღდგენა და განახლება, სასაზღვრო მიჯნის აღდგენა, მისი სახლის აღმოსავლეთ მხარეს -50 სმ, ხოლო სამხრეთით -1, 80 სმ სიგანის სასაზღვრო მიჯნის აღდგენა, ცხოველთა და ფრინველთა სადგომის მოშლა და საცხოვრებელი სახლის უახლესი ფანჯრიდან 15 მეტრის მოშორებით მისი გადატანა, სამეურნეო ფარდულის სახურავის სახლის კედლიდან ერთი მეტრით დაშორება, საპირფარეშოს მოშლა და სახლის ფანჯრიდან 15 მეტრის მოშორებით გადატანა, ღვარსადენი ღარის ამოვსება და თავისი ეზოს მხარეს გათხრა ან სპეციალური მილების გაკეთება, მოსარჩელის საცხოვრებელ სახლზე მიყრილი შეშის აღება და წყლის დენისაგან დაზიანებული ნაღესი კედლის აღდგენისათვის 500 ლარის გადახდა შემდეგი საფუძვლებით: მხარეები არიან მეზობლები და ცხოვრობენ გურჯაანის რაიონის სოფელ ... მოპასუხემ მოშალა მხარეთა გამყოფი ბოძები და მიჯნის ღობე, საცხოვრებელ სახლს მიაშენა შინაურ ცხოველთა და ფრინველთა სადგომი, სახლის სახურავიდან მოხსნა წყალსაწრეტი მილები. მისი საცხოვრებელი სახლის კედელი გამოიყენა ღობედ, რაზედაც მიყრილი აქვს შეშა და ფიჩხი, სახლის უკანა კედელთან ააშენა სამეურნეო ფარდული, რომლის სახურავსა და სახლის ფანჯარას შორის დაშორება 30 სმ-ია. აღნიშნულით მოსარჩელეს დაუზიანა ფანჯარა. დ. გ-შილიმა სამეურნეო ფარდული, საღორე, საქათმე და საპირფარეშო ააშენა სამშენებლო ნორმებისა და წესების დაუცველად, კერძოდ, სამეურნეო ფარდული საცხოვრებელი სახლის ფანჯრიდან დაშორებული უნდა იყოს 15-17 მეტრით, ფაქტობრივად კი მოპასუხის ეზოში არსებული საპირფარეშო მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის უახლოესი ფანჯრიდან 3-3,5 მეტრითაა დაშორებული, ცხოველთა და ფრინველთა სადგომი მიშენებულია სახლის კედელზე მეორე სართულის ფანჯრის ძირზე. მოპასუხემ დაზიანა წყალსაწრეტი მილები, რის შედეგადაც სახურავიდან წყალი იღვრება გ.შ-შილის სახლის კედელზე, მთელი სახლი დაინესტა და გაფუჭდა კედლის შიდა ნაღესი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს „გეოიდის“ მიერ შედგენილი გ.შ-შილის საცხოვრებელი სახლის ტექპასპორტის იმ ნაწილის ბათილად ცნობა, რომლითაც მისი საკარმიდამო სასაზღვრო მიჯნებია გაყალბებული, ასევე გ. შ-შილისათვის ორი საწვიმარი ძაბრის მოხნისა და წყალსაწრეტი მილების მოწყობის დავალება ისე, რომ თავისი სახლის სახურავიდან ჩამონადენი წყალი სახლის წინა და უკანა კედლების კუთხეებში, მისსავე ადგილში ჩაედინებოდეს შემდეგი დასაბუთებით: გ.შ-შილის სახლის აღმოსავლეთით ღობე აგებულია მხარეთა ნაკვეთების მიჯნაზე და წყალსაწრეტი მილთან ერთად ერთი მესამედით დ.გ-შილის ნაკვეთშია შეჭრილი. გ.შ-შილის 2005 წლის 18 აგვისტოს განცხადების საფუძველზე შედგენილი აქტი ყალბია და მასში არასწორადაა მითითებული, რომ დ.გ-შილს საკარმი-



დამო ნაკვეთი მიტაცებული აქვს. შპს „გეოიდმა“ გადააჭარბა თავის სალიცენზიო უფლებებს, როდესაც საჯარო რეესტრის რეგისტრაციაში გაატარა სადავო მონაცემების შემცველი ახალი ტექნიკური პასპორტი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით გ. შ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დ. გ-შვილს დაეკისრა მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის სახურავიდან წყალსაწრეტი მილების აღდგენა, საპირფარეშოს, ცხოველთა და ფრინველთა სადგომების მოშლა და სახლიდან მოშორებით გადატანა, სამეურნეო ფარდულის მოსარჩელის სახლის ფანჯრიდან სახურავის ერთი მეტრით დაშორება, წყალსადენი ღარის სპეციალური მილით მოწყობა, გ. შ-შვილის სახლის კედელზე მიყრილი შეშა-ფიჩხის აღება, დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, შეგებებული სარჩელი კი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გ. შ-შვილმა, ხოლო ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დ. გ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. შ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სასაზღვრო მიჯნის აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით დ. გ-შვილს დაევალა გ. შ-შვილის სახლის აღმოსავლეთის კედლიდან 50 სმ-ის დაცილებით ამ კედლის გასწვრივ სახლის მთელ სიგრძეზე მყარი სასაზღვრო მიჯნის აღდგენა, დ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: მხარეები ცხოვრობენ გურჯაანის რაიონის სოფელ ... და არიან გვერდიგვერდ მდებარე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები. გ. შ-შვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთში დგას მისი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც აღმოსავლეთის მხარეს ესაზღვრება დ. გ-შვილის მიწის ნაკვეთი. მეზობელი მიწის ნაკვეთები არ არის გაყოფილი სასაზღვრო მიჯნით და აღნიშნულის ფუნქციას ასრულებს გ. შ-შვილის სახლის კედელი. გ. შ-შვილის სახლს აღმოსავლეთით „საწვეთი“ და „შემოსავლელი“ არ აქვს, რაც აუცილებელია სახლის მოვლა-პატრონობისათვის, არამედ აღმოსავლეთით დ. გ-შვილის სახლის მხარეს ჰქონდა სასაზღვრო მიჯნა, რომელიც მოპასუხემ მოშალა. აღნიშნული დასტურდება საქმეში წარმოდგენილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კახეთის რეგიონალური სამმართველოს მთავარი სპეციალისტის დ. ც-შვილის, სასამართლო აღმასრულებელი ე. რ-ძის, სოფელ ... საკრებულოს მიწათმომწყობ ა. აა-შვილისა და გურჯაანის რაიონში საქართველოს არქიმშენისპექტორ შ. მ-ურის მიერ 2005 წლის 18 აგვისტოს შედგენილი აქტით, რომლის თანახმად გ. შ-შვილის სახლის გვერდით დ. გ-შვილის მხარეს მიჯნა წაშლილია, გ. შ-შვილის საცხოვრებელი სახლის კედელი გამოყენებულია დ. გ-შვილის ღობედ, მასზე მიყრილია შეშა, ფიჩხი, მიშენებულია ცხოველთა სადგომი, გ. შ-შვილის სახურავზე არსებული წყალსაწრეტი მილები გადახსნილია და წყალი მიედინება როგორც თვით კედელზე, ისე მის გასწვრივ. დ. გ-შვილს გ. შ-შვილის საცხოვრებელი სახლის უკანა კედელთან აშენებული აქვს სამეურნეო ფარდული, რომლის სახურავსა და გ. შ-შვილის სახლის ფანჯარას შორის 30 სმ-ია. აღნიშნულის გამო ფანჯარა და შიდა ნალესი დაზიანებულია. აქტში ასევე მითითებულია, რომ დ. გ-შვილმა თავისი ეზოს ნაკვეთი გაიფართოვა, რითაც გ. შ-შვილის სახლს მოუსპო მისი ნაკვეთის მხარეს არსებული (ერთ მხარეს -50 სმ, ხოლო მეორე მხარეს -180 სმ სიგანის) „საწვეთი“ და „შემოსავლელი“. შპს „გეოიდის“ 2005 წლის 12 აგვისტოს შედგენილი გ. შ-შვილის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტით და სიტუაციური გეგმით, გ. შ-შვილის სახლის აღმოსავლეთით დ. გ-შვილის ეზოს მხარეს წვეტილი ხაზებით ნაჩვენებია აღსადგენი მიჯნა. გ. შ-შვილის სახლის აღმოსავლეთით დ. გ-შვილის ეზოს მხარეს აღსადგენი სასაზღვრო მიჯნა დაფიქსირებულია ასევე უფრო ადრე შედგენილ სიტუაციურ გეგმაზეც. მოწმეთა -ვ. ს-შვილისა და გ. ა-შვილის განმარტებებით, გ. შ-შვილის სახლის აღმოსავლეთით დ. გ-შვილის ეზოს მხარეს სახლის კედლიდან 50 სმ-ის დაშორებით არსებობდა ღობე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დ. გ-შვილმა სადავო სასაზღვრო მიჯნის მოშლით შელახა გ. შ-შვილის, როგორც მესაკუთრის, ინტერესები, რადგან უდავოა, რომ გ. შ-შვილის სახლს აღმოსავლეთ მხარეს ე. წ შემოსავლელი არ გააჩნია, რის გამოც მესაკუთრე მოკლებულია მეზობელ მიწის ნაკვეთში მოხვედრის გარეშე სახლის მოვლა-პატრონობის შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე დ. გ-შვილს უნდა დაევალოს მოშლილი სასაზღვრო მიჯნის აღდგენა. გ. შ-შვილის მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაუსაბუთებელია. პალატის მითითებით, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ასაბუთებს მის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნით, რომლის მიხედვით ადგილზე დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ წვიმის წყლისაგან სახლის გარკვეული ნაწილია დაზიანებული, პირველ სართულზე კედლებიდან ჩამოყრილია სალესი მასალა, იატაკი ნადენი წყლის შედეგად დაზარალდა, ფანჯრების ჩარჩოები ზედნადები წყლის შედეგად დაზიანებულია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა ადასტურებს მხოლოდ მოსარჩელის ბინის დაზიანების ფაქტს, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ასევე დადგენილია ადგილზე დათვალიერების ოქმითაც, თუმცა პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელის სახლის დაზიანების ფაქტის დადგენა სადავო ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენს, ვინაიდან ზიანის გამომწვევი მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანის გამომწვევი მიზეზი და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის დადგენილი არ არის, ამასთან, აღნიშნული გარემოებების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ცოდნით აღჭურვილი საექსპერტო დაწესებულების მიერ, როგორცაც აუდიტორული ფორმა არ წარმოადგენს. სააპელაციო პალატამ მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში დასაბუთებულია. სასამართლოს 2007 წლის 19 ივნისის ადგილზე დათვალიერების ოქმით სააპელაციო პალატამ დადგენილად ჩათვალა, რომ დ.გ-შვილის ეზოს მხარეს გ.შ-შვილის სახლის პირველი სართულის კედელი არის დანესტიანებული და დაზიანებული, მეორე სართულზე ამავე მხარეს სამზარეულოში ნესტისაგან დაზიანებულია ფანჯარა და კედელი, გ.შ-შვილის სახლის კედელზე დ.გ-შვილის ეზოს მხრიდან მიყრილია ფიჭვი, მიდგმულია ცხოველთა და ფრინველთა სადგომი, მოწყობილია ფარდული, გ.შ-შვილის სახლის სახურავზე არსებული საწვეთი წყალსაწრეტ მილთან შეერთებული არ არის, გ.შ-შვილის სახლის ახლოს, ფანჯრის გასწვრივ მოწყობილია დ.გ-შვილის საპირფარეშო, საქმეში წარმოდგენილი რაიონის მთავარი არქიტექტორის 2006 წლის 28 აგვისტოს ინფორმაციის თანახმად, მოპასუხე დ.გ-შვილის მიწის ნაკვეთიდან მომდინარეობს სხვადასხვა ისეთი სახის ზემოქმედებები, რომლებიც ხელს უშლიან გ.შ-შვილს თავისი მიწის ნაკვეთით სარგებლობაში და მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მხრიდან ნაკვეთის ჩვეულებრივი, ნორმალური სარგებლობით განპირობებული არ არის. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და სამოქალაქო კოდექსის 174-ე-175-ე, ასევე 172-ე მუხლებზე დაყრდნობით კანონიერად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ხელშემშლის აღკვეთის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ.გ-შვილის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი წანამდღვრები არ არსებობს. პალატამ ჩათვალა, რომ შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ გასაჩივრებული საცხოვრებელი სახლის ტექპასპორტი წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოების ამსახველ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლოს მიერ შეფასებული და გამოკვლეულია საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან და საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, შესაბამისად, ტექპასპორტი არ შეიძლება წარმოადგენდეს სარჩელის ანუ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის საგანს. სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მოპასუხის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის სახურავიდან მოსარჩელის მხარეზე არსებული საწვიმარი ძაბრებისა და მილების მოხსნის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნულის აღმოფხვრა შესაძლებელია მოსარჩელის მხარეს მოპასუხის კუთვნილი სახლისათვის ე.წ საწვეთის დადგმით, რაც წარმოადგენდა გ.შ-შვილის სარჩელის საგანს და მოცემული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დ. გ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პრეტენზია ეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ გ. შ-შვილის სახლს მოშლილი აქვს სასაზღვრო მიჯნა დ. გ-შვილის მხარეს, აღნიშნული ფაქტი სასამართლომ დაადგინა 2005 წლის 18 აგვისტოს აქტის, შპს "გეოიდის" მიერ 2005 წლის 12 აგვისტოს შედგენილი ტექნიკური პასპორტის სიტუაციური გეგმის, უფრო ადრე შედგენილი სიტუაციური გეგმისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევიან, თუ რა სახის დოკუმენტს წარმოადგენს 2005 წლის 18 აგვისტოს აქტი, თუ იგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება, მაშინ არარად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან არ ირკვევა მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო. მითითებული აქტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით სასამართლოს არ შეუფასებია. სააპელაციო პალატამ შპს "გეოიდის" მიერ შედგენილი სიტუაციური გეგმა სარწმუნოდ არასწორად ჩათვალა, ვინაიდან აღნიშნული საზოგადოება კერძო სამართლის სუბიექტია და შეადგინა იმ სახის დოკუმენტი, რისი ანაზღაურებაც მიიღო. გაურკვეველია, თუ რომელ ძველ სიტუაციურ გეგმაზე უთითებს სააპელაციო პალატა, ვინაიდან კასატორისათვის ცნობილია მხოლოდ 1989 წლის გ.შ-შვილის სახლის ტექნიკური პასპორტის სიტუაციური გეგმა, რომლის მიხედვით მოსარჩელის სახლის კედელი სასაზღვრო მიჯნას წარმოადგენს. მოწინააღმდეგე მხარის სახლი აშენებულია 40 წლის წინ, კასატორის მხარეს მუდამ სასაზღვრო კედელს წარმოადგენდა და არავითარი საწვეთი და შემოსასვლელი არ ჰქონია. აღნიშნული ფაქტი დადგინდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს

2001 წლის 2 აგვისტოს განჩინებით და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, დამატებით მტკიცებას არ საჭიროებდა. სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა ზემოხსენებული განჩინება, რომლის საფუძველზეც, ამავე კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, საქმის წარმოება უნდა შეეწყვიტა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ კასატორს დაავალა სახლის გაყოლებაზე 50 სმ-ის დაცილებით მყარი სასაზღვრო მიჯნის აგება. სახლის სიგრძე ამ მხარეს წარმოადგენს 19,6 მეტრს, ამდენად, სასამართლომ გ. შ-შვილს მიაკუთვნა დ. გ-შვილის კუთვნილი 9,8 კვ.მ მიწის ნაკვეთი ისე, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი აღნიშნულ ნაკვეთთან დაკავშირებით სადავო არ გამხდარა და, ამასთან, დაავალა ამ ნაწილში სპეციალური მიწებით წყალსადენი ღარის მოწყობა. გაურკვეველია, თუ რა საფუძველით გამოიყენა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 174-175-ე, 172-ე და 181-ე მუხლები. ფაქტობრივად, გ. შ-შვილის სახლი ზიანება სახლის უკანა კედელზე დატანებული ფანჯრის გამო, რაც რეკომენდირებული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განჩინებით დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დ. გ-შვილის წარმომადგენელმა მ. ა-შვილმა წარაადგინა №ა-1124-09 განცხადება, რომელსაც დაურთო მასალები 4 ფურცლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა დ. გ-შვილის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს უკავშირებს გარკვეულ შეზღუდვებს და ადგენს იმ დავათა კატეგორიებს, რომლებზეც შეტანილი საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნული დანაწესები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები მითითებული ნორმით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველით.

მოცემული დავის საგანია სამეზობლო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და ზიანის ანაზღაურების მართლზომიერება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში.

კასატორი ვერ ასაბუთებს და საქმის მასალებითაც არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ისეთი საპროცესო დარღვევით, რაც არსებითად იმოქმედებს საქმის შედეგზე, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ამ საფუძველითაც დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით დაკისრებული 300 ლარიდან კასატორმა გადაიხადა 100 ლარი, დანარჩენი 200 ლარის გადახდა კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 მაისის განჩინებით გადაუვადდა საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ დ. გ-შვილს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2009 წლის 8 მაისს მ. ა-შვილის მიერ გადახდილი 10 ლარი (სულ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობაა 300 ლარი, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა დარჩეს 30% -90 ლარი, ხოლო დარჩენილი 70% -210 ლარი დაუბრუნდეს კასატორს. დ. გ-შვილს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი -100 ლარი, რის გამოც მას უნდა დაუბრუნდეს 10 ლარი).

დ. გ-შვილის წარმომადგენელ მ. ა-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ №ა-1124-09 განცხადებაზე დართული მასალები 4 ფურცლად, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

## და ა დ გ ი ნ ა :

დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.  
დ. გ-შვილს დაუბრუნდეს მ. ა-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -10 ლარი და #ა-1124-09 განცხადებაზე დართული მასალები 4 ფურცლად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-426-740-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 30 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ო. გ-ვამ მოპასუხე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დევნილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს მისიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 508 992 აშშ დოლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ გაეროს დევნილთა კომისარიატის მიერ ცხინვალში შეიქმნა ორგანიზაცია სახელწოდებით -“ერა”, რომელიც მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების მიმართ ახორციელებდა საქველმოქმედო საქმიანობას. აღნიშნულ ორგანიზაციას გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს მისიის მიერ დროებით სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული ავტომანქანა, რომლითაც ორგანიზაციის თანამშრომლები განტვირთვის მიზნით გაემგზავრნენ ქალაქგარეთ. მათთან ერთად იმყოფებოდა მოსარჩელის მეუღლე -ე. ბ-ასი. ავტომანქანას მართავდა მძღოლი ს. ა-ოვი. ეს უკანასკნელი მთიდან დაბრუნებისას იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში, რის გამოც ვერ უზრუნველყო ავტომანქანის სწორად მართვა და ცხინვალთან ახლოს, სოფელ თ.აშენთან, შეეჯახა გაჩერებულ ავტომანქანას. შეჯახების შედეგად მოსარჩელის მეუღლემ მიიღო მძიმე დაზიანებები. გაწეული სამედიცინო მომსახურების მიუხედავად 1999 წლის 4 აგვისტოს ე. ბ-ასი გარდაიცვალა. გარდაცვლილი თბილისიდან გადასვენებულ იქნა ჯერ ცხინვალში, ხოლო შემდეგ დაიკრძალა ვლადიკავკაზში. მოსარჩელის მითითებით, დაკრძალვის ხარჯები მან თავად გაიღო.

ავტოსაგზაო შემთხვევის ზემოაღნიშნულ ფაქტზე 1999 წლის 3 აგვისტოს ცხინვალის რაიონის საგამოძიებო განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მოგვიანებით, ამავე საქმეზე მანქანის მძღოლი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა, ო. გ-ვას დაზარალებულად ცნეს და ბრალდებულის მიმართ ძებნა გამოცხადდა.

2000 წლის 5 ოქტომბერს ცხინვალის სახალხო სასამართლომ ო. გ-ვას სარჩელის საფუძველზე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ბავშვთა ფონდს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ მიყენებული ზიანის შედეგად ზარალის ანაზღაურება, მასვე ო. გ-ვას სასარგებლოდ გადახდა კომპენსაცია. მთლიანობაში დაკისრებული თანხა შეადგენდა 562 460 რუსულ რუბლს, რაც, როგორც მოსარჩელე აღნიშნავდა, იყო 15 700 აშშ დოლარის ეკვივალენტი.

მოსარჩელის მითითებით, გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს მისიის ხელმძღვანელობამ მის მიმართ არასწორი პოზიცია დაიკავა. მოპასუხემ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომობილის აღსადგენად ორგანიზაცია “ერას” 1000 აშშ დოლარი გამოუყო, ხოლო იმ მიზეზით, რომ “ერა” არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს, მოსარჩელის მიმართ დაკისრებული თანხის ასანაზღაურებლად არანაირი ქმედება არ განახორციელა.

2005 წლის 31 იანვარს ცხინვალის საქალაქო სასამართლომ ო. გ-ვას განცხადების საფუძველზე გააუქმა ამავე სასამართლოს 2000 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში განმცხადებელი თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ გადაწყვეტილე-

ბის გამოტანის შემდეგ ბავშვთა ფონდი ლიკვიდირებულ იქნა. ამასთან, რამდენადაც ფონდს არ ჰქონდა ანგარიშსწორების ანგარიში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში და იურიდიულ პირს არ წარმოადგენდა, არ შეეძლო ყოფილიყო მოპასუხე ო. გ-ვას მოთხოვნებზე. დასახელებული გადაწყვეტილების თანახმად, ავტომანქანა ეკუთვნოდა არა ბავშვთა ფონდს, არამედ, გაეროს დევნილთა უმაღლეს კომისარიატს.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საგამომიებო და სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილება-დადგენილებებით დადასტურებული ფაქტები ხელახალ მტკიცებას არ საჭიროებდა და მათ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე პრეიუდიციული მნიშვნელობა უნდა მიანიჭებოდა.

ავტოავარიის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ოდენობად მოსარჩელემ დაასახელა 508 992 აშშ დოლარი, რაც მოიცავდა მოსარჩელის მეუღლის მიერ მისაღებ შემოსავალს, ამ უკანასკნელის მკურნალობისა და დაკრძალვის ხარჯებს, თავად მოსარჩელის მიერ მიღებული ფსიქიკური ტრავმის, მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებელ თანხებს.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ კანონის დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, მის მიმართ მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეული იყო მოპასუხე ორგანიზაციის მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით ო. გ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქმეში მტკიცებულებების სახით წარდგენილი, სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის სასამართლო და საგამომიებო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება-დადგენილებები წარმოადგენდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით გათვალისწინებული პრეიუდიციული ძალის მქონე დოკუმენტებს და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა იურიდიული თვალსაზრისით არ არსებობს. ასეთი სახის სახელმწიფოს არ ცნობს არც საქართველოს შიდა და არც საერთაშორისო სამართალი. ცხინვალის რეგიონი იურიდიულად წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს და შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულებებისა თუ სასამართლო დავის გამოძიება-განხილვა წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს იურიდიული პასუხისმგებლობის სფეროს. საქართველოს მიერ ფაქტობრივად არაკონტროლირებად ტერიტორიაზე სამართლებრივი სახის მოქმედებათა განხორციელება იურიდიულად წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციას და ამდენად, მოსარჩელის მიერ წარდგენილი ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რაიმე სახის საგამომიებო თუ სასამართლო წარმოების ფაქტს, ვერ აღიქმებოდა იურიდიული მნიშვნელობის მქონედ.

საქალაქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ პასუხისმგებლობა ზიანისათვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება ყოფილიყო როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლით ფლობდა სატრანსპორტო საშუალებას. სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლებოდა ფიზიკური პირი, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას ამ საშუალების მფლობელთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე, რაც გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან.

ამდენად, ის გარემოება, რომ ავტომანქანა ფონდ "ერას" მოპასუხისაგან სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული, არ წარმოადგენდა ფონდის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი სარჩელის მოპასუხე იყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ბავშვთა ფონდი "ერა" და არა გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს მისია. აქედან გამომდინარე, სარჩელი აღძრული იყო არასათანადო მოსარჩელის მიმართ და იგი უსაფუძვლობის გამო დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. გ-ვამ (წარმომადგენელი რ. ა-ოვი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით ო. გ-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის სასამართლო და საგამომიებო ორგანოების მიერ მიღ-

ბული გადაწყვეტილება-დადგენილებები არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით გათვალისწინებულ პრეიუდიციული ძალის მქონე დოკუმენტებს. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ, რამდენადაც საქართველოს ხელისუფლების მიერ არ კონტროლდება ცხინვალის რეგიონში მომხდარი დანაშაულები და ამ დანაშაულთა გამოძიება და განხილვა არ ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისად, აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ვერ იქნებოდა მიჩნეული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვება ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებოდა უშუალოდ ავტომანქანის მფლობელს, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა ფონდი "ერა", რაც თავის მხრივ, იძლეოდა საფუძველს დასკვნისათვის, რომ სარჩელი აღძრული იყო არასათანადო მოპასუხის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დროის შესახებ მოწინააღმდეგე მხარეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა, ხოლო მისი გამოუცხადებლობის გამო აპელანტი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას შუამდგომლობდა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, რადგან სარჩელი, როგორც არასათანადო მოპასუხის მიმართ წარდგენილი, სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. გ-ვამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კასატორის ზემოაღნიშნული მოთხოვნის საფუძველები შემდეგში მდგომარეობს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლიდან გამომდინარე, საქმეში არსებული მტკიცებულებები პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონედ უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ისინი დადგენილია სასამართლო და საგამომიებო ორგანოების მიერ შედგენილი გადაწყვეტილება-დადგენილებებით. უდავოდ დადასტურებული ფაქტია, რომ მოსარჩელის მეუღლე გარდაიცვალა მოპასუხე ორგანიზაციის ბრალეულობით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ო. გ-ვა აღმოჩნდა ეკონომიურ სიდუხჭირეში და აღარ გააჩნია შემოსავლის წყარო. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლიდან გამომდინარე, მოპასუხეს გააჩნია მის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

სარჩელში ო. გ-ვას მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირი სწორად დასახელდა. "სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ" მინსკის კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად, იურიდიული პირების სარჩელები წარედგინება იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებს, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება იურიდიული პირის მმართველობის ორგანო, მისი წარმომადგენლობა ან ფილიალი.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები არ საჭიროებს ხელახალ მტკიცებას. აღნიშნულ ნორმიდან არ გამომდინარეობს ის, რომ სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავი ორგანოების ან სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები არ მიიჩნევა მტკიცებულებებად, რადგან მათ არ ცნობს საქართველოს შიდა და საერთაშორისო სამართალი.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საქართველოს მიერ ფაქტობრივად არაკონტროლირებადი ტერიტორიაა, არ ნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება. საქართველოს კონსტიტუცია ცნობს სამხრეთ ოსეთს, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულს, საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს.

მედარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება ეკისრება ფონდ "ერას", როგორც ავტომანქანის მფლობელს. საქმეში არსებული მასალების თანახმად, ავტომანქანა ეკუთვნის მოპასუხეს და მის მიერ შექმნილ ზავშვთა ფონდ "ერას" გადაცემული ჰქონდა დროებით მფლობელობაში. მითითებული ფონდი არ იყო დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რის გამოც დამდგარ ზიანზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მის დამფუძნებელს-გაეროს დეფნილთა უმაღლესი კომისარიატის საქართველოს მისიას.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად განმარტეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მი-

თითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით ჩაჰბარდა სასამართლო გზავნილები და უწყებები, თუმცა მიუხედავად მოსარჩელის (აპელანტის) შუამდგომლობისა, სასამართლოებმა არ გამოიყენეს აღნიშნული ნორმა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. გ-ვას (წარმომადგენელი რ. ა-ოვი) საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი განჩინება მიღებული. მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი საჭიროება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შეესაბამება არსებულ სასამართლო პრაქტიკას მოპასუხის სათანადოობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ო. გ-ვას (წარმომადგენელი რ. ა-ოვი) საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ო. გ-ვას (წარმომადგენელი რ. ა-ოვი) საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

#ას-242-567-09

25 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**დავის საგანი:** ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-არის სარჩელი მოპასუხე კ. გ-მის მიმართ განქორწინებისა და ქონების გაყოფის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ნ. ჯ-არსა და კ. გ-მეს შორის შეწყდა 1974 წლის 31 ოქტომბერს თბილისის ქორწინების სასახლეში რეგისტრირებული ქორწინება. ნ. ჯ-არი ცნობილ იქნა ყაზბეგის რაიონის სოფელ ... მდებარე კ. გ-მისა და მ. ა-მის თანასაკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 660 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის იდეალური 1/3-ის მესაკუთრედ, კ. გ-მის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2400 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის იდეალური 1/2-ის მესაკუთრედ, თბი-

ლისში, ... გამზირის #44-ში მდებარე ბინა #10-ისა და სარდაფის იდეალური 1/3-ის მესაკუთრედ. დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. კ. გ-მის შეგებებული სარჩელი ნ. ჯ-არის მიმართ 2006 წლის 7 დეკემბერს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი დარჩენილი ვალდებულების შესრულებაში მონაწილეობის მიღების დავალდებულების შესახებ დაკმაყოფილდა და ნ. ჯ-არს დაევალა სს "საქართველოს ბანკთან" ი/მ "კ. გ-მის" მიმართ 2006 წლის 7 დეკემბერს დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება 4175 აშშ დოლარის ოდენობით.

სასამართლომ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ჯ-არი და კ. გ-მე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1974 წლის 31 ოქტომბრიდან, ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილი -1976 წლის 29 მარტს დაბადებული კ. გ-მე. კ. გ-მის სახელზე ირიცხება ყაზბეგის რაიონის სოფელ ... მდებარე 660 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 220 კვ.მ შენობა-ნაგებობის 2/3. აღნიშნული უძრავი ქონების 1/3 მან 2007 წლის 4 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 50000 ლარად მიჰყიდა მ. ა-მეს. ყაზბეგის რაიონის სოფელ ... მდებარე 2400 კვ.მ მიწის ნაკვეთი და თბილისში, ... გამზირის #44-ში მდებარე ბინა #10 სარდაფით. ... მდებარე ორივე უძრავი ნივთი შეძენილია ქორწინების განმავლობაში და წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. ხოლო თბილისში მდებარე საცხოვრებელ ბინასა და სარდაფზე კ. გ-მის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს 1992 წლის 8 სექტემბრის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის პირველი თებერვლის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, დამოწმებული პრივატიზაციის ხელშეკრულება. სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ პრივატიზაციის დროს შემოხსენებულ ბინაში ცხოვრობდა ოჯახის სამივე წევრი.

მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები საერთო საოჯახო მეურნეობას აღარ ეწევიან 2007 წლის ოქტომბრიდან. ავტომანქანა "ფორდ მონდეო", რომელიც წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, გასხვისდა მათი ერთად ცხოვრების პერიოდში, 2006 წელს, 3000 ლარად.

2006 წლის 7 დეკემბერს სს "საქართველოს ბანკსა" და ი/მ "კ. გ-მეს" შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება 25000 აშშ დოლარის ოდენობით 28 თვის ვადით. 2008 წლის 30 ივნისამდე მდგომარეობით დარჩენილი გადასახდელი თანხა შეადგენდა 8350 აშშ დოლარს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა თბილისში, ... გამზირის #44-ში მდებარე #10 ბინა.

სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 1168-ე მუხლზე მითითებით ჩათვალა, რომ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო. სასამართლომ თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის შედეგად ნ. ჯ-არი ცნო კ. გ-მის სახელზე რიცხული ყაზბეგის რაიონის სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 660 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 2/3-ის 1/3-დ წილზე მესაკუთრედ და განემარტა, რომ 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მას შეეძლო ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ იქნა დადგენილი ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დაადასტურებდა, რომ კ. გ-მე ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯავდა საერთო ქონებას.

სასამართლომ არ გაიზიარა ნ. ჯ-არის მოთხოვნა მეუღლეთა თანასაკუთრებაში შემავალი ავტომანქანის გასხვისების შედეგად მიღებული თანხის ნახევრის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ვინაიდან სასამართლომ დაადგინა, რომ ავტომანქანის გასხვისების დროისათვის მხარეები საერთო საოჯახო მეურნეობას ეწეოდნენ, შესაბამისად, ავტომანქანის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს.

სამოქალაქო კოდექსის 1169-ე და 1170-ე მუხლების თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ჯ-არს თანაბრად უნდა შეეძლო მონაწილეობა სს "საქართველოს ბანკიდან" ი/მ "კ. გ-მის" მიერ 2006 წლის 7 დეკემბერს დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჯ-არმა, მოითხოვა მისი გაქუმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-არის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება ყაზბეგის რაიონის სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 660 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის იდეალურ 1/3-ზე ნ. ჯ-არის



მესაკუთრედ ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ჯ-არის სარჩელი ყაზბეგის რაიონის სოფელ ... მდებარე 660 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის იდეალურ 1/2-ზე მესაკუთრედ ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდა, იგი ცნობილ იქნა აღნიშნული უძრავი ქონების -ნკ. გ-ძის საკუთრებაში არსებული 4/6-დან 3/6-ის მესაკუთრედ, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება ყაზბეგის რაიონის სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 660 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის იდეალურ 1/3-ზე ნ. ჯ-არის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის ფაქტობრივი ქორწინება შეწყდა 2007 წლის ოქტომბრიდან და, შესაბამისად, ამ დროიდან ისინი საერთო-საოჯახო მეურნეობას აღარ ეწეოდნენ. კ. გ-ძემ სადავო უძრავი ქონების 1/3 გაასხვისა 2007 წლის 4 ოქტომბერს, ხოლო საქმის მასალებით არ დგინდება ნ. ჯ-არის თანხმობა უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით. სასამართლომ არ გაიზიარა კ. გ-ძის მოსაზრება, რომ ნასყიდობის თანხა მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს, ვინაიდან მათ შორის ქორწინება შეწყვეტილი იყო და აღნიშნული არც საქმის მასალებით დგინდება, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ქონების განკარგვით შეილახა ნ. ჯ-არის უფლებები.

ამდენად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ჯ-არს წარმოემოზოდა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. იმ პირობებში, როდესაც გასხვისდა სადავო უძრავი ქონების 1/3, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს მისი წილი ქონების კომპენსაციის სანაცვლოდ უნდა მიკუთვნებოდა ქონების გაყოფის შედეგად კ. გ-ძის კუთვნილი 1/3-დან 1/6, რაც არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ მიზანს -ერთ-ერთი მეუღლის ქონებრივი ინტერესების დაცვას. შესაბამისად, სასამართლომ ყაზბეგის რაიონის სოფელ ... მდებარე 660 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის 2/3-დან ნ. ჯ-არის წილი სასამართლოს აზრით უნდა განსაზღვრულიყო 2/6-ით, ხოლო კ. გ-ძის -1/6-ით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ კ. გ-ძემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და გასაჩივრებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით ყაზბეგის რაიონის სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 660 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 1/3-ის მესაკუთრედ ცნობა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ განჩინების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი.

რაც შეეხება ნ. ჯ-არს, საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ავტომატურად თანამესაკუთრეობიდან გამომდინარე, კომპენსაციის გადახდისა და კ. გ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილებში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება და კონსტანტნე გ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, საქმეში არ არის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ სადავო ავტომატურად დღემდე ირიცხებოდა მოპასუხის სახელზე, შესაბამისად, უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული, რომ ეს ქონება გასხვისებულია და მესამე პირის საკუთრებას წარმოადგენს. სარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანი იყო იმაზე დაყრდნობით, რომ ავტომატურად დღემდე რჩება ერთ-ერთი მეუღლის საკუთრებაში, რის გამოც მასზე ვრცელდება მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი. ამდენად, კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულებები, რის შედეგადაც კ. გ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით კ. გ-ძის, ხოლო 2009 წლის 25 მაისის განჩინებით ნ. ჯ-არის საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეებს განესაზღვრათ 5 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

კ. გ-ძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე, საკასაციო სასამართლოში ნ. ჯ-არმა წარმოადგინა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს. ასევე, ნ. ჯ-არის საკასაციო საჩივარზე კ. გ-ძემ წარმოადგინა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი

დაუშვებელი იყო, ვინაიდან არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. გ-ძისა და ნ. ჯ-არის საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორები მიუთითებენ რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას კ. გ-ძისა და ნ. ჯ-არის საკასაციო საჩივრები, რის გამოც ორივე საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. კ. გ-ძისა და ნ. ჯ-არის საკასაციო საჩივრები, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.
2. კასატორ კ. გ-ძეს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 1479 ლარის 70% -1035 ლარი.
3. კასატორ ნ. ჯ-არს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 470 ლარის 70% -329 ლარი.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-428-742-09

29 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: აქტის ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თელასის“ მიმართ 2002 წლის 23 მაისის სს „თელასის“ თანამშრომლის მიერ შედგენილი აქტის ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც მას უკანონოდ დაერიცხა 37681,77 ლარი შემდეგი საფუძველებით: 2002 წლის 23 მაისის სს „თელასის“ წარმომადგენლებმა შეამოწმეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ელექტროენერგიის #455785 მრიცხველი, რის საფუძველზეც დაწესებულებას დაერიცხა 37681,77 ლარი. ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტში არ არის მითითებული საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 31 დეკემბრის #15 დადგენილებით დამტკიცებული „საბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერგიის დარიცხვის მეთოდიკის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, არ არის მითითებული ბრჯენების ნომრები და მდგომარეობა, დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორების საპასპორტო და ფაქტობრივი მონაცემები, ობიექტის რეალური დადგმული სიმძლავრე, ობიექტის დადგმული სიმძლავრე, ობიექტის მუშაობის საათები, პირველადი დენის გაზომვის შედეგები, გამოყენებული გამზომი ხელსაწყოების დასახელება და საქარხნო ნომერი. დარიცხვის მართლწინააღმდეგობა დადასტურებულია საქმეში არსებული საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 1 აპრილის დასკვნაში, სადაც მითითებულია, რომ 2002 წლის 23 მაისის შემოწმების აქტი შედგენილია არასრულყოფილად და თანხის დარიცხვა ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. რაც შეეხება ხანდაზმულობის საკითხს, აღნიშნულ საქმეზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2007 წლის 21 მარტს წარდგენილ იქნა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, რომელიც ამავე სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული. განჩინებით დადგინდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა 2005 წლის 14 მარტს, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლამდე, წერილობით მიმართა სემეკს, რომლითაც მოითხოვა ელექტროენერგიის აღრიცხვის აქტის შემოწმება და მის საფუძველზე თანხის დარიცხვის მართლწინააღმდეგობის შემოწმება. აღნიშნულით ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა და სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად მისი დენა, სასამართლოს განმარტებით, დაიწყო თავიდან, რომელიც მთავრდება 2008 წლის 14 მარტს. მოგვიანებით მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა აქტის ბათილად ცნობა, ასევე, ამ აქტის საფუძველზე მის მიერ გადახდილი თანხის -37681,77 ლარის საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის გადაცემა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძველებით: სს „თელასი“ და მისი მომხმარებლები იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში. მოპასუხემ სადავო აქტის შედგენის შესახებ 2002 წლის 23 მაისის შეიტყო, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლების შესაბამისად, ხანდაზმულია. სემეკისადმი მოსარჩელის მიერ გაგზავნილი წერილი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი ვერ გახდება, რადგან იგი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, პასუხსაც არაუფლებამოსილი პირი აწერს ხელს და ასევე მოთხოვნაც არ არის ჩამოყალიბებული კანონის შესაბამისად. დაუსაბუთებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც მიჩნეულ იქნა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ იყო გასული. იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაესაჩივრებინა ეს განჩინება, რადგან მხოლოდ დასაბუთების გასაჩივრება, სასამართლოში მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია. რაც შეეხება ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის აქტს, იგი აკმაყოფილებს ამ აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. ზოგიერთი მონაცემის არარსებობა მისი გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს, რადგან აღნიშნული მონაცემების მითითება ვერ მოახდენდა არსებით გავლენას აქტით დამდგარ შედეგზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტი და სს „თე-

ლასს" საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 37681,77 ლარის, ასევე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -824,80 ლარის, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ -305,65 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "თელასმა".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა შესაბამისად, ვალდებულებითი სამართლის, კერძოდ, ზეპირი ფორმით დადებული სტანდარტული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმად სს „თელასს“, როგორც ხელშეკრულების მხარეს, წარმოეშვა ელექტროენერჯის მიწოდების ვალდებულება და მოწინააღმდეგე მხარის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის, მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის მოთხოვნის უფლება. დავის დაწყებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სარჩელის შეტანის საფუძველი გახდა აბონენტ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის არასწორად აღრიცხვის გამო, სს „თელასის“ მიერ 2002 წლის 23 მაისის #019291 შედგენილი ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის შესაბამისად, თანხის დარიცხვა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოსარჩელემ, მოპასუხის თანხმობის გარეშე, მოთხოვნა არასწორად დააზუსტა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა თავდაპირველ სარჩელში შეეხებოდა სს „თელასის“ აქტის გაუქმებასა და უკანონოდ დარიცხული თანხის -37681,77 ლარის ჩამოჭრას. 2008 წლის 3 დეკემბერს წარდგენილ დაზუსტებულ სარჩელში კი მოსარჩელემ ასევე მოითხოვა გადახდილი თანხის -37681,77 ლარის უკან დაბრუნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის შეცვლაში მოიაზრება სარჩელის საგანისა და საფუძვლის შეცვლას. სარჩელის საგანი არის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი, ის, თუ რა მოქმედების შესრულებას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან, ხოლო სარჩელის საფუძველს წარმოადგენს იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც, ფაქტობრივად, სასარჩელო მოთხოვნას ასაბუთებენ. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ თელასმა შემოწმება შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა იგნორირებით ჩაატარა და სადავო თანხა დაარიცხა კანონდარღვევით, რის გამოც მოითხოვა დარიცხვის აქტის გაუქმება, სარჩელის დაზუსტებისას მოთხოვნა დარიცხული თანხის უკან დაბრუნებით შეცვალა. პალატამ ჩათვალა, რომ ზემოხსენებული მოთხოვნები იდენტურია, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ სარჩელში თანხის უკან დაბრუნება არ იყო სიტყვა-სიტყვით გაწერილი. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გამახვილა თავად სასარჩელო მოთხოვნის შინაარსზე, კერძოდ, აქტის ბათილობა და დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლება ემსახურება სწორედ იმ მიზანს, რომ აღდგეს სამართლებრივი წონასწორობა, რაც უკანონო აქტის გამოცემამდე არსებობდა. აღნიშნული კი სრულიად ლოგიკურად, გულისხმობს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან უკანონო აქტის საფუძველზე გადახდილი თანხის დაბრუნებას. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მართებულად იმსჯელა სარჩელზე თანხის უკან დაბრუნების ნაწილში. სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ 2005 წლის 14 მარტს გასაჩივრებული 2002 წლის 23 მაისის აქტის კანონიერების თაობაზე პრეტენზიით საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიმართა იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა გ.შ-მემ. სემეკის აღმასრულებელი დირექტორის 2005 წლის 1 აპრილს ზემოხსენებულ წერილს გაეცა პასუხი, რომლითაც ეჭვქვეშ დადგა სს „თელასის“ 23 მაისის აქტის მართლზომიერება. აპელანტმა სადავოდ განადა როგორც იუსტიციის სამინისტროს მიერ წერილის ავტორის -ეკონომიკური დეპარტამენტის უფროს გ. შ-მის უფლებამოსილება, ისე თავად სემეკის წერილის იურიდიული ძალა მისი შინაარსიდან გამომდინარე. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სემეკი ადმინისტრაციული ორგანოა და იგი ადმინისტრირების კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ სემეკმა, როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ, თავად არ დააყენა ეჭვქვეშ იუსტიციის სამინისტროს წერილის განხილვისას წერილის წარმდგენი პირის გ.შ-მის უფლებამოსილება. წინააღმდეგ შემთხვევაში სემეკი გამოიყენებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 მუხლს. პალატამ აღნიშნა, რომ თავად დაინტერესებულ პირს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გ.შ-მის უფლებამოსილება სადავოდ არ გაუხდია. რაც შეეხება სემეკის 2005 წლის 1 აპრილის წერილის შინაარსობრივ მხარეს, სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში იგი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტაზე გავლენას ვერ იქონიებს, რადგან სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევის არსებობისას 139-ე და 140-ე მუხლების გამოყენება დასაშვებია მაშინ, როცა საქმე ეხება სასარჩელო წარმოების დაწყებას და მისგან გამომდინარე შედეგებს და არა ისეთ შემთხვევას, როცა პირი ცდილობს მოთხოვნა დაიკმაყოფილოს სასა-

მართლოს გარეშე, სხვა საშუალებით. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელის ხანდაზმულობის ვადის დენა 2005 წლის 14 მარტიდან შეწყდა და 2008 წლის ამავე თარიღამდე გაგრძელდა. რაც შეეხება აპელანტის მოსაზრებას, აქტის მხოლოდ ფორმალური ნიშნით გაუქმების უსწორობასთან დაკავშირებით. პალატა თვლის, რომ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საქალაქო სასამართლომ სწორად გამოიყენა ელექტრონერგის აღრიცხვიანობის დარღვევის გაანგარიშების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2001 წლის 31 დეკემბრის #15 დადგენილებით დამტკიცებული „სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტრონერგის დარიცხვის მეთოდისა“, ფაქტები სწორად დაადგინა და მათ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, რის გამოც, პალატამ სრულად გაიზიარა გადაწყვეტილების დასაბუთება და მიაჩნია, რომ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს „თელასმა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროს გ.შ-ძის სახელით გაგზავნილი წერილი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლიდან გამომდინარე, წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. აღნიშნული ნორმის მიხედვით, განცხადების ან სარჩელის შეტანისას განმცხადებელი ერთდროულად რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყდება. სარჩელი ან განცხადება სასამართლოსა თუ სახელმწიფო ორგანოში შეტანილ უნდა იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ. ამ პირობას იუსტიციის სამინისტროს 2005 წლის 14 მარტის წერილი სემეკისადმი ვერ აკმაყოფილებს. წერილი ხელმოწერილია იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის სახელით გაურკვეველი პიროვნების მიერ, უფრო მეტიც, სადავო წერილზე მართლაც ეკონომიკური დეპარტამენტის უფროს შ-ძეს რომ მოეწერა ხელი, იგი მაინც არ იქნებოდა უფლებამოსილი, რადგანაც იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს ზოგადად არ გააჩნია იუსტიციის სამინისტროს სახელით სხვა დაწესებულებებთან მიმოწერის უფლებამოსილება, ხოლო რაიმე სპეციალური მინდობილობა მხარეს არ წარმოუდგენია. ამასთან, #2\3948 და #2\4772-06 საქმეებზე 2005 წელს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის შ-ძის მიერ აღძრული სარჩელები სასამართლომ განუხილველად დატოვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერის მოტივით. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის ნაცვლად, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ წერილის ადრესატმა, ანუ სემეკმა არ იმსჯელა და ეჭვქვეშ არ დააყენა წერილზე ხელმოწერილი პიროვნების უფლებამოსილება. სასამართლოს უნდა ემსჯელა ზემოაღნიშნულ წერილთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რაც არ განუხორციელებია. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ყველანაირი წერილი ვერ გახდება ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი და მოცემულ შემთხვევაში განსახილველი დოკუმენტი შინაარსობრივად ვერ უნდა გამხდარიყო ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი. სემეკს, „ელექტრონერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონის თანახმად, თავად გააჩნია სადავო საკითხების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. წინამდებარე შემთხვევაში თავად წერილში რომ ყოფილიყო რაიმე მოთხოვნა, სემეკი, ბუნებრივია, ისევე, როგორც უამრავ სხვა შემთხვევაში, მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომელიც სავალდებულო იქნებოდა „თელასისთვის“. ამ საკითხზე მსჯელობასაც სააპელაციო სასამართლომ გვერდი აუარა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2009 წლის 18 განჩინებით სს „თელასის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა სს „თელასის“ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს უკავშირებს გარკვეულ შეზღუდვებს და ადგენს იმ დავათა კატეგორიებს, რომლებზეც შეტანილი საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნული დანაწესები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები მითითებული ნორმით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველით.

მოცემული დავის საგანია ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობის, უკანონოდ გადახდილი თანხის დაბრუნების, სარჩელის დაზუსტებისა და მისი ხანდაზმულად მიჩნევის მართლზომიერება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში.

კასატორი ვერ ასაბუთებს და საქმის მასალებითაც არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ისეთი საპროცესო დარღვევით, რაც არსებითად იმოქმედებს საქმის შედეგზე, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ამ საფუძვლითაც დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ სს "თელასს" უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო მის მიერ გადახდილი ბაჟი -1884,05 ლარის 70% -1318,83 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

სს "თელასის" საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სს "თელასს" დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟი -1318,83 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

#ას-444-758-09

29 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**  
**ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),**  
**ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 5 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. კ-შვილმა მოპასუხეების -მ. უ-შვილის, გ. კ-შვილისა და ა. უ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თავის საკუთრებაში არსებული ბინიდან მოპასუხისა და მისი თანმხლები პირების გამოსახლება და აღნიშნული ბინის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მისთვის გადაცემა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2006 წლის 25 თებერვალს მემკვიდრეობით მიიღო თბილისში, დიდმის მასივის ... კვარტლის, ... კორპუსში, მე-2 სართულზე, მდებარე ბინა, რომელიც 2006 წლის 1 მარტიდან საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მის საკუთრებად. მითითებულ ქონებას მოპასუხეები მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ ფლობდნენ, რის გამოც მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

სარჩელში მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იყო სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, ამავე კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

მოგვიანებით იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინეს მ. უ-შვილმა, გ. კ-შვილმა, ა. უ-შვილმა მოპასუხე ვ. კ-შვილის, მესამე პირების -ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა "მაუდის" და თ. კ-შვილის მიმართ. შეგებებული მოსარჩელეები მოითხოვდნენ თბილისში, დიდ-

მის მასივში მდებარე სადავო სახლთმფლობელობაზე ვ. კ-შვილის სახელზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო და საკუთრების მოწმობების (თავისი სამართლებრივი შედეგებით) ბათილად ცნობას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით მ. უ-შვილს, გ. კ-შვილსა და ა. უ-შვილს უარი ეთქვათ შეგებებული სასარჩელო განცხადების მიღებაზე. სასამართლოს მითითებით, მოპასუხეებმა ვერ დაადასტურეს ის გარემოება, რომ შეგებებული სარჩელის აღძვრა საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების შემდეგ საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ვ. კ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: მ. უ-შვილი, გ. კ-შვილი და ა. უ-შვილი გამოსახლდნენ ვ. კ-შვილის საკუთრებაში არსებული ბინიდან, მდებარე თბილისში, დიდმის მასივის, ... კვარტლის, კორპუსი ... ბინა #3-დან; აღნიშნული ბინა გამოთხოვილ იქნა მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მესაკუთრე ვ. კ-შვილს.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჯარო რეესტრის 2006 წლის 13 მარტის ამონაწერის თანახმად, უძრავი ქონება, მდებარე, თბილისში, დიდმის მასივის, ... კვარტლის, კორპუსი ..., ბინა #3 საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ვ. კ-შვილის სახელზე;

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ვ. კ-შვილის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველია 2006 წლის 25 თებერვლის საკუთრების მოწმობა;

საქმეში არსებული სამკვიდრო მოწმობით დგინდება, რომ სამკვიდრო გაიხსნა მამკვიდრებლის - გ. კ-შვილის მიერ სახლთმფლობელობაზე, მდებარე თბილისში, დიდმის მასივის, ... კვარტლის, ... კორპუსში ბინა #3 მესაკუთრეთა ამხანაგობა "მაუდი-142-ის" წევრობისათვის შეტანილ პაიზე;

სადავო ბინა წარმოადგენდა კოოპერატიულ ბინას, ხოლო ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი (მეპაიე) იყო გ. კ-შვილი;

თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1989 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. უ-შვილის სარჩელი მოპასუხე თ. კ-შვილის მიმართ და მ. უ-შვილი გ. კ-შვილთან ერთად შესახლდა თბილისში, დიდმის მასივის ... კვარტლის, ... კორპუსში მდებარე ბინა #3-ში, რომელიც პირადი ბარათით ირიცხებოდა თ. კ-შვილის სახელზე. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და მისი იძულებით აღსრულების მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 1993 წლის 3 ივნისს მ. უ-შვილი და გ. კ-შვილი შესახლდნენ სადავო ბინაში;

მოსარჩელები ამჟამადაც ფლობენ მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ბინას.

სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის შესაბამისად, კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს ფლობს მართლზომიერად ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობაში საჭირო გულისმოდგინე შემოწმების საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეების მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენდა სადავო ბინაზე მართლზომიერი მფლობელობის კანონიერ საფუძველს, თუმცა არ გაიზიარა მოპასუხეთა მფლობელობის მართლზომიერება დღევანდელი მესაკუთრის მიმართ, რომელიც არ წარმოადგენდა იმ პირის უფლებამონაცვლეს, ვის მიმართაც თავის დროზე განხორციელდა შესახლება. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებს არ გააჩნდათ მათ მიერ დაკავებული ფართის ფლობის კანონიერი საფუძველი.

სადავო საკითხის გადაწყვეტისას საქალაქო სასამართლო დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მესამე ნაწილს, 172-ე მუხლის პირველ ნაწილს, 183-ე, 311-ე მუხლებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. უ-შვილმა და გ. კ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით მ. უ-შვილისა და გ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. კ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგინებულად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. უ-შვილი და თეიმურაზ უხურგუნაშვილი იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. მათ 1989 წლის 28 თებერვალს შეეძინათ შვილი გ. კ-შვილი;

თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1988 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. უ-შვილის სარჩელი თ. კ-შვილის მიმართ დაკმაყოფილდა და იგი მცირეწლოვან შვილთან ერთად შესახლდა თ. კ-შვილის სახელზე პირადი ბარათით რიცხულ, თბილისში, დიღმის მასივის ... კვარტლის, ... კორპუსში მდებარე ბინა #3-ში;

მითითებულ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რის საფუძველზეც 1993 წლის 3 ივნისს გადაწყვეტილება აღსრულდა და მ. უ-შვილი შვილთან ერთად შესახლდა სადავო ბინაში. მოგვიანებით, კერძოდ, 1997 წლის 22 აგვისტოს, მ. უ-შვილს შეეძინა მეორე შვილი -ა. უ-შვილი;

ვ. კ-შვილი არის თ. კ-შვილის მამა და გ. კ-შვილის ძმა;

გ. კ-შვილი წარმოადგენდა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა "მაუდი 142-ის" მეპაიე წევრს. იგი გარდაიცვალა 1982 წლის 22 ოქტომბერს;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "მაუდი 142-ის" წევრობისათვის გ. კ-შვილის მიერ შეტანილ პაიზე -თბილისში, დიღმის მასივის პირველი კვარტლის, მე-3<sup>ბ</sup> კორპუსში მდებარე ბინა #3-ზე გაიხსნა სამკვიდრო და 2006 წლის 25 თებერვალს, მეორე რიგის კანონისმიერ მემკვიდრეზე -ვ. კ-შვილზე გაიცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა;

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, თბილისში, დიღმის მასივის ... კვარტალში, ... კორპუსში მდებარე ბინა #3-ის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ვ. კ-შვილი.

რამდენადაც თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1988 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილება სადავო ბინაში მოპასუხეთა შესახლების თაობაზე არ ადგენდა შესახლებულთათვის ბინით მფლობელობის რაიმე ვადას და არც კონკრეტულ პირობას არ უკავშირებდა მფლობელობის შეწყვეტას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებს აღნიშნული გადაწყვეტილებით სადავო ბინაზე მფლობელობის უფლება მიენიჭათ განუსაზღვრელი ვადით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლობიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. სასამართლოს განმარტებით, კანონი მოთხოვს, რომ პირმა თავისი უფლებები ბოროტად არ უნდა გამოიყენოს. მისი შეფასებით, უფლების ბოროტად გამოყენებას უთანაბრდებოდა ის მდგომარეობა, როცა პირი უფლებას იყენებდა მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიდგომოდა სხვას, როცა მისი მოქმედება მიზნად არ ისახავდა უფლების განხორციელებისათვის აუცილებლობით ნაკარნახევი ინტერესების დაცვას.

სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეების წინააღმდეგ ბინით მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე აღძრული სარჩელი დაუსაბუთებლად მიიჩნია, რაც იმით ახსნა, რომ მ. უ-შვილს სხვა საცხოვრებელი ბინა არ გააჩნია და ორ შვილთან ერთად, რომელთაგან ერთი არასრულწლოვანია, ცხოვრობს სადავო ბინაში; გარდა ამისა, არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესების უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია; არ დასტურდება მოპასუხეთა მიერ მოსარჩელისათვის ბინით სარგებლობაში ხელშეშლა.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ პაპის ზნეობრივი მოვალეობაა, იზრუნოს შვილიშვილებზე, ხოლო მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე არამართლობიერად იყენებდა მესაკუთრის უფლებებს.

რამდენადაც ერთ-ერთი მოპასუხე არასრულწლოვანია, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მითითება ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლზე, რომლითაც დაცულია არასრულწლოვანის უფლება საცხოვრებელ ბინაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. კ-შვილმა (წარმომადგენელი დ. მ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება, შემდეგი საფუძველებით:

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით გაიზიარა მოპასუხეთა მხრიდან სადავო ბინის ფლობის მართლობიერება. სინამდვილეში საქალაქო სასამართლომ ზოგადად განმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება, მართალია, წარმოადგენს სადავო ბინაზე მართლობიერი მფლობელობის საფუძველს, მაგრამ არა განსახილველ შემთხვევაში და დღევანდელი მესაკუთრის მიმართ. ამდენად, საქალაქო სასამართლოს არ გაუზიარებია და, მით უფრო, არ დაუდგენია მოპასუხეთა მიმართ უძრავი ქონების მართლობიერი მფლობელობა იმ მიზეზით, რომ ვ. კ-შვილი არ წარმოადგენდა მხარეს იმ სასამართლო განხილვაში, რომლის გადაწყვეტილებითაც მოპასუხეები შესახლდნენ აღნიშნულ ბინაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხეებს სადავო ბინაზე მიენიჭათ მფლობელობის უფლება განუსაზღვრელი ვადით. მო-



ცემული მსჯელობით გამოდის, მოსარჩელეს, რომელიც ბინის მესაკუთრეა, განუსაზღვრელი ვადით შეეზღუდა თავისივე საკუთრების ფლობის კონსტრუქციური უფლება, რაც ასევე არასწორია.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო საუბრობს უფლების ბოროტად გამოყენებაზე, თუმცა იქვე ვერ მიუთითებს, რის საფუძველზე დაადგინა, რომ მესაკუთრის (ვ. კ-შვილის) მიზანი ბინის მფლობელთათვის ზიანის მიყენებაა. გაცილებით სამართლიანი იქნებოდა, თუკი სასამართლო მოსარჩელის მიმართ მიყენებულ ზიანზე ინსჯელებდა.

დავის არაობიექტურად გადაწყვეტაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გაუთვალისწინებლად, დადგინლად მიიჩნია, რომ მ. უ-შვილს სადავო ბინის გარდა არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ბინა.

სააპელაციო სასამართლომ მოპასუხე ა. უ-შვილთან მიმართებით მიუთითა ბავშვის უფლებათა კონვენციაზე, თუმცა "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, კონსტიტუცია, როგორც მესაკუთრის უფლებების დაცვის გარანტი, იერარქიულად საერთაშორისო შეთანხმებაზე მაღლა მდგომი ნორმატიული აქტია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. კ-შვილის (წარმომადგენელი დ. მ-შვილი) საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიღებული. მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი საჭიროება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ვ. კ-შვილის (წარმომადგენელი დ. მ-შვილი) საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ვ. კ-შვილის (წარმომადგენელი დ. მ-შვილი) საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. ვ. კ-შვილს დაუბრუნდეს დ. მ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% -210 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საქმეებზე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

### განჩინება

#ას-406-722-09

2 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**დავის საგანი:** საავტორო უფლების ხელყოფით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ბ-მის სარჩელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ მოპასუხისათვის ემბლემის უკანონო გამოყენებისათვის 300000 აშშ დოლარისა და მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის 200000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ე. ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 35000 ლარის გადახდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია მოპასუხისათვის ე. ბ-მის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 35 000 ლარის დაკისრება. რაც შეეხება ე. ბ-მის მიერ "საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნას, სასამართლომ იგი დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში შეიცვალა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ე. ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 15000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ე. ბ-მესა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელით ნ. ა-აცს შორის 1995 წელს დაიდო საავტორო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ;

ე. ბ-მემ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის 1995 წელს შექმნა ემბლემა და იგი წარმოადგენს ლოგოს ავტორს;

მოსარჩელის მიერ ლოგოს გამოყენება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ხდებოდა ლოგოს შექმნის დღიდან 2002 წლამდე;

ე. ბ-მეს მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის ფედერაციისაგან მიღებული აქვს ჰონორარი 1000 აშშ დოლარი;

ე. ბ-მის მიერ შექმნილი გრაფიკული ნაწარმოები -საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემა წარედგინა ფედერაციის მიერ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს "საქპატენტს" და მისი რეგისტრაცია განხორციელდა 2001 წლის 8 აგვისტოს. "საქპატენტის" მიერ გაიცა #52 სერთიფიკატი;

თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის პროფესორ, ექსპერტ გ. წ-მის 2004 წლის 10 მაისის დასკვნითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 26 ნოემბრის დასკვნის თანახმად, დადგენილ იქნა, რომ ე. ბ-მის მიერ შექმნილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემის არსებითად იყო შეცვლილი.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს სადავო ურთიერთობა უნდა გადაეწყვიტა სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ე. ბ-მე უფლების დარღვევას უკავშირებს 2001 წლის 8 აგვისტოს მოპასუხის მიერ ემბლემის ავტორისეული ორიგინალის დამახინჯებული ფორმით "საქპატენტისათვის" წარდგენასა და ასეთივე სახით გამოყენებას 2002 წლამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას სწორად გამოიყენა "საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტი, 59-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოსაზრება მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში და აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენდა უფლებების სრულყოფილი რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია, რის გამოც კომპენსაციის ოდენობა უსაზღვროდ არ უნდა იყოს გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას. ვინაიდან კანონით გათვალისწინებულია მისი განსაზღვრა სამართლიანობისა და გონივრულობის პრინციპის დაცვით, მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეს არაქონებრივი ზიანისათვის უნდა დაკისრებოდა 15000 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

თავის მხრივ შეგებებული საკასაციო საჩივარი წარადგინა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განჩინებით ე. ბ-მის, ხოლო 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეებს განესაზღვრათ 5 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

ე. ბ-მის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე, საკასაციო სასამართლოში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წარმოადგინა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს. ასევე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეგებებულ საკასაციო საჩივარზე ე. ბ-მემ წარმოადგინა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დაუშვებელი იყო, ვინაიდან არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას ე. ბ-ძის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამავე კოდექსის 379-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ე. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული და უარი ეთქვა განხილვაზე, მითითებული მუხლების შესაბამისად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეგებებული საკასაციო საჩივარიც განუხილველად უნდა დარჩეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ე. ბ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.
2. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეგებებული საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად
3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 750 ლარის 70% -525 ლარი.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

##### **განჩინება**

#ას-449-763-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 27 ივნისს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზ. ა-ძემ (წარმომადგენელი ე. ბ-ძე) მოპასუხეების - ი. ა-ძის, ლ. და ლ. ა-ძეების კანონიერ წარმომადგენელ ლ. ბ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქობულეთში, ... გამზირის #564-ში მდებარე 1037კვ.მ მიწის ნაკვეთზე ი. ა-ძესა და ლ. და ლ. ა-ძეებს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების, აგრეთვე აღნიშნულ ნაკვეთზე ი. ა-ძის საკუთრების შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობა და მიწის ნაკვეთის მის საკუთრებაში აღრიცხვა.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. ა-ძის განცხადება დაკმაყოფილდა -ქობულეთში, ... გამზირის #564-ში არსებული 1637კვ.მ საკარმი-დამო მიწის ნაკვეთი აღიარებულ იქნა მის საკუთრებად. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა საჯარო რეესტრში დასახელებული უძრავი ქონების ი. ა-ძის სახელზე აღრიცხვა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით ზ. ა-ძის განცხადება დაკმაყოფილდა -ბათილად იქნა ცნობილი ამავე სასამართლოს 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა ი. ა-ძესა და ზ. ა-ძეს შორის. მიუხედავად ამისა, საჯარო რეესტრში ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით გამოწვეული სამართლებრივი შედეგი (რეგისტრაცია) დღემდე ძალაში რჩება.

საქმის მიმდინარეობისას -2006 წლის 1 მაისის მდგომარეობით ი. ა-ძემ სადავო მიწის ნაკვეთი, რომელიც ჯერ კიდევ მის სახელზე ირიცხებოდა, დანარჩენ ქონებასთან ერთად ნაჩუქრობის ხელშეკრულებით გაასხვისა შვილიშვილებზე -ლ. და ლ. ა-ძეებზე. ამდენად, მოპასუხემ ფაქტობრივად უსასყიდლოდ განკარგა უძრავი ქონება, რომლის ნაწილიც მის საკუთრებას არ წარმოადგენდა.

მოსარჩელის აზრით, ამ შემთხვევაში შემძენი კეთილსინდისიერად ვერ მიიჩნეოდა, რამდენადაც არასრულწლოვანი ლ. და ლ. ა-ძეების კანონიერი წარმომადგენლისათვის (მშობლისათვის) იმთავითვე ცნობილი იყო გაჩუქებული ქონების ნაწილზე ი. ა-ძესა და ზ. ა-ძეს შორის დავის არსებობა. ამასთან, ჩუქების ხელშეკრულების მონაწილეთა კეთილსინდისიერებას თავისთავად გამო-რიცხავდა ის გარემოება, რომ მასში მონაწილე სუბიექტებს წარმოადგენს, ერთი მხრივ, ბაბუა, ხოლო მეორე მხრივ -შვილიშვილები.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ არსებობდა სადავო მიწის ნაკვეთის მის საკუთრებაში აღრიცხვის საფუძველები. მისი განმარტებით, საქმის ვითარება რეალურად ასეთი იყო: ქობულეთში, ... გამზირის #564-ში მდებარე 600კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ი. ა-ძის ძმამ (ი. ა-ძე) შეისყიდა ზ. ა-ძისგან. იმ გარემოებას, რომ ი. ა-ძე ფაქტობრივად დაეუფლა მხოლოდ 600კვ.მ მიწის ნაკვეთს, ადასტურებდა საინვენტარიზაციო გეგმა-ნახაზი, სადაც ზუსტად იყო გამოკვეთილი ი. ა-ძისა და ზ. ა-ძის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საზღვრები. ამდენად, ი. ა-ძე საინვენტარიზაციო ნახაზებს 1037კვ.მ მიწის ნაკვეთზე ვერ შეადგენდა, რადგან იგი არ იყო აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და არ ჰქონდა უფლება საინვენტარიზაციო გეგმა-ნახაზებში ეჩვენებინა ზ. ა-ძის მიწის ნაკვეთი. 1966 წლის 29 მარტს ნაჩუქრობის ხელშეკრულებით საცხოვრებელი ფართი ი. ა-ძემ საკუთრებაში გადასცა თავის ძმას -ი. ა-ძეს, რომელიც ასევე ვერ შეადგენდა საინვენტარიზაციო გეგმა-ნახაზებს 1037კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რადგან მისი უფლებამოსილება შემოიფარგლებოდა მხოლოდ 600კვ.მ მიწის ნაკვეთით. აქედან გამომდინარე, ი. ა-ძეს არ შეიძლებოდა პრეტენზია ჰქონოდა 1037კვ.მ მიწის ნაკვეთზე. ზ. ა-ძის მამა ზ. ა-ძე 1950 წლამდე ფლობდა 0.66ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთს. 1950 წლის 21 ივნისის ოქმი #78-ით ზ. ა-ძე ოჯახს გამოეყო ცალკე კომლად და ქობულეთში, ... გამზირის #566-ში მიეზომა 675კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. ზ. ა-ძე გარდაცვალებამდე (1959 წლამდე) ფლობდა 3675კვ.მ მიწის ნაკვეთს. ზ. ა-ძის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნულ ტერიტორიებს დაეფლა ზ. ა-ძე, რაც მთლიანობაში შეადგენდა 4350კვ.მ მიწის ნაკვეთს. მითითებული მონაცემები დაფიქსირებულია საინვენტარიზაციო ნახაზშიც.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის განჩინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახური მოცემულ საქმეზე ჩაებნენ მესამე პირებად მოპასუხის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ა-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ქობულეთში, ... გამზირის #564-ში მდებარე 1637კვ.მ მიწის ნაკვეთის ი. ა-ძის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ი. ა-ძეს და ლ. და ლ. ა-ძეებს შორის 2006 წლის 1 მაისის დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ჩანაწერი აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ქობულეთში, ... გამზირის #564-ში მდებარე უძრავი ქონების ლ. და ლ. ა-ძეების სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ; ზია ნ.ნიძის სარჩელი 1037კვ.მ მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, იმის გამო, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დაკმაყოფილდა ზ. ა-ძის განცხადება და ბათილად იქნა ცნობილი ამავე სასამართლოს 2005 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, ბათილად ცნობას უნდა დაქვემდებარებოდა აღნიშნული გადაწყვეტილებით გამოწვეული სამარ-

თლებრივი შედეგი –საჯარო რეესტრის ჩანაწერი ქობულეთში, ... გამზირ #564-ში მდებარე 1637კვ.მ მიწის ნაკვეთის ი. ა-ძის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ.

2006 წლის 1 მაისს დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულებისა და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ქობულეთში, ... გამზირ #564-ში მდებარე უძრავი ქონების ლ. და ლ. ა-ძეების სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძველად დაედო დასახელებული მოთხოვნის ნაწილში მოპასუხეების -ლ. და ლ. ა-ძეების კანონიერი წარმომადგენლის, ასევე ი. ა-ძის წარმომადგენლების მიერ სარჩელის ცნობა.

რაც შეეხებოდა სარჩელის მოთხოვნას სადავო 1037კვ.მ მიწის ნაკვეთის ზ. ა-ძის საკუთრებად ცნობის შესახებ, რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა. ამ ნაწილში მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებდა იმ გარემოებაზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით ფაქტობრივ მფლობელობაში ჰქონდა მიღებული მამის -ზ. ა-ძისაგან, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელეს არ წარუდგენია რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა სადავო 1037კვ.მ მიწის ნაკვეთის მის მიერ მემკვიდრეობით მიღების ფაქტს და მიწის ნაკვეთზე მისი საკუთრების უფლებას. აქედან გამომდინარე, ამ ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ა-ძემ (წარმომადგენელი ე. ბ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინებით ზ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის ის ნაწილი, რომლითაც ზ. ა-ძე ითხოვდა სადავო 1037კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობას, რამდენადაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია და იგი კანონიერ ძალაში იყო შესული.

საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ ზ. ა-ძის მამა ზ. ა-ძე გარდაცვალებამდე, 1959 წლამდე ფლობდა 3675კვ.მ მიწის ნაკვეთს. დგინდებოდა ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ მამის გარდაცვალებამდე 1950 წელს მოხდა ზ. ა-ძის ცალკე კომლად გამოყოფა, რომლის შემდგომაც მას მამის კომლიდან გამოეყო 675კვ.მ მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ზ. ა-ძე ფაქტობრივად არ დაუფლებია მამის სამკვიდრო ქონებას. საქმის მასალების თანახმად, იგი ცხოვრობდა იმ საცხოვრებელ სახლში, რომელიც ეკუთვნოდა ზ. ა-ძეს და სადაც იგი ცხოვრობდა გარდაცვალებამდე.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

როგორც აპელანტის, ისე მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით დაკითხულმა მოწმეებმა აჩვენეს, რომ მიჯნა მოდავე მხარეებს შორის სხვაგვარად არასოდეს ყოფილა გავლებული. მხოლოდ ადრეულ წლებში, ამჟამად არსებული ქვის მიჯნის ნაცვლად გავლებული იყო მავთულბადის ლობე. მოწმეთა ჩვენებები ერთგვაროვანი იყო იმ ნაწილშიც, რომ მოპასუხეების სახლის უკანა მხარეს, იქ, სადაც მოსარჩელის მოსაზრებით სადავო ტერიტორია იწყებოდა, არასოდეს მიჯნა არ არსებობდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მართალია, 1955 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებით ზ. ა-ძემ ი. ა-ძეს 600კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი მიჰყიდა (იმხანად არსებული შეზღუდვების, ასევე იმის გამო, რომ ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა მხოლოდ საცხოვრებელი სახლი და არა მიწის ნაკვეთი, რომელიც სახელმწიფო საკუთრება იყო), მაგრამ ფაქტობრივად მოხდა გამყიდველის მიერ მყიდველისათვის მეტი ოდენობის მიწის ნაკვეთის გადაცემა და მხარეთა შორის არსებული მიჯნაც და ფაქტობრივი მფლობელობაც სწორედ იმ დროს მოყოლებული ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი იყო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ 1955 წლის შემდგომ (ანუ 1955 წლის ნასყიდობის შემდეგ) მამკვიდრებელი ზ. ა-ძე ფაქტობრივად არ ფლობდა სადავო მიწის ნაკვეთს და მისი გარდაცვალების დროისთვისაც (1959 წლისთვის) ფაქტობრივი მდგომარეობით სადავო მიწის ნაკვეთს მოპასუხე ფლობდა.

სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მოიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

რამდენადაც ზ. ა-ძის სიკვდილის მომენტისათვის, 1955 წლის მდგომარეობით, მიწა (მათ შორის სადავო მიწაც) სახელმწიფო საკუთრება იყო და იგი ფაქტობრივ ფლობაში ჰქონდა მოპასუხეს და არა ზ. ა-ძეს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი ვერ შევიდოდა ზ. ა-ძის სამკვიდრო მასაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საინვენტარიზაციო ბიუროს 1966 წლის 2 მარტის გეგმა-ნახაზზე, რომლის თანახმად, ქობულეთში, ... ქ. #564-ში მდებარე სახლთმფლობელობა ეკუთვნის ი. ა-ძეს და იგი განთავსებულია 1400კვ.მ მიწის ნაკვეთზე. მითითებული დოკუმენტის მიხედვით სახლთმფლობელობა დადასტურებული იყო 1959 წლის ტექადრიცხვის ბიუროში გატარებული მასალებით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლით ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ამ პირთა საკუთრებად ჩაითვალა და მათზე სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები გავრცელდა. მიუხედავად ამისა, კანონის დასახელებულმა ნორმამ მოსარჩელე მიწის მხოლოდ იმ მონაკვეთის მესაკუთრედ აქცია, რომელიც იმხანად (ანუ კანონის მიღების დროისათვის) იყო მის სარგებლობაში და არა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელსაც ოდესღაც მისი წინაპარი ფლობდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. ა-ძეს მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან სადავო მიწის ნაკვეთის გამოთხოვისა და ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე სწორად ეთქვა უარი. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ა-ძემ (წარმომადგენელი ე. ბ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სადავო 924კვ.მ მიწის ნაკვეთის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ზ. ა-ძის ცნობა.

კასატორის ზემოაღნიშნული მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობს შემდეგში:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საინვენტარიზაციო ბიუროს 1966 წლის 2 მარტის გეგმა-ნახაზზე და მის საფუძველზე დადგინდად მიიჩნია, რომ ი. ა-ძე 1966 წლის მდგომარეობით თითქოსდა ფლობდა ქობულეთში, ... (ყოფილი ... ქუჩა) #564-ში მდებარე 1400კვ.მ მიწის ნაკვეთს, მაშინ როდესაც მოცემული გეგმა-ნახაზი და სხვა მტკიცებულებები ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასარწმუნოდ მიიჩნია, კერძოდ, დაადგინა, რომ ტექადრიცხვის დოკუმენტებში (გეგმა-ნახაზებში) მიწის ნაკვეთის ფართი გადაშლილი და გადასწორებული იყო, შეიცავდა სხვადასხვა მონაცემებს.

სააპელაციო სასამართლო, ერთი მხრივ, ადასტურებს, რომ ზ. ა-ძე 1959 წლამდე (გარდაცვალებამდე) ფლობდა და სარგებლობდა 3675კვ.მ მიწის ნაკვეთით, რა დროსაც ზ. ა-ძეს დამატებით 675კვ.მ მიწის ნაკვეთი ჰქონდა გამოყოფილი, ხოლო მეორე მხრივ, ამავე გადაწყვეტილებით ასაბუთებს, რომ 1955 წლიდან ზ. ა-ძეს 1022კვ.მ მიწის ნაკვეთი (სადავო მიწის ნაკვეთი) მფლობელობაში აღარ გააჩნდა, რადგან იგი გაასხვისა. სააპელაციო სასამართლო მსჯელობა მეორე ნაწილში არასწორია და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან. გარდაცვალების მომენტისათვის ზ. ა-ძეს უფლება ჰქონდა ქ. ქობულეთში, ... გამზირ #566-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, რომელიც განლაგებული იყო 3675კვ.მ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული უფლება მემკვიდრეობით გადავიდა ზ. ა-ძეზე, რაც აისახა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ჩანაწერებში.

ამდენად, სასამართლოს არგუმენტი იმის შესახებ, რომ 1037კვ.მ მიწის ნაკვეთი სამკვიდრო მასაში არ შედიოდა, რადგან გარდაცვალების დროისათვის მას ზ. ა-ძე (ზ. ა-ძის მამა) არ ფლობდა, უსაფუძვლოა.

ზ. ა-ძის მიერ სამკვიდრო ქონების მიღებაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს ის ფაქტი, რომ ქონების ნაწილზე (მიწის ნაკვეთზე) ი. ა-ძემ გაავლო მიჯნა, სცადა მითვისება, უკანონოდ ააგო სახლები და სხვა. აღნიშნული მოქმედებები, რომლებიც განხორციელდა არა სამკვიდროს გახსნის დროს, არამედ ბოლო წლების განმავლობაში, ვერ გააუქმებს მიღებულ სამკვიდროზე მემკვიდრის უფლებას, რაც კონსტიტუციით ცალსახად დაცულია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი განჩინების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ზ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე თ. ა-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (750 ლარი) 70% - 525 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ა-ძის (წარმომადგენელი ე. ბ-ძე) საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. ზ. ა-ძეს დაუბრუნდეს თ. ა-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (750 ლარი) 70% - 525 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -ზ. ა-ძის სახელმწიფო ბაჟისათვის;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

#ას-544-853-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის დაკისრება



### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 7 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. ჯ-მემ (წარმომადგენელი გ. ნ-მე) მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ყოველთვიურად 551.76 ლარის ოდენობით სარჩოს, 2007 წლის 1 მარტიდან სარჩელის აღძვრამდე პერიოდში მიუღებელი შემოსავლის -2725.32 ლარისა და 160 ლარის ოდენობით საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვ. ჯ-მე მოპასუხე ორგანიზაციაში მუშაობდა მემანქანედ. 1998 წლიდან იგი შპს "საქართველოს რკინიგზისაგან" იღებს სარჩოს პროფესიული დაავადების საფუძველით. სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2002 წლის 3 ივნისის დასკვნით მოსარჩელეს პროფესიული შრომისუნარიანობის ხარისხი დაკარგული აქვს მუდმივად 80%-ით.

თბილისის მახარისხებელი სალოკომოტივო სამმართველოს უფროსის 22.07.2008წ. და 5.08.2008წ. წერილებით ირკვევა, რომ 2007 წლის მარტის თვემდე მოპასუხე ორგანიზაციაში მემანქანის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა თვეში 540.07 ლარს, ხოლო 2007 წლის მარტიდან ხელფასმა მოიმატა 30%-ით და შეადგინა 689.70 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, შპს "საქართველოს რკინიგზა" ნებაყოფლობით არ ახდენდა მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებას და მის მიერ მიღებული ზიანის (სარჩოს) ანაზღაურება ხდებოდა ნაწილობრივ.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ დასახელებულ პერიოდებში მისთვის ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობა შემდეგნაირად უნდა განსაზღვრულიყო: ა. 2007 წლის მარტიდან 2008 წლის იანვრამდე ვ. ჯ-მეს ყოველთვიურად უნდა მიეღო სარჩოს სხვაობა 111 ლარი (432 ლარს -321 ლარი), რამდენადაც 2007 წლის მარტში მემანქანის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 540.07 ლარს, მისი 80% იყო 432, ხოლო მას სარჩოს სახით მიღებული ჰქონდა 321 ლარი, ნაცვლად 432 ლარისა; ბ. 2008 წლის იანვრიდან ამავე წლის აგვისტომდე (სარჩელის აღძვრამდე) მოსარჩელის მიერ მისაღები სხვაობა შეადგენდა 230.76 ლარს, რამდენადაც 2008 წლის იანვრიდან მომატების შედეგად მემანქანის თანამდებობრივი სარგო გახდა 689.70 ლარი, რომლის 80% იყო 551.76 ლარი, ხოლო ვ. ჯ-მე სარჩოს სახით კვლავ იღებდა 321 ლარს, ნაცვლად 551.76 ლარისა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ ვერ მიიღო ყოველთვიური სარჩოს სხვაობა 230.76 ლარი (551.76 -321 ლარი).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, პირველ შემთხვევაში ხელფასის სხვაობა -111 ლარი უნდა გამრავლებულიყო 10 თვეზე (2007 წლის მარტიდან 2008 წლის იანვრამდე პერიოდი), რის შედეგადაც მიიღებოდა თანხა -1110 ლარი. მეორე შემთხვევაში არსებული სხვაობა -230.76 ლარი უნდა გამრავლებულიყო 7 თვეზე (2008 წლის იანვრიდან 2008 წლის აგვისტომდე პერიოდი), რაც შეადგენდა 1615.32 ლარს. მოსარჩელის მოსაზრებით, მისთვის ასანაზღაურებელი იყო მითითებულ თანხათა ჯამი -2725.32 ლარი. იმავდროულად, ვ. ჯ-მეს სარჩელის შეტანის დროიდან, ანუ 2008 წლის აგვისტოდან სარჩოდ უნდა დანიშვნოდა 551.76 ლარი, რაც წარმოადგენდა მემანქანის ამჟამინდელი თანამდებობრივი სარგოს (689.70 ლარი) 80%-ს.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელემ დაასახელა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილება, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი.

მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზას" სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია, თუმცა განმარტა, რომ არც მოქმედი მთავრობის დადგენილება და არც სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს დანიშნული სარჩოს გადაანგარიშების სამართლებრივ საფუძველებსა და წესს. აღნიშნული ნორმატიული აქტებით დარეგულირებულია მხოლოდ დამსაქმებლის ბრალის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების წესი და არა პროფესიული დაავადების გამო დანიშნული სარჩოს ანაზღაურება. სარჩოს გადაანგარიშების წესს განსაზღვრავდა "შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება. ამ ბრძანებულებაში 2003 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სარჩო შრომის ანაზღაურების ცვლილების შესაბამისად გადაანგარიშებას აღარ ექვემდებარებოდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნას, რომელსაც წარმოადგენდა სარჩოს გადაანგარიშება 2007 წლიდან გაზრდილი ხელფასის შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ჯ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა: შპს "საქართველოს რკინიგზას" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2008 წლის 7 აგვისტოდან ყოველთვიურად ზიანის ანაზღაურების სარჩოს სახით 551.76 ლარის ანაზღაურება; მასვე ვ. ჯ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 2007 წლის

1 მარტიდან 2008 წლის 7 აგვისტომდე მიუღებელი შემოსავლის -2725.32 ლარის, აგრეთვე სად-  
ვოკატო მომსახურების ხარჯების -160 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შემდეგში მდგომა-  
რეობს:

ვ. ჯ-მე საქართველოს რკინიგზაში მუშაობდა მემანქანედ;

მოსარჩელე 1998 წლიდან ყოველთვიურად იღებს შპს "საქართველოს რკინიგზიდან" სარჩოს  
პროფესიული დაავადების საფუძვლით;

2002 წლის 3 ივნისიდან ვ. ჯ-მეს დაუდგინდა პროფესიული შრომისუნარიანობის ხარისხის  
დაკარგვა 80%-ით უვადოდ;

მოსარჩელეს შპს "საქართველოს რკინიგზიდან" სარჩოს მიღების უფლება მოპოვებული აქვს სა-  
ქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების პერიოდში და მოპასუ-  
ხის მიერ ნებაყოფლობით ანაზღაურებადი სარჩოს ოდენობა შეადგენს თვეში 321 ლარს;

2007 წლის მარტიდან მოპასუხე ორგანიზაციაში მემანქანის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა  
540.07 ლარს, ხოლო 2008 წლის იანვრიდან -689.70 ლარს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯან-  
მრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს  
პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის  
2007 წლის 6 თებერვლის #93 ბრძანებულებით 2007 წლის 1 მარტიდან. ამჟამად შრომითი მოვა-  
ლეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ვნების ანაზღაურების მომწესრი-  
გებელი ნორმატიული აქტია საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილებით  
დამტკიცებული "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული  
ზიანის ანაზღაურების წესი".

ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის პირველი ნაწილის  
თანახმად, საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში შრომითი მოვალეობის შესრულებისას  
დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, საქართველოს შრომის კო-  
დექსით და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით. ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი ნა-  
წილის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულების  
მოთხოვნათა დაცვით დანიშნული სარჩო ექვემდებარება ანაზღაურებას დამსაქმებლის ან მისი უფ-  
ლებამონაცვლის მიერ.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ჯ-მის მიმართ წარმოშობილი ვალდებულება წარმო-  
ადგენდა დელიქტურ ვალდებულებას, რომლის ნაწილობრივ ანაზღაურებას ახორციელებდა შპს  
"საქართველოს რკინიგზა".

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის თანახმად,  
პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით  
მიაყენებს ზიანს, ვალდებულია. აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მოცემულ შემთხვევაში ზიანის მიყე-  
ნების ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის დგინდე-  
ბოდა სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის ბიუროს 2002 წლის 3 ივნისის დასკვნით, რომლი-  
თაც დადასტურებული იყო, რომ ვ. ჯ-მეს პროფესიული შრომისუნარიანობა 80%-ით დაკარგული  
ჰქონდა მუდმივად სიცოცხლის ბოლომდე მოპასუხესთან მავნე პირობებში ხანგრძლივი მუშაობის  
შედეგად. რაც შეეხებოდა ბრალეულობას, აღნიშნული დასტურდებოდა მოპასუხის ქმედებითაც,  
რომელიც ნებაყოფლობით წლების განმავლობაში არ ანაზღაურებდა ზიანს.

საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ,  
სარჩოს გადახდა უნდა განხორციელებულიყო მოსარჩელის სიცოცხლის ბოლომდე, ვინაიდან მო-  
სარჩელეს პროფესიული შრომის უნარი დაკარგული ჰქონდა მუდმივად ხოლო ოდენობა უნდა გან-  
საზღვრულიყო იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსარჩელე მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურე-  
ბის მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო. კანონის დასახელებული ნორმის თანახ-  
მად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეო-  
ბა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების, მავალდებულებელი გარემოება.  
თუ სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წა-  
ერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველ-  
თვიური სარჩოს გადახდით.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც მოპასუხე ვ. ჯ-მეს სარჩოს უნაზღაურებდა  
მხოლოდ ნაწილობრივ, მისთვის მიყენებულმა ზიანმა 2007 წლის მარტიდან 2008 წლის აგ-  
ვისტომდე შეადგინა 2725.32 ლარი, ხოლო 2008 წლის 7 აგვისტოდან -551.76 ლარი ყოველ-  
თვიურად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "საქართველოს რკინიგზამ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, კერძოდ, სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 408-ე მუხლები. შესაბამისად, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "საქართველოს რკინიგზამ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძვლებით:

საქმის განხილველმა სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 408-ე მუხლები, რაც არასწორია. კანონის აღნიშნული ნორმები არ აწესრიგებს სარჩოს გადაანგარიშების წესს. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით დამტკიცებული "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის" პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის, თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა. მოცემული წესი არეგულირებს მხოლოდ დამსაქმებლის ბრალის შემთხვევაში ზიანის და არა პროფესიული დაავადების გამო დანიშნული სარჩოს ანაზღაურებას.

სარჩოს გადაანგარიშების წესს განსაზღვრავდა "შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის #48 ბრძანებულება, რომლის მე-12 პუნქტის მიხედვით, ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონის ცვლილების შესაბამისად ხდებოდა სასამართლოს ან დამსაქმებლის მიერ ყოველთვიური სარჩოს გადაანგარიშება, მიუხედავად იმისა, როდის მიიღო მან დასახიჩრება. ამ ბრძანებულებაში 2003 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სარჩო შრომის ანაზღაურების ცვლილების შესაბამისად გადაანგარიშებას აღარ ექვემდებარებოდა. მოგვიანებით, 2005 წლის 7 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით მითითებული მე-12 პუნქტი ბრძანებულებიდან საერთოდ ამოღებულ იქნა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნას, რომელსაც წარმოადგენს სარჩოს გადაანგარიშება 2007 წლიდან გაზრდილი ხელფასის შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის #53 დადგენილებით დამტკიცებული "შრომითი მოვალეობის შესრულებისას ზიანის ანაზღაურების წესის" პირველი მუხლის პირველი ნაწილი, რამდენადაც აღნიშნული ნორმა შეეხება არა უკვე დანიშნული სარჩოს ანაზღაურებას, არამედ იგი ვრცელდება 2007 წლის 24 მარტიდან ორგანიზაციაში დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევებზე.

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი, რომელიც სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა, ვრცელდება სახელშეკრულებო ან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ასანაზღაურებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო

ლაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი განჩინების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შპს "საქართველოს რკინიგზას" უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (1 129.44 ლარის) 70% -790.608 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. შპს "საქართველოს რკინიგზას" დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (1 129.44 ლარის) 70% -790.608 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

##### **განჩინება**

#ას-407-723-09

8 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
მოსამართლე ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ო. ბ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. ა-ვის მიმართ და მოითხოვა დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის -4600 ლარის, ასევე, განაცდურის -65650 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

ბოლნისის რაიონის გამგეობის 2005 წლის 29 ივნისის #234 დადგენილების საფუძველზე მოსარჩელე ო. ბ-მესა და ბოლნისის რაიონის გამგეობას შორის 2005 წლის 28 ივლისს გაფორმდა #37 მიწის საიჯარო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ო. ბ-მეს 10 წლით გადაეცა 24,5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სარწყავი მიწის ნაკვეთი, რომლის წინა მოიჯარე, ბოლნისის რაიონის გამგეობის 2001 წლის 13 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, იყო ტ. გ-ოვი. სადავო მიწას ტ. გ-ოვი ამუშავებდა ბ. ა-ვთან ერთად.

2005 წლის 11 მარტის #72 დადგენილებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო ჩამოერთვა ტ. გ-ოვს, რაც გასაჩივრებულ იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა და აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, ბ. ა-ვი მოსარჩელეს არ აძლევდა საშუალებას, დაემუშავებინა მიწა და მიეღო შემოსავალი, კერძოდ, ო. ბ-მეს არ მიეცა შესაძლებლობა მის მიერ შეძენილი 4600 ლარის ღირებულების სათესლე კარტოფილის დათესვისა, რადგანაც მოპასუხემ სადავო მიწის ნაკვეთზე თვითონ დათესა ხორბალი, რამაც გამოიწვია აღნიშნული კარტოფილის გაფუჭება და ო. ბ-მეს მიაყენა ზიანი.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის განაჩენით ბ. ა-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა ერთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ამავე კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე შეფარდებული სასჯელი შეიცვალა პირობითი მსჯავრით, ასევე, დასახელებული კოდექსის 42-ე მუხლზე დაყრდნობით მხარეს დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდა ჯარიმა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ბ. ა-ვის მიმართ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის დროს მსჯავრდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რა დროსაც მან აღიარა, რომ თვითნებურად ამუშავებდა მოსარჩელე ო. ბ-მისათვის იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ბ. ა-ვისათვის მიყენებული ზიანის - 4600 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის - 65560 ლარის დაკისრება, რადგანაც იმ შემთხვევაში, თუ ო. ბ-მე 2007 წელს მისთვის იჯარით გადაცემულ 4,5 ჰა მიწის ნაკვეთზე დათესავდა კარტოფილს, 10 ჰექტარზე ხორბალს, ხოლო 10 ჰექტარზე სიმინდს, ორი წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი შეადგენდა სულ 65560 ლარს. მოსარჩელემ აღნიშნული მოთხოვნის დასადასტურებლად სასამართლოს წარუდგინა შპს "აუდიტი-ბოლნისის" დირექტორის მიერ შედგენილი აუდიტორული დასკვნა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

ტ. გ-ოვისათვის იჯარით გადაცემულ 24,5 ჰექტარ მიწის ნაკვეთს მოპასუხესთან ერთად ამუშავებდა 27 მოსახლე. აღნიშნული მიწა იყო ურწყავი სახნავი მიწა და მის მხოლოდ ერთ ჰექტარს ამუშავებდა ბ. ა-ვი, შესაბამისად, ყოველწლიურად იხდიდა ქირას - 27 ლარს.

ბოლნისის რაიონის გამგეობის მიერ ტ. გ-ოვისთვის მიწის ჩამორთმევისა და ო. ბ-მისათვის გადაცემის შემდეგ, მხარეთა შორის წარმოშობილი დავის სასამართლო წესით გადაწყვეტამდე, მიწის ნაკვეთი სარგებლობაში ჰქონდათ ტ. გ-ოვსა და მისი კოლექტივის წევრებს.

2006 წლის 18 დეკემბერს ტ. გ-ოვის მიმართ თვითნებობის ფაქტზე დაწყებული წინასწარი გამოძიებიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე ბ. ა-ვის მიმართ და იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რა დროსაც ბრალდებულმა წინასწარი გამოძიებისას არასწორად აღიარა დანაშაული.

მოპასუხის მიერ მითითებული გარემოება, რომ სადავო 24,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთიდან იგი ამუშავებდა მხოლოდ ერთ ჰექტარს, მტკიცდება სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიებისას შედგენილი მოწმეთა დაკითხვის ოქმებიდან, ხოლო პროკურატურის მიერ ბ. ა-ვის მიმართ სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ დადგენილებაში არასწორადაა მითითებული, რომ მოსარჩელემ ბ. ა-ვისა და სხვათა დანაშაულებრივი ქმედების გამო ვერ შეძლო მიწის დამუშავება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტალავერის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2007 წლის 14 სექტემბერს გაცემული #404, #406, #409 ცნობებით დასტურდება, რომ სადავო 24,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთიდან ბ. ა-ვი ამუშავებდა მხოლოდ ერთ ჰექტარ მიწას, ამავე ნაკვეთს ასევე ამუშავებდა 17 ოჯახი, ხოლო სადავო ნაკვეთიდან 5 ჰექტარი არ დამუშავებულა არც ტ. გ-ოვის და არც ო. ბ-მის საიჯარო კოლექტივის წევრების მიერ. ამდენად, სადავო

დროის განმავლობაში ო. ბ-ძეს სრული შესაძლებლობა ჰქონდა, ესარგებლა დაუმუშავებელი 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთით. ამასთან, მხარის მიერ სარჩელში მითითებული გარემოება, რომ საიჯარო ხელშეკრულების ობიექტი არის სარწყავი მიწა, სინამდვილეს არ შეესაბამება, რაც დასტურდება თუნდაც იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის ოდენობით.

მოპასუხე ასევე სადავოდ მიიჩნევს აუდიტის შეფასებას მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით, იმ საფუძვლით, რომ სადავო მიწა არის ურწყავი და, შესაბამისად, აუდიტი დასკვნაში უთითებს შემოსავლის მიღებაზე სარწყავი მიწიდან.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმულ იქნენ მ. შ-ოვი და ტ. გ-ოვის საიჯარო კოლექტივის დანარჩენი წევრები. ამავე სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი და საქმის მასალებიდან ამოღებულ იქნა 2007 წლის 4 ივლისს სარწყავ-სახნავ და ურწყავ 24,5 ჰექტარ მიწაზე გაცემული აუდიტორული დაკვნები.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ბ. ა-ვსა და მ. შ-ოვს სოლიდარულად დაეკისრათ ო. ბ-ძის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის -4600 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ბ-ძემ. ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ბ. ა-ვმა და მ. შ-ოვმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ო. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. შ-ოვისა და ბ. ა-ვის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ბ. ა-ვისა და მ. შ-ოვისათვის სოლიდარულად ო. ბ-ძის სასარგებლოდ 4600 ლარის დაკისრების ნაწილში დარჩა უცვლელად, ხოლო მიუღებელი მოგების -65650 ლარის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერის საკრებულოს მიწებიდან 24,5 ჰექტარი სახნავი მიწა იჯარით გადაეცა ო. ბ-ძეს 2005 წლის 29 ივნისის დადგენილების საფუძველზე.

სადავო მიწის ნაკვეთის ყოფილი მოიჯარეები -ბ. ა-ვი და მ. შ-ოვი კვლავ აგრძელებდნენ მიწის ნაკვეთით სარგებლობას და ახალ მოიჯარეს არ აძლევდნენ მისი დამუშავების შესაძლებლობას, რის გამოც მათ მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა თვითნებობის ფაქტთან დაკავშირებით და დადგა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დადგინდა როგორც თვითნებობის, ისე მოსარჩელისათვის ზიანის -4600 ლარის მიყენების ფაქტი (ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის #1/117 და 14 აგვისტოს #1/137 განაჩენი).

ბ. ა-ვსა და მ. შ-ოვს სადავოდ არ გაუხდიათ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე დადგენილი თვითნებობის ფაქტი, თუმცა, აპელანტთა მოსაზრებით, რაიონულ სასამართლოს მათთვის არ უნდა დაეკისრებინა ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მხოლოდ ერთი მტკიცებულების -უკანონო აუდიტორული დასკვნის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის საფუძველზე პრეიუდიციულად გაიზიარა ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები -მოპასუხეთა მიერ ო. ბ-ძის მიმართ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის, ასევე ამ ქმედებით გამოწვეული ზიანის ოდენობის შესახებ და სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 998-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნია, რომ ო. ბ-ძეს წარმოეშვა მოპასუხეთაგან ზიანის -4600 ლარის ანაზღაურების მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლო არ უთითებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის არც ერთ ნორმაზე და ისე მიიჩნევს, რომ ო. ბ-ძის მიერ წარმოდგენილი აუდიტის შეფასება არის დაუშვებელი მტკიცებულება, ასევე დაუსაბუთებელია მითითება იმის შესახებ, რომ ვინაიდან დასკვნები შედგენილია ცალ-ცალკე ერთსა და იმავე სარწყავ და ურწყავ მიწის ნაკვეთზე ერთსა და იმავე დღეს, ერთი და იმავე აუდიტორის მიერ, იგი საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს 2007 წლის 27 დეკემბრის #82/3 წერილის გათვალისწინებით არასწორია და სასამართლოს მიერ ვერ იქნება მტკიცებულების სახით შეფასებული, ასევე არ იქნა გაზიარებული რაიონული სასამართლოს მითითება, რომ დასკვნები არის ურთიერთსაპირისპირო იმ საფუძვლით, რომ ერთში მოცემულია გაანგარიშება სარწყავ-სახნავ მიწაზე, ხოლო მეორეში -ურწყავ ნიწის ნაკვეთზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გამოტანისას სათანადოდ

არ გამოიკვლია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის საფუძველზე მიღებული მტკიცებულებები, ასევე დადგინდა ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, არ მოახდინა მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა, ასევე არ დაასაბუთა გადაწყვეტილებაში მითითებული დასკვნები და შეფასებები, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი და 249-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნები. ამასთან, საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს დაევალა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენა იმისა სადავო მიწა განაკუთვნება სარწყავ თუ ურწყავ მიწას, მასზე მისაღები შემოსავლის ოდენობა, ასევე მხარეთა დავალდებულება სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნა.

საპედაგოგო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. შ-ოვმა და ბ. ა-ვმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოში სარჩელის აღძვრის დროისათვის იგი მიმართული იყო მოპასუხე ბ. ა-ვის მიმართ, ხოლო საქმის განხილვის ეტაპზე საქმეში თანამოპასუხეებად ჩართულ იქნენ ტ. გ-ოვი და მისი იჯარის კოლექტივის ყველა წევრი, ხოლო საბოლოოდ სარჩელზე მოპასუხეებად დარჩნენ მხოლოდ ბ. ა-ვი და მ. შ-ოვი.

უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება საქმეში წარმოდგენილ აუდიტის დასკვნაზე, რადგანაც მხარეთა მიერ მოპოვებული და სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სადავო დასკვნები არასწორია და იგი მიყენებული ზიანის გამოანგარიშების შესაძლებლობას არ იძლევა. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულიად კანონიერად ამორიცხა აღნიშნული მტკიცებულებები საქმიდან და მათ არ მისცა სამართლებრივი შეფასება, ამასთან სადავო დასკვნის გაზიარება იმ საფუძველზე დაუშვებელია, რომ ურწყავ მიწაზე მისაღები მოსავლის სავარაუდო ოდენობის წინასწარ დადგენა და მისი შეფასება ემყარება მხოლოდ ვარაუდს და სასამართლოს მხრიდან აღნიშნული შეფასების გაზიარება დაუშვებელია.

ო. ბ-მეს სასამართლოსათვის არ წარმოდგენია სათესლე კარტოფილის დაზიანების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, რითაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნები დაირღვა, ხოლო სასამართლოს მსჯელობა მიყენებული ზიანის -4600 ლარის ანაზღაურების ბ. ა-ვისა და მ. შ-ოვისათვის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მაისის განჩინებებით საკასაციო საჩივრებს დაუდგინდა ხარვეზი -მ. შ-ოვსა და ბ.ალიევს დაევალათ სახელმწიფო ბაჟის -1756,25 ლარის ჩარიცხვის ქვითრების დედნის წარმოდგენა.

შპს "საქართველოს ფოსტის" 2009 წლის 29 ივნისის პასუხიდან ირკვევა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ საკასაციო სასამართლოს განჩინება კასატორებს ჩაჰპარდათ 2009 წლის 27 მაისს. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მხარეებს ხარვეზი არ გამოუსწორებიათ და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავთ სასამართლოსათვის.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ა-ვისა და მ. შ-ოვის საკასაციო საჩივრები უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია, განახორციელოს მისთვის დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან დაკარგა ინტერესი ვადის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს მოცემულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში, მ. შ-ოვისა და ბ. ა-ვის საკასაციო საჩივრებს დაუდგინდა ხარვეზი, მხარეებს დაევალით სახელმწიფო ბაჟის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის დედნის სასამართლოსათვის წარმოდგენა. აღნიშნული განჩინება მხარეებს ჩაბარდათ 2009 წლის 27 მაისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. დასახელებული ნორმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის დენა დაიწყო 2009 წლის 28 მაისს და ამოიწურა ამავე წლის პირველ ივნისს. ამ ვადის განმავლობაში კასატორებს ხარვეზი არ გამოუსწორებიათ და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავთ სასამართლოსათვის, რაც საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 284-ე, 285-ე, 63-ე მუხლებით, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით, მე-60 მუხლის მეორე ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მ. შ-ოვისა და ბ. ა-ვის საკასაციო საჩივრები დარჩეს განუხილველად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

#### **განჩინება**

#ას-329-649-09

9 ივლისი 2009 წ, ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**რ. ნადირიანი,**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** მინდობილობის, მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა -ნაგებობის დემონტაჟი

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. კ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. და მ. ზ-ელების, ე. ფ-ავას და დ. ტ-მის მიმართ მინდობილობის და მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის და ნაგებობის დემონტაჟის თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1992 წლის 9 დეკემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გ. მ-შვილთან; ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი. მისი მეუღლე გ. მ-შვილი გარდაიცვალა 2002 წლის 24 იანვარს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სამკვიდროს მისაღებად საჭირო საბუთების შეგროვებისას შეიტყო, რომ სოფელ . . ., მისი მეუღლის სახელზე რიცხული 0.1 ჰა ნაკვეთი, 1998 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულებით, ზ. ზ-ელის სახელზე დ. მ-შვილის მიერ, ქსნის კოლონიაში გაცემული მინდობილობის საფუძველზე, გასხვისდა მ. ზ-ელზე; მოსარჩელის განმარტებით, მისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ გ. მ-შვილი ედავებოდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მ. ზ-ელს, თუმცა სასამართლომ მას უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, გ. მ-შვილი დავობდა მინდობილობის კანონიერებაზე. დ. კ-შვილის განმარტებით, გ. მ-შვილმა მინდობილობა გასცა ნაკვეთის მოვლა-პატრონობის და არა მისი გასხვისების მიზნით. ამასთან, მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას არ მიუცია მეუღლისთვის თანხმობა მიწის ნაკვეთის გასხვისებაზე.

2007 წლის 1 მაისს დ. კ-შვილმა სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სასარჩელო განცხადება. მოითხოვა 1998 წლის 30 სექტემბრის მინდობილობის, ზ. ზ-ელსა და მ. ზ-ელს შორის 1998 წლის 30 ოქტომბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების, მ. ზ-ელსა და დ. ტ-მეს შორის 2006 წლის 1 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, მიწის ნაკვეთზე დაწყებული მშენებარე ობიექტის დაწვრთვა და გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრება.



მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით დ. კ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. კ-შვილმა. მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება.

პალატამ დაგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1998 წლის 30 სექტემბერს #9 შრომა-გასწორების კოლონიის უფროსის რ. ა-ძის მიერ დამოწმებულ იქნა ამავე კოლონიის მსჯავრდებულის -გ. მ-შვილის მიერ ზ. ზ-ელზე გაცემული მინდობილობა, რომლის თანახმად, გ. მ-შვილმა ზ. ზ-ელს გადასცა მის სახელზე რიცხული, მცხეთის რაიონში, სოფელ ... მდებარე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისების უფლება.

1998 წლის 30 ოქტომბერს ზ. ზ-ელსა და მ. ზ-ელს შორის დაიდო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ზ. ზ-ელმა გაყიდა მასზე მინდობილი მიწის ნაკვეთი, ფართობით 1000 კვ.მ, რომელიც მდებარეობს მცხეთის რაიონის სოფელ დილოში. ხელშეკრულებაში მითითებული 1000 კვ.მ ეკუთვნის გ. მ-შვილს დიდმის საკრებულოსა და მიწის რეფორმის კომისიის მიერ 1992 წლის 24 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2006 წლის 1 თებერვალს მ. ზ-ელსა და დ. ტ-ძეს შორის აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დადებული იქნა ნასყიდობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღირიცხა დ. ტ-ძის სახელზე.

აპელანტმა მინდობილობის, 1998 წლის 30 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ფაქტობრივსაფუძველად მიუთითა იმ გარემოებებზე, რომ გ. მ-შვილმა მინდობილობა გასცა ნაკვეთის მოვლა-პატრონობაზე და არა გასხვისებაზე, გარდა ამისა, მინდობილობა გასცა ზ. ზ-ელზე 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, 1998 წლის 30 ოქტომბრის ხელშეკრულება კი დადებულ იქნა 0.1 ჰა მიწის ნაკვეთზე. აპელანტმა განმარტა, რომ გ. მ-შვილის მიერ გაცემულ მინდობილობას არა აქვს იურიდიული ძალა, ვინაიდან იგი რეგისტრირებული არ ყოფილა სასაქონლო რეესტრში და, შესაბამისად, მის საფუძველზეც არ შეიძლება ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. აპელანტის განმარტებით, მიწის ნაკვეთი მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული ჰქონდა გ. მ-შვილის მიერ; აქედან გამომდინარე, ნოტარიუსმა გადაამეტა თავის უფლებამოსილებას და ორი განსხვავებული მამის სახელზე მქონე პიროვნება მიიჩნია ერთი და იგივე პიროვნებად. ნოტარიუსს ასევე არ შეუმოწმებია, ჰქონდა თუ არა გ. მ-შვილს სადავო ქონების გასხვისებაზე მისი ოჯახის მიერ გაცემული სასაქონლო წესით დამოწმებული თანხმობა, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა კომლის საკუთრებას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები 1998 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული მინდობილობის ბათილად ცნობის შესახებ, ვინაიდან საქმის მასალებით ირკვევა და არც თვითონ მოსარჩელე უარყოფს იმ გარემოებას, რომ მინდობილობა ზ. ზ-ელის სახელზე გაცემულ იქნა მისი მეუღლის -გ. მ-შვილის მიერ. სასამართლო სხდომაზე ნოტარიუსმა ე. ფ-ავამ დაადასტურა ის გარემოება, რომ მინდობილობა 1998 წლის 30 სექტემბერს დამოწმებული იქნა სწორედ მის მიერ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ აპელანტი სადავოდ არ ხდის გ. მ-შვილის მიერ დაცემული უფლებამოსილების ფარგლებს და მისი შედგენის ფორმალურ მხარეს. პალატამ მიიჩნია, რომ მინდობილობა შედგენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, ზ. ზ-ელს გ. მ-შვილის საკუთრებაში რიცხული მიწის ნაკვეთის გასხვისებისას მინდობილობით საკუთრებაში რიცხული მიწის ნაკვეთის გასხვისებისას მინდობილობით მასზე მინიჭებული უფლებამოსილებისათვის არ გადაუმეტებია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მიერ მითითებული გარემოება, რომ გ. მ-შვილს მიწის ნაკვეთის გასხვისების უფლება არ გააჩნდა მისი თანხმობის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტის მიერ იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და რეგისტრირებული იყო კომლზე, წარმოდგენილ იქნა სოფელ ... საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობა, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ აწ გარდაცვლილი გ. მ-შვილი გარდაცვალებამდე ცხოვრობდა სოფელ დილოში და მისი კომლი შედგებოდა ხუთი წევრისაგან. მოცემულ დოკუმენტში არ არის მითითებული, თუ რის საფუძველზე იქნა გაცემული ზემოაღნიშნული ცნობა, ამასთან "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოება შესაძლებელია დადასტურებულ იქნეს მხოლოდ საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) რეგისტრაციის მონაცემებით.

რაც შეეხება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ იმ გარემოებას, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სადავო მიწის ნაკვეთი, სასამართლოს განმარტებით, გ. მ-შვილი გარდაიცვალა 2002 წლის 24 იანვარს. იმ დროისათვის სადავო ქონება წარმოადგენდა არა გ. მ-შვილის, არამედ -მ. ზ-ელის საკუთრებას, შესაბამისად დ. კ-შვილი აღნიშნულ ქონებას, როგორც გ. მ-შვილის სამკვიდრო ქონებას, ფაქტობრივი ფლობით ვერ მიიღებდა.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის განმარტებას, რომ სადავო ქონება აღრიცხულია დ. ტ-ძის სახელზე და ვინაიდან, აპელანტმა ვერ დაასაბუთა დ. ტ-ძის, როგორც შემქმნის, არაკეთილსინდისიერების ფაქტი, შესაბამისად, არ არსებობდა მ. ზ-ელსა და დ. ტ-ძეს შორის 2006 წლის 1 თებერვალს დადებული მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველიც. ამ გარემოებიდან გამომდინარე, პალატის განმარტებით, მოსარჩელეს გ. მ-შვილის მიერ 1998 წლის 30 სექტემბერს გაცემული მინდობილობისა და 1998 წლის 30 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში იურიდიული ინტერესი არ გააჩნია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. კ-შვილმა.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, მოსარჩელე დ. კ-შვილის მეუღლე გ. მ-შვილი გარდაიცვალა 2002 წლის 24 იანვარს. ეს უკანასკნელი 1991 წლის ოქტომბერში არაოფიციალურად დაქორწინდა მოსარჩელე დ. კ-შვილზე. მათი ქორწინება ოფიციალურ რეესტრში გატარდა 1992 წლის 9 დეკემბერს. მანამდე კი, კერძოდ, 1992 წლის 26 აგვისტოს გ. მ-შვილს და დ. კ-შვილს შეეძინათ უფროსი ვაჟიშვილი -ა., ხოლო 1995 წელს ქალიშვილი ნ.; გ. მ-შვილის გარდაცვალების მომენტისათვის გარდაცვლილი იყვნენ მისი მშობლებიც. ამდენად, დ. კ-შვილი და მისი შვილები: ა. და ნ. მ-შვილები წარმოადგენენ თანაბარი წილის უფლების მქონე პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს. ამასთან, დ. კ-შვილი, როგორც როგორც პირველი რიგის მემკვიდრე, ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას და მართვას, რაც უდავოდ მოწმობს იმ გარემოებას, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, 2005 წლის დეკემბრის ბოლოს დ. კ-შვილისათვის ცნობილი გახდა, რომ მიწის ნაკვეთის ყიდვას აპირებდა ვინმე დ. ტ-ძე და მანამ, სანამ იგი ამ ნაკვეთის ყიდვას ოფიციალურად გაიფორმებდა, მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მევლედ ბრეგაძესთან ერთად დასახელებულ მიწის ნაკვეთში შეხვდა დ. ტ-ძეს, რომელმაც დაადასტურა, რომ აპირებდა ამ მიწის ნაკვეთის შეძენას. დ. კ-შვილმა საჯარო რეესტრიდან მიღებული პასუხით შეიტყო, რომ ჯერ კიდევ 1998 წლის 30 ოქტომბერს იგი მართლაც გასხვისებულა მოქ. მ. ზ-ელზე. მანამდე მოსარჩელემ მიწის ნაკვეთის გასხვისების თაობაზე არაფერი იცოდა.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, 1998 წლის 30 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების #2-ზ-ნ აქტით ირკვევა, რომ ეს მიწის ნაკვეთი თითქოსდა სარგებლობაში გადაეცა მ. ზ-ელს ჯერ კიდევ 1992 წელს და ამის საფუძველს წარმოადგენდა სოფელ ... მიწის რეფორმის კომისიის და საკრებულოს 1992 წლის 24 სექტემბრის #1 დადგენილების პირველი ოქმი. კასატორის წარმომადგენლის მტკიცებით, ეს რომ ასე ვერ იქნებოდა და 0.25 ჰა მიწის ნაკვეთს მ. ზ-ელი 1992 წელს ვერ მიიღებდა, იქიდანაც ჩანს, რომ ამ 0.25 ჰა მიწის ნაკვეთში შედის ის მიწის ნაკვეთიც, რომელიც მ. ზ-ელმა 1994 წლის 24 მაისს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ოღლა მ-შვილისაგან. იგი უდავოდ დადასტურებულ ფაქტად მიიჩნევა, რომ მ. ზ-ელის სახელზე 1998 წლის 30 ოქტომბერს გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი ყალბი დოკუმენტია და ამ დოკუმენტის გაყალბებაში მონაწილეობა აქვს მიღებული მიწის რეფორმის კომისიის თავმჯდომარე ნ. ლ-შვილს. ამდენად, მის მიერ შედგენილი რაიმე წერილობითი დოკუმენტი მოპასუხე მხარის კონტრარგუმენტად ვერ გამოდგება.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც 1998 წლის 30 ოქტომბერს დაიდო გ. მ-შვილსა და მ. ზ-ელს შორის წარმომადგენელ ზ. ზ-ელის მეშვეობით, ყალბია. ამას ადასტურებს ის, რომ არარსებული ნოტარიუსის ვინმე რ. ფ-ავას მიერაა იგი დადასტურებული და სანოტარო პალატის მიერ 2007 წლის 3 აგვისტოს გაცემული #19121-3570 ცნობით უდავოდაა დადგენილი, რომ ნოტარიუს ე. ფ-ავას მიერ 1998 წლის 30 ოქტომბერს რეესტრის #1 229-ით არ დადასტურებულა არანაირი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და რომ ზემოთ აღნიშნული ნომრით რეგისტრირებულია ჩანაწერი მხოლოდ მინდობილობის გაცემის თაობაზე მ. და ზ. ზ-ელებს შორის, რომელშიც გ. მ-შვილის გვარი არ ფიგურირებს.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, რ. ფ-ავას მიერ დ. კ-შვილისათვის გადაცემული მინდობილობის შინაარსით ირკვევა, რომ გ. მ-შვილმა ზემოთ აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე ზ. ზ-ელს მისცა უფლება, რომ ამ უკანასკნელს თავისი შეხედულებისამებრ, შემდეგი გადარწმუნებით, გადაეცა სხვა პირებისათვის მცხეთის რაიონის სოფელ ... მასზე რიცხული 1500

კვ.მ მიწის ნაკვეთი, ანუ გ. მ-შვილის მიერ იმთავითვე განისაზღვრა წარმომადგენლის უფლება-მოსილების ფარგლები.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ სხვა ისეთ გარემოებებზეც, რომელიც კრძალავდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას 1998 წელს. კერძოდ, ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სარგებლობაში და არა საკუთრებაში იყო გადაცემული გ. მ-შვილისათვის. აღნიშნულს, კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, უდავოდ ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ივნისის #503 დადგენილება, რომელმაც დაამტკიცა მოქალაქეთათვის სარგებლობაში მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, მოსარჩელისა და გ. მ-შვილის ოჯახის სხვა წევრების გარეშე უკანონოდ მოხდა მიწის ნაკვეთის გასხვისება, რითაც უხეშად დაირღვა მოსარჩელის დ. კ-შვილის კანონიერი ინტერესები. მისი აზრით, როგორც ზემოთ დასახელებული პირები, ასევე სადავო მიწის ნაკვეთის ბოლო შემძელი პირი, დ. ტ-ძე, არ წარმოდგენენ კეთილსინდისიერ მფლობელებს. ვინაიდან ამ უკანასკნელმა ჯერ კიდევ მანამ, სანამ სანოტარო წესით გააფორმებდა სადავო მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, დ. კ-შვილისა და მისი ახლობლებისაგან იცოდა, რომ მ. ზ-ელი არ იყო უფლებამოსილი პირი, გაეყიდა დასახელებული მიწის ნაკვეთი; ანუ არსებობს არაკეთილსინდისიერ მფლობელთა ერთობლიობა, რომლებიც როგორც ყველა ერთად, ისე თითოეული ცალ-ცალკე ვალდებულია, დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს - დ. კ-შვილს როგორც უძრავი ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, გ. მ-შვილის მიერ 1998 წლის 30 სექტემბერს ზ. ძე ზ-ელზე გაცემული მინდობილობა, რომლის საფუძველზეც 1998 წლის 30 ოქტომბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ზ. ზ-ელსა და მის მეუღლეს - მ. ზ-ელს შორის, დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის დ. ა-ძის მიერ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ 2006 წლის 26 ივნისს გაცემული #10/30/4-558 ცნობით კი ირკვევა, რომ გ. მ-შვილის პირადი საქმის მასალებით არ ფიქსირდება ის, რომ მსჯავრდებულმა გ. მ-შვილმა მოქ. ზ. ზ-ელზე გასცა რაიმე სახის მინდობილობა. აღნიშნული კი, კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, სერიოზულ ეჭვს ბადებს მასში, რომ გ. მ-შვილმა თავისი ნების თავისუფალი გამოვლენის გზით გასცა მინდობილობა ზ. ზ-ელზე.

კასატორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი მითითებული საფუძველით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას დ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი, რის გამოც კასატორს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.